

652  
1975/3

7

ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
საზოგადოებრივი  
ცენტრი

# ქართული

1 9 7 5

3

**კოეზია, კროზა**

გ. ტაბიძე — მამულო, სიცოცხლეო! ლექსი . . . . .	5
ფ. იოსელიანი — წერილი დედას ლექსი . . . . .	6
მ. ვარზანიძე — *** ჭიჭი-ჭიჭი-ლში ბავშვიბინე ლექსი . . . . .	8
ი. მელია — ლექსები . . . . .	9
კ. ლორია — ფურცლები დღი-ურიდან მოთხრობა . . . . .	11
ჯ. ქათამაძე — დედა ლექსი . . . . .	17
მ. გორგილაძე — სადაური სად-მი ზვასა მოთხრობა . . . . .	19
ბ. სალუქვაძე — მაისის წვიმა ლირიკული პოემა . . . . .	31
ბ. ჯოხაძე — ბავშვარჯოს, ადა-მიანო! მოთხრობა . . . . .	49
ჯ. ჯაყელი — ბთხოვთ, მისრო-ლოთ! მოთხრობა . . . . .	60

**წერილები**

ფ. ქუჩიძე — საბჭოთა ლიტერა-ტურის კლასიკოსი . . . . .	74
მ. თავდიშვილი — სოფლისა-კენ დაძრული ფიჭვები . . . . .	84
ბ. სურგავა — აჭარული დია-ლექტის ლექსიკიდან . . . . .	92

**წიგნების მიმოხილვა**

იმ მრისხანე წლების ექო . . . . .	96
----------------------------------	----

131/6

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

ბ ა თ შ მ ი — 1975  
მაისი — ივნისი

ბიბლიოთეკის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკ.  
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ა. უონია

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი

მ. ვარუანიძე (პ/მზ მღივანი)

პ. ლორია

აღ. ჩავჭავჭავაძე

ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ზათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.6.75. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.

შეკვეთის № 2222, ემ 00096, ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9

(ლუქსემბურგის, 20).



# საბჭოთა საზოგადოების 30-ე წლისწობისადმი მიძღვნილი

30 წლის წინათ საბჭოთა მეოცნებე კრიტიკულ კანისტაბზე აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა. ფაუზის განაღმებით დამთავრდა თავისი მასობრივობა და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით მანამდე ისტორიული უმაგალითო ომი. „ამ ომში წყდებოდა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გადი, მსოფლიო ცივილიზაციის, კრობრესისა და დემოკრატიის მომავალი, — ნათქვამია „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის უმსახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათი. — საბჭოთა ხალხსა და მისმა მამაცმა უმეარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით



გამანადგურებელი ლახვარი ჩასცემ ჰიტლერულ გერმანიას და მის სატელიტებს, დაცემის სოციალისტური საშრობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უმასრულეს დიადი განმათავისუფლებელი მისია, პირნათლად მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი“.

ამ ომში საბჭოთა მფრლები, მათ შორის ქართველი მფრლები, იარალითა და კალმით იბრძოდნენ საშრობლოს დასაცავად. ბევრმა თავისი სიცოცხლეც კი მსხვერკლად მიიტანა საშრობლოს საჭურთხეებზე. ომის დროის ომანიან მხატვრულ სიტყვას არასდროს არ დაეკარგება მაღალი პატრიოტული ჟღერადობა, საბჭოთა ადამიანების გმირობა და თავდადება მუდამ მძნება ჩვენი მფრლობის უმომქმედებითი უთაგონების უშრები წყარო.

ომისა და ომისუმიდგომე წლებში უმიქმნა საბჭოთა ხალხის სწორეუკოვარი გმირობის ამსახველი მხატვრული ნაწარმობები, რომლებიც ღრმად განმვაცდევინებენ უშინსტურ ურჩხულთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სიმძაფრეს, გორობების ძლევისა და სიკეთის გამარჯვების სიღიადეს, სიცოცხლის მარადიულობის სინარულს. მარამ „დიდი შორიდან უკეთესად მოჩანს“ და უფრო ფართო ტილოებიც მომავლის საქმება. ლევ ტოლსტოიმ 1812 წლის სამამულე ომის გრანდიოზული ეკოვება დასწერა ორმოდცაათი წლის უმედებ, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ საუკუნეების სიღრმიდან მოუხმო და ჩვენს თვალწინ გააცოცხლა „ქართლის ცხოვრების“ გმირები.

საშრობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საჭრველთაო-სახალხო ლაშქრობის მხატვრული მატინამ დაღადებს, რომ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული, პატრიოტული ტრადიციები გრძელდება, თაობათა ცოცხალი კავშირი მტკიცე და ურღვევია.

## მამულო, სიცოცხლეო!

სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არა ფარული,  
შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან შენი სიყვარული;  
სიცოცხლეო, სამშობლოვ! მტერი დაუნდობელი  
რომ თვალს არ გაცილებდა, — ვიყავ წინამგრძნობელი.  
აი, როგორ მოხდა ეს: ირიჟრაჟა თუ არა,  
ალისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა.  
ტყეში, სადაც ვიდოდა ტყისმკაფავი მცინარე,  
ველად, სადაც ბაღებში ჩაფლულიყო მდინარე,  
იყო დილა მშვიდობის და არ იყო ტკივილი,  
ფრინველების გაისმა სტვენა ჟივილ-ხივილი...  
აფრიალდნენ საზღვარზე შავზე შავი სვავები, —  
ყუმბარათმტყორცნელები. მძიმე თვითმფრინავები,  
სურთ, რომ გადმოანგრიონ ხალხის ნახნავ-ნათესი,  
ქალაქები, სოფლები, გზები უდიადესი.  
იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოს მტერია,  
მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწერია.  
და ამაოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,  
ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით!  
რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია —  
ვიცი, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია!

## წერილი დედას

ბატალიონის კომისარი, კომუნისტი შალვა იოსელიანი ფაშისტმა ჯალათებმა ქერწში ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს. მნახველთა გადმოცემით, იგი წარბშეუხრელად შეხვდა სიკვდილს.

რედ.

ვიცი, ღირსეულ შვილად გეგულვი  
და ჩემზე ფიქრით გიღელავს მკერდი,  
გწერ ამ სტრიქონებს გულანთებული,  
შენი ჭალარის ჭირიმე, დედი.

ვიცი, ოცნების ფარდებში მხედავ,  
დგახარ ამაყად, სახე გაშლილი —  
და გაგონდები ვაჟკაცის დედას  
სახლიდან ფრონტზე წასული შვილი.

მოგაგონდები ბავშვობის დღიდან  
დედის ოცნებით და გულის ცემით,  
შენი ნანინა თუ როგორ მზრდიდა  
და ირწეოდა აკვანი ჩემი.

მოკლემარვლიან ბიჭად მიგონებ,  
ოცნების ათას კარებს შეაღებ,  
როგორ ვმღეროდი შოთას სტრიქონებს,  
გმირობისა და ქვეყნის შესახებ.

ახლა ყრმის გული მიცემს მალიმალ,  
რომ დავსცე მტერი სისხლში ნაბანი,  
დაუნდობელი ქარიშხალი ვარ,  
სამშობლოს ერთი ლომგულთაგანი.

ჩემს კაცობაზე მისდევდი ლოდინს,  
თუ მოვესწროო ნეტავი იმ დღეს,  
ალბათ მამაჩემს ღიმილი მოსდის  
და სიამაყით უღვაშებს იგრენს.

დამხვდით ყოჩაღად, კოცნას ვაბარებ  
ფრონტზე დაწერილ ქალაქის ნახევს,  
მტერს მივარღვევ და მკერდით ვატარებ  
მარად საყვარელ სამშობლოს სახელს.

1942, მოქმედი არმია.



\* \* \*

ჭკა-ქუხილში გავირბინე დიდი მანძილი,  
რამდენი ღამე ჯარისკაცმა თეთრად ვათენე!  
ეკ როგორ ჩუმაღ წაეკიდა წამწამებს ძილი,  
ღამე წყლით ვიქრობ ნაპერწკლიან ციციანთელებს.

არ დავიძინებ, არ დავკეცავ წამით წამწამებს,  
არ მოვინატრებ აბრეშუმის მოქარგულ ბალიშს;  
მე ერთი ჯავრი გამომყვა და  
ჯავრი მაწამებს...  
სულო, აღსდექი!  
მე მძულს, ო, მძულს სული მდაბალი.

როგორ იქნება ჩემი სახლი მტერმა დაღეწოს,  
აიბინებულ ჩემს ეზოში დასცეს ნალარა!  
ვაი, თუ მართლა, ჩემო სახლო ჭურვი დაგეცა...  
ცა ჩამოშვავდა...  
შხე დაბნელდა...  
ღამე უენ აღარ ხარ...

1942, 20 აგვისტო,  
მოქმედი არმია, ყაბარდო.

\* \* \*

ახლახან ღენინგრაღელმა დას-  
ტაქრებმა მარჯვენა ფილტვიდან  
ამომიღეს ნაღმის ნამსხვრევი, რო-  
მელსაც ოცდაათოთხმეტ წელიწადს  
ვატარებდი.

ნურვის უკვირს, ომში ძმაო  
თუ კი ბევრი რამე ხდება.  
უპირველეს, თვით მამული  
ითხოვს გმირულ თავდადებას.

რა ვუყოთ, თუ ზოგი კვდება,  
ზოგი უკვლოდ იკარგება,  
საიდუმლოდ რჩებათ ქვეყნად  
გულის ფიქრი, გულის ნება.

ზოგს ორდენებს ურიგებენ,  
ზოგს საბრძოლო საქმის მედალს,  
ზოგჯერ კიდევ კაცის ტკივილს  
ვერავინ ვერ აკვირდება.

ჰე, მამულო ამ წრფელ სიტყვებს  
ნუ გამიგებ დაყვედრებად.

ოცდაათოთხმეტ წლის მანძილზე  
ფილტვში მქონდა მტრისა

ტყვია,

დავდიოდდი, ჩემი დარდი  
არავის არ შეუტყვია.

ფაშისტების სიძულვილი  
ხანძარივით ჩემს გულს წვაავდა,  
და მურდალი დენტის სუნი  
ქვეყნად სუნთქვას მიწამლავდა.

ოცდაათოთხმეტ წელს გაგრძელდა  
მტარვალებთან ჩემი ბრძოლა,  
და დღეს აგერ ჩემს თვალისწინ  
ძევს ლითონი ცერის ტოლა.

დასტაქრების სახელს ვლოცავ,  
მათ ძალას და მათ მარჯვენას,  
ყველაფერზე დიდი ჯილდო  
არის კაცის გადარჩენა.

ჰე მამულო! თუ დაგჭირდი  
კვლავ შენთან ვარ ჩემი მკერდით.  
აბა ვინ თქვა?!  
სიყვარულში

განა მართლა დავიბერდი!

ჩემს შორეულ ბრძოლის წარსულს  
მოგონებით ღალას ვუხდი; —  
ერთხელ ბედმა სანგრისპირად  
მაპოვნინა ტყავის ბურთი.

ბრძოლის ველი დამავიწყდა  
და სილალის მონატრულმა, —  
კვლავ ბავშვური სიხარულით  
ავიტაცე ბურთი უმაღ.

რა ჰგონიათ,  
ვინ ვიყავი?  
ერთი ბიჭი პირტიტველა,  
ჯერ თამაშით გაუმადლარს  
თავს დამატყდა ომის ელვა.

ირგვლივ ცეცხლი მძვინვარებდა,  
ნაბიჯ-ნაბიჯ ნაღმი გვსდევდა,  
მე კი ისევ ბურთს შევტრფოდი,  
ბავშვობას რომ მახსენებდა.

---

პაკიან ლოკია

## ფურცლები დღიურშიდან

ასეთი ცივი სექტემბერი არ მოგვსწრიაო, ამბობენ მოხუცები და წარსულ წლებს ერთმანეთს ადარებენ.

მართლაც უცნაური სექტემბერია; დასავლეთის ძლიერი ქარი, წვიმა, ელვა, ჭექა-ქუხილი, სეტყვა, ჩამოხნელებული ცა და დაბურული მთები.

თბილ ქვეყნებში გადასაფრენად მომზადებული ფრინველები ჩირგვნარსა და ტყეებს შეჰფარებიან. თოვლმა დაჰფარა მთები და ქარბუქმა გადაკეტა სამხრეთისაკენ გასაფრენი გზა.

სიცივისა და სეტყვისაგან დახოცილი მერცხლები გროვად ჰყრია ზღვის მახლობლად გაშლილ ქუჩებში.

აჭარის მთები ჩამოთოვა და სიმინდის ყანებიც გატრუსა ნაადრევმა სუსხმა.

სადამო ჟამია. ქალაქს სიბნელე ეპარება. სხვა დროს ელნათურები აღაჟღადებოდნენ სიბნელის გასაფანტავად. ახლა კი ოთახის ფანჯრიდან მკრთალად გამომავალი შუქიც ჩააქრო ვიღაცამ. სხვებმა შავი ტილოებით ჩამოაბნელეს ფანჯრები.

— თვალები დაგიბნელდეთ, გერმანელო ფაშისტებო, — იწყევლება ვიღაც და ქუჩაში ხელისფათურით მოდის.

წყევლა სამართლიანია. რომ ვიცოდე რასმე დააკლებდეს, მეც დავწყევლიდი. თუმცა მაინც ვიწყევლები.

გამანადგურებელ ბატალიონში ვიყავი. ზღვისპირას ვმეცადინებოდი. ვსწავლობდით სამხედრო საქმეს.

მასწავლებლები ჩინებულად მომზადებული გყავს. გულმოდგინედ

გვასწავლიან. ჩვენც ვსწავლობთ, ვსწავლობთ. ახლა სამხედრო ოსტატობა მთავარია.

საშინლად ლელავს ზღვა. მაღალი ტალღები ასკდება ნაპირებს. როცა ღრუბლით ჩაბნელებული დასავლეთის ცის კიდე ჩამავალი მზის სხივებმა სისხლისფრად შეღებეს, ერთმა ამხანაგმა თქვა:

— იქაა, ბიჭებო, ოდესა. — და მწარედ ამოიოხრა.

ჩვენ ნაღვლიანად გავიხედეთ დასავლეთისაკენ და გულზე საშინელი ტკივილები ვიგრძენით.

„ჩვენი ძმების სისხლით თუ შეიღება ის ღრუბელი ისე წითლად“ — გავიფიქრე და ოდესის ლამაზ და განიერ ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლები წარმოვიდგინე.

\* \* \*

მოვდივარ მწერალთა კავშირში. მუდამ სასიხარულო იყო აქ მოსვლა მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანად სუნთქავდა, როცა აღმშენებლობასა და აღმზრდელობას ვეწეოდით.

მაშინ ყველგან სასიამოვნო იყო მისვლა, მაგრამ აქ — განსაკუთრებით სახალისო.

ამ შენობაში მივიღეთ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბურიატ-მონღოლეთის, აზერბაიჯანის, აფხაზეთის საბჭოთა მწერლების დელეგაციები, თბილისელი გამოჩენილი მწერლები.

აქ მოვუწყეთ შეხვედრა ალ. ტოლსტოის, მიკოლა ბაჟანს, ვსევოლოდ ვიშნევსკის, ევგენი პეტროვს, ნოვიკოვ-პრიბოის, სერგეი მიხალკოვს, გალაკტიონ ტაბიძეს, ალიო მაშაშვილს, სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ქუჩიშვილს და მრავალ სხვას.

აქ ვხვდებოდით ჩვენს მკითხველებს, ვმართავდით ლიტერატურულ საღამოებს, დისპუტებს, ვარჩევდით ჩვენს ნაწერებს — ნესტორ მაღაზონიას გრძნობით გამთბარ ლექსებს, შალვა იოსელიანის ვაჟკაცურ სიმღერებს, პარმენ რურუას საბავშვო სტრიქონებს, ჯემალ ნოღაიდელის ფოლკლორულ მასალებს; აქ ვარჯიშობდა, აქ იწრთობოდა ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა — ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, მაგრამ ორიგინალური პოეტური ხმის მქონე მამულ ვარშანიძე, ლიტერატურაში მოსული პირველი აჭარელი ქალიშვილი ნადიდე გვარიშვილი, ჩვენი კაპიტონი, შალვა შუბლაძე, სხვები და სხვები.

აქ განვიხილეთ ჩემი „ჩაიც“, „დელი მურადიც“, ჩემი „მევლუდა“...  
...მჭიდროდ მივხურე კარები, ფანჯრებს შავი ტილო ჩამოვაფარე და შუქი ავანთე.

დაღვრემილი მომეჩვენა ჩემი მაგიდა.

გადავწყვიტე ვიმუშაო, ჩვეულებრივად მივუჯდე ჩემს საყვარელ საქმეს, მაგრამ...

კალამი არ მემორჩილება. ფიქრები ამერია თავში. მინდა სადღაც წავიდე, ძალიან შორს, აი იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებია, ჩვენი ვაჟკაცები, სადაც ჩვენი პოეტებია, ჩვენი შალიკო, ჩვენი მამულდი...

დიახ, იქ მირჩევნია ყოფნა. მათთან, ზარბაზნებისა და ყუმბარების გრიალში, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკანში. ალბათ უფრო იმედიანადაც იქნებოდნენ მაშინ ჩვენი ბიჭები. ომი შეჩვევასა და გამოცდილებას საჭიროებს. მე საკმაო გამოცდილება მაქვს, შეჩვეულიც ვარ, ბევრი რამ გამეგება და ახლა რომ მათთან ვიყო, ბევრ რასმე შევასწავლიდი.

საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი: ძველი ჯარისკაცის ირგვლივ წიწილებივით შემოვკრბებოდით, პირველად რომ ომში გავვიყვანეს. მისი იმედიანი სიტყვა ჩვენთვის ყველაფერი იყო.

ალბათ ისეთ დღეში არიან ახლა ჩვენი ახალგაზრდები, ის ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობაზე ფიქრობდნენ, ადამიანის სიყვარულით ივსებდნენ გულებს, ბედნიერი ახალგაზრდობა ჰქონდათ და კიდევ უკეთესისაკენ ილტვოდნენ.

ძალიან ბედნიერად იზრდებოდნენ ჩვენი ახალგაზრდები, მაგრამ...

დღეს მეტად მძიმე გასაჭირი შეხვდათ.

გაჭირვებაში იწოთობა ადამიანი, იჭედება, ვაჟკაცდება... მაგრამ მე მაინც გული შემტკივა.

ყველაფერი გეგმიანად სრულდება ჩვენში...

ფრონტს თავისი უნდა, ზურგს — თავისი. ორივე ერთმანეთისათვის იბრძვის და მუშაობს.

მაშ ასე, ჯერჯერობით ზურგში უნდა დავრჩე, აქ უნდა ვიმუშაო და თუ საჭირო დარჩება...

პირველ იმპერიალისტურ ომში მიღებულ გამოცდილებას გამოვიყენებ, „მაქსიმას“ მოვძებნი და ძველებურად ავაკაკანებ.

როცა მტერი თავს გვესხმის,  
გვეძახის ბრძოლის ველი,  
მაშინ აკაკანდება  
ჩვენი ტყვიამფრქვეველი.

ეს ლექსი მაშინ დავწერე მე. დანარჩენი, მართალია, არ მახსოვს, მაგრამ გავიხსენებ, ან ახლებურად შევაკეთებ, მივუმატებ, გავალამაზებ და ჩვენს ბიჭებთან ერთად სიმღერით შემოვძახებ.

მართალია, პირველ დღეებში გეხამუშება ადამიანს ახალ, სამხედრო წრეში ყოფნა, მაგრამ...

რამდენიმე დღე და, საკუთარი თავის შეგრძნება. გიკვირს, რატომ იყავი მაშინ ისეთ ხასიათზე.

ექვსი წელი დავყავი სხვადასხვა სამხედრო ნაწილში. ვერც კი წარმომედგინა სამოქალაქო ტანსაცმელით გავლა. სამხედრო სამსახურს ყველაზე მაღლა ვაყენებდი. თუმცა, პირველად, როცა გამიწვიეს და აგვიხსნეს, სამხედრო პირი ყველაზე მაღლა დგასო, მეცინებოდა.

თუ მეფის დროს კი შეიძლებოდა მაშინდელ სამხედრო პირზე, განსაკუთრებით კი სალდათზე იმის თქმა, დღეს ხომ ვერც შეძლებ ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ღირსების შეფასებას. ისინი ხომ რამდენიმე ათეული საფეხურით მაღლა დგანან მაშინდელ სამხედრო პირებზე.

დანაღვლიანებული მივდიოდი ჯარში. თვრამეტი წლის ახალგაზრდა ყველას ვებრალებოდი, ქვითინით მიმაცილებდნენ. ამხანაგების მრცხვენოდა, თორემ მეც ავქვითინდებოდი. ნაღველის დასაფარავად ავმღერდებოდი ხანდახან, მაგრამ ჩვენი სიმღერა ქვითინს უფრო ჰგავდა.

ხოლო როცა დემობილიზაციით განთავისუფლებული შინ ვბრუნდებოდი, აღარც კი მრცხვენოდა, ვქვითინებდი. ამხანაგებიც ქვითინებდნენ. ისე შეჩვეული ვიყავით ერთმანეთთან, რომ მოშორება გვეძნელებოდა. სამხედრო ტანსაცმელი რომ სამოქალაქოთი შევცვალებ, ღირსებააყრილი ადამიანი მეგონა ჩემი თავი.

მას შემდეგ წლები გავიდნენ და ჩემს შეხედულებაშიც საკმაო გარდატეხა მოხდა. მაგრამ დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ სამხედრო პირებზე თავისი ღირსებით ძალიან მაღლა დგას.

სამხედრო ცოდნა ადრე უნდა მივალე ბინოთ ჩვენს შვილებს...

...წუხელ რადიომ გადმოსცა. მტერმა კიევის თავდაცვის ხაზი გაარღვიაო.

გული დაგვისეტყვა ამ ამბავმა.

ჩვენი უკრაინა, ჩვენი მშობლიური კიევი!... არა, როგორ შეიძლება ის გერმანელმა მხეცებმა ააოხრონ. თავიანთი ტლანქი ფეხებით გადასთელონ მშვენიერი უკრაინის მიწა-წყალი! არა, ჩვენ არ შევარჩინებთ ამ თავხედობას გერმანელ ავაზაკებს.

სისხლი სისხლისა წილ, სიკვდილი სიკვდილის წილ! — ვამბობ მე და თანდათან ვღელდები.

სისხლი სისხლისა წილ! — ვიმეორებ კიდევ და ეს სამი სიტყვა მომწონს წიგნის სათაურად.

მართლაც, უნდა დავწერო მოთხრობა ამ სათაურით. არა, მოთხრობა კი არა, რომანი... დიდი რომანი, დიახ, დიდი რომანი დიდ ხალხზე, დიდ ერზე, ლამაზ უკრაინაზე, უზარმაზარ რუსეთზე, საბჭოთა ხალხზე...

დიახ, უნდა დავწერო. უნდა წავიდე იქ, სადაც ჩვენი ძმები, დედები, დები, ჩვენი სისხლითა და ხორციით ნათესავები იბრძვიან, იღვწიან, იტა-

ნკებიან. უნდა ვნახოთ გერმანელი მხეცების მიერ ჩადენილი საშინელი ამბები, აკუწულ-აკეპილი ქალები, ბავშვები, მოხუცები, ცეცხლში დამწვარი ადამიანები, დამტვრეული და განადგურებული ქალაქები და სხვა... ფლები... ვნახო ყველაფერი, რაც ჩაიდინეს საზიზღარმა ფაშისტებმა და...

მაგრამ კი შეეძლებ ყველაფრის დაწერას? ყველაფრის კი არა თუნდაც ერთი მეთაფრისას? რასაკვირველია, ვერა...

ასეთი ამბების დაწერას ტოლსტოები, პუშკინები, ჭავჭავაძეები უნდა, მე კი...

არა, პატარამაც უნდა გააკეთოს რამე.

— ის ჯარისკაცი არ ვარგა, რომელიც გენერლობას არ მოეღისო — ამბობდნენ წინათ. ეს თქმა ახლაც გამოდგება. ,

დიდი თუ არა, პატარა მწერალი ხომ გავხდები?

უსათუოდ უნდა დავწერო დიდი რომანი... დიდი წიგნი...

გაშლილ ქალაღდზე მოფიქრებული რომანის სათაური — „სისხლი სისხლისა წილ“ დავწერე და მაგიდას უფრო ახლოს მივუჯექი წერის განსაგრძობად, მაგრამ...

— შეიძლება?

— მობრძანდით.

— ნება მიბოძეთ, ტელეფონით ვისარგებლო.

— ინებეთ.

მეზღაურის ტანსაცმლიანმა საშუალო ხნის კაცმა ტელეფონის მილი აიღო და ცენტრალურს ნომერი დაუსახელა.

პასუხი მალე მიიღო და ალაპარაკდა.

— შენა ხარ (სახელი არ მახსოვს), შეილო? შინ არ იყავი და ვერ გამოგეთხოვე. აქედანვე მივდივართ. ნუ გეშინია, მალე დავბრუნდებით... არა გრცხვენია, რომ სტირი! კარგი, შემოგვევლე. ნუ იტირებ. ჭკუით იყავი. დედას დაეხმარე. ასე, ჩემო გოგონა...

ბავშვის ქვითინი მეც მესმის. ავდექი, მოშორებით ჩამოვჯექი და თავდახრილმა სახეზე ავიფარე ხელი. თვალები დავხუჭე. არ მინდა ვაგრძნობინო ტელეფონზე მოლაპარაკეს, რომ მე მას ყურადღებას ვაქცევ.

ბავშვის ქვითინი მაინც მესმის. მესმის კი არა, თითქოს იმ ბავშვსაც ვხედავ, ტელეფონის მილთან რომ დგას და ქვითინებს. ვხედავ, როგორ მოყვება მავთულებს მისი ცრემლები და მამის თვალებში ჩაგუბებულ ცრემლებს უერთდება. აივსო მამის თვალებიც და ორი წვეთი იატაკზე დაეცა.

მე კი ჩუმაღ მოვიწურე თვალები.

— დავბრუნდები და საჩუქრებს მოგიტან, ჩემო პატარავ... კარგად

იყავი, ბედნიერი ცხოვრება გქონოდა... ჯანმრთელად მენახო... გკოცნ...  
და...

— გმადლობთ, ამხანაგო. — მოუბრუნებლად მიიხრა და ისე სწრაფად გავიდა, რომ თვალიც ვერ მოვკარი.

ყელში მომდგარმა რაღაც მაგარმა, ბურთის მსგავსმა ხმის ამოღების საშუალება არ მომცა.

ერთი სიტყვაც ვერ გავაყოლე ფრონტზე მიმავალს. მადლობა გადამიხადა და არაფერიც არ ვუბასუხე.

— კარგად დაბრუნებულიყ, ძმაო. ბედნიერი ყოფილიყოს შენი წასვლა. დაჯილდოებული დაბრუნებოდე შენს ცოლშვილს, შეგესრულებინოს შენი დაპირება შენი გოგონასათვის. მოგეტანოს საჩუქრები... გამარჯვებული მენახო ძვირფასო! — ვთქვი რამდენიმე წუთის შემდეგ მე. ავდექი, ისევ საწერ მაგიდას მივუჯექი, დღევანდელი ამბები და ეს შემთხვევა ჩემს დღიურში ჩავწერე და დღევანდელი თარიღი — 20 სექტემბერი, 1941 წელი — მივაწერე.

13116

დ ე დ ა

სადა ხარ,  
ყოველთვის  
გულს ცეცხლად ედები,  
ამდენი ცრემლებით  
დავალბე გზა-შარა,  
რა კარგი დრო არის,  
რა მზეა,  
მტრედები,  
რამდენჯერ ვარდებმა  
კოკორი გაშალა...  
შენ მაინც არ ჩანხარ,  
შვილო არ მოდიხარ,  
ნუთუ არ გათავდა  
ის ომი ფიცხელი.  
ამდენი ფიქრებით,  
წუხილით,  
ლოდინით  
თუმც მოგტყდი,  
გავყურებ შარაგზას ფხიზელი.  
მაწვიმდა,  
მათოვდა  
ფიფქების ფანტელი,  
სურვილი მხურვალე  
იმედებს მაქსოვდა.  
ნუ მიწყენ, დედა ვარ.  
მშობელი,  
გამზრდელი,  
მე ისევ ისეთი,

ბუთხუზა მახსოვხარ.  
არ მინდა სიკვდილი,  
თუმც ძლიერ მოგბერდი,  
ოცი წლის ჭაბუკი,  
დაგტოვო ობოლი?  
ცოცხალი მგონიხარ,  
ყოველდღე მოგელი  
და ვუვლი ბაღ-ბოსტანს  
შენს ხელით მოლობილს..  
ომმა არ გვაცალა,  
ქორწილი მეწადა,  
ბადიში არ დამრჩა, —  
მაწუხებებს ძალიან...  
იმ შენმა ხათუნამ  
გიცადა,  
გიცადა  
და მერე გათხოვდა,  
რა მისი ბრალია.  
ზამთარმა იმსხვერპლა  
ვაშლები ნაცარა,  
ის შენი დარგული  
ქათქათებს ქლიავი.  
მამა სულ გელოდა  
და ბოლოს დასცალა  
საწუთროს ფიალა  
სიმწარით,  
სიავით.  
ის ძველი, ფიცრული

მარჯის სახ. საქ. სსრ  
საბჭოთა წიგნების რესპუბლიკა



სახლი დგას ისევე,  
 ფორთოხლის ხეები,  
 მომრავლდნენ დიდრონი.  
 თავს ვაკლავ ნარინჯებს,  
 წამით არ ვისვენებ,  
 ხომ გინდა, ბიჭო რომ  
 დაბრუნდე მშვიდობით...  
 დედაო,  
 შენს არწივს  
 სიცოცხლე ეწადა,  
 მტარვალებს დაუხვდა  
 უშიშრად ვოლგასთან,  
 ვეფხვივით ეკვეთა,  
 უტევდა,  
 ლეწავდა,  
 ზარავდა,  
 ჩეხავდა,  
 ელავდა,  
 ბორგავდა...  
 და უცებ გავარდა  
 პირშავი შაშხანა  
 და ტყვიამ გაკვესა  
 ვაჟკაცის ყურებთან,  
 მზე ჩაქრა წითელი,  
 ხელები გაშალა  
 და ბოლოს დაეცა

მდინარის ყურესთან.  
 ის საძმო საფლავში  
 ისვენებს მარადის  
 და ასე მძინარე  
 გაზაფხულს დარაჯობს,  
 მის მკერდზე წვიმები  
 ღვართქაფით გადადის,  
 მის მკერდზე მაისი  
 აანთებს ყაყაჩოს.  
 ის არის ცოცხალი,  
 არასდროს მოკვდება,  
 მამულის უბეში  
 იბოვა სავანე.  
 დედაო,  
 ცოდო ხარ,  
 გეყოფა ვოდება,  
 დედაო,  
 ნუ ნატრობ,  
 ნუ ნატრობ სამარეს.  
 ამ მზეს და სიყვარულს  
 შესწირა მან თავი  
 და ქვეყნის ჭრილობა  
 გულმკერდით დაფარა,  
 უკვდავი გახადა,  
 ეგ კალთა მართალი,  
 და უფრო ლამაზი —  
 ეგ შენი ჭადარა.



მიხეილ გოგობიძე

## საღაშური საღამე გზასა

ბერლინის ბრძოლების შემდეგ ორიოდ თვე უკრაინაში ვისვენებდით. უფროსი ასაკის ჯარისკაცები დემობილიზაციით წავიდნენ, შეთხელებული ბატალიონები და პოლკები გადაახალისეს. რამდენიმე უცნობი ჯარისკაცი ჩემს ათეულსაც შემოემატა.

ეშელონი შუა აზიის ტრამალებზე რომ გაიჭიმა, მაშინ მივხვდი გეზი საითაც გვქონდა აღებული. ზოგჯერ ისეთი დიდი საჰაერო არმადები გადაგვიქროლებდა, მზე აღარ ჩანდა. აშკარა იყო, აღმოსავლეთის ხანძარიც უნდა ჩაგვექრო.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ბოლო საღაშურზე გავჩერდით. მთელი ჩვენი აღჭურვილობა ავტომანქანებზე გადავტვირთეთ და პატარა ქალაქზე გავლით მოტვლებილი გორაკებისაკენ გავწიეთ.

ჩვენს პოლკს ხეობის განაპირა ადგილი მიუჩინეს. რუკას დავხედეთ. მანჯურის საზღვარს ორასიოდე კილომეტრი გვაშორებდა. ჩვენი ნაწილი მარქაფში იდგა, ამიტომაც შეგვარქვეს რეზერვისტები. ხეობაში დამკვიდრებაზე არავის უფიქრია, ყოველ წუთს ახალ განკარგულებას ველოდით. არც ტაქტიკურ მეცადინეობაზე ვღვრიდით ოფლს, ბატალიონში ახალბედა არცერთი არ იყო, რომ მისთვის ომის ანაბანა გვესწავლებინა.

ასე გავიდა რამდენიმე დღე.

ერთხელ ბატალიონის შტაბიდან ვბრუნდებოდი. ხევისპირა კარვის ჩრდილში ნებივრად გართხმული წითელარმიელი შევნიშნე. სიცხისაგან გულშეწუხებულ ჯარისკაცს ფარაჯა გაეხადა, პერანგის საკინძე ბოლომდე ჩაეხსნა და ბანჯგვლიანი მკერდი ხეობიდან მონაბერი ნიავისათვის მიემვირა. ხუთი დღის გაუპარსავი იქნებოდა. კუპრივით შავი წვერი სახეზე ჭარბად მოსდებოდა.

კარვების მწკრივში სახენაიარევი, საშუალო ტანის წითელარმიელი გამოჩნდა. მას მკლავზე ახალი გაზეთები დაეხვავებია და შემხვედრთ

ურიგებდა. წინა დღით მანჯურის გასათავისუფლებლად ჩვენი ჯარები კვანტუნის არმიასთან ომში ჩაება. გაზეთების მთავარი თემა ახლა ეს იყო.

სახენაიარევი კარვის ჩრდილში ვართხმულ წითელარმიელთან შე-  
ჩერდა.

— **Спишь?** — მორიდებით ჰკითხა.

— **Нет.** — რუსულში გაუწაფავ, კავკასიელისათვის დამახასიათებელი აქცენტით უპასუხა.

— **Свежие газеты не хотите?**

— **Нет.** — ისე ამოილაპარაკა, რომ თვალი არც გაუხელია, აშკარად აგრძნობინა, შენს გზას ეწიეო.

— **Наши объявили войну Японии.**

მხართეძოზე წამოწოლილს სახენაიარევის სიტყვებისათვის მნიშვნელობა არც მიუტია, მან მხოლოდ უფრო მკაცრად გაიმეორა „**Нет**“.

— **Ты что, не веришь? Вот в газете написано, прочти!**

— რას გადამეკიდა ეს კაცი? — ჩრდილში წამოგორებულმა ქართულად ჩაილაპარაკა, შემდეგ ზანტად გაიზმორა, ოდნავ წამოიწია და თავზე წამომდგარს შავი, მკაცრი თვალეზი მიაპყრო.

ქართული სიტყვა რომ გავიგონე, ისე მომეჩვენა, თითქოს იმ უხედნელი ბიჭის ენით ჩემი ქვეყანა დამელაპარაკა. რაც აღმოსავლეთის გზას დავადექით, ქართველი არ მინახავს.

კარვებიდან წითელარმიელები გამოვიდნენ.

მეც იქითკენ გავემართე, მიხლოდა ქართველის ვინაობა გამეგო, ორი-ოდე სიტყვა ჩვენებურად მეთქვა.

— **Ребята, слышите?** — სახენაიარევი მაინც არ მოეშვა, იგი ახლა ირგვლივ შემოკრებილთ მიუბრუნდა, — **Я говорю, что наши перешли в наступление, а он не верит, вот здесь прочти что написано** — გაზეთი ცხვირწინ დაუტრიალა. ქართველს ზედაც არ შეუხედავს, ხელი აუქნია, თავიდან მომწყდო.

— **Что, читать не умеешь?**

— **Нет, нет.** — თავმოებზრებულმა ქართველმა ბოლმით ამომარცვლა, ვატყობდი, მოთმინების ძაფი უწყდებოდა. წინ სეირის მაყურებელი წითელარმიელები იდგნენ, საქმეში ერთბაშად ვერ ჩავერიე.

— **А русский язык знаешь?** — ახლა ხმამაღლა და დაციხვით ჩასძახა სახენაიარევა.

— **Слушай, нет, нет, уходи!**

— **Чего кричишь, пугаешь что ли...** — და დედა შეაგინა.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ქართველი ვეფხვივით წამოიჭრა, (იგი გოლიათური აღნაგობის აღმოჩნდა) სახენაიარევი ჩვილივით ხელში აიტაცა და ხუთიოდე მეტრზე კუნძივით გაიქნია. წაქეუულს გაზეთებიც თავზე დააცვივდა.

ასე ზვინივით დადგმულ კაცს იშვიათად შევხვედრივარ. ორი მეტრი სიმაღლისა მაინც იქნებოდა. მხრებში ლაღად გაშლილს თვალს ვერ მოწყვეტდით. მორგვივით მსხვილი მკლავები ისეთი დაკუნთული ჰქონდა, იტყოდით, მაგის ხელში მეტერი ჩავარდაო.

საქმე რომ არ გართულებულიყო, გოლიათს წინ ჩავუდექი და ჩვენებურად გამოველაპარაკე.

— ბიჭო, რამ გაგახელა. დამწვიდდი, კაცი არ შემოგაკედეს.

— ქართველი ხარ? — სიხარულისაგან ლამის გულში ჩამიკრა, დიდრონი, შავი თვალეები ცრემლებით ავესო. — ერთი, მაგათ ენაზე ჰკითხე, რას მემართლებს, დედას რად მიგინებს?

მტყუან-მართლის გარჩევა აღარ დამიწყია, ჩემთან წამოდი-მეთქი, ვუთხარი. მორჩილად დამყვა. ხალათი გადაიცვა. მკერდზე საბრძოლო ორდენები და მედლები აუკიაფდა.

კარგებს გავყევით.

— Буйвол! — მოაძახა ვილაცამ. იქით მივიხედეთ. სახენაიარევმა ძლივს აითრია წელი.

გოლიათი ქართველი მიხვდა, რომ ცუდი რაღაც სიტყვა ესროლეს, მაგრამ აღარ გაბრაზებულა, მაგ სიტყვით რაის დამაკლებსო, მითხრა, სახეზე ღიმილი გადაეფინა.

გრძელი, მოზომილი ნაბიჯებით მომყვებოდა, ისეთი ნაბიჯებით, შთაში გაზრდილი კაცი რომ დააბოტებს. ფეხს ისე ადგამდა, გეგონებოდათ, ვეება სხეულის სიმძიმით მიწაც კი იღრიკებო.

— ხევსური ხარ?

— ხევსური ვარ, კობაი უთურაული.

ყველა ხევსურში ვაჟას ვხედავდი. უთურაული ვაჟას არ ჰგავდა, პოეტობისა არაფერი ეტყობოდა. ასეთი გოლიათები საჭიდაო ხალიჩაზე ღვენთავენ თავიანთ ძალას.

კარავში შევიყვანე, ტახტზე დავსვი. მათარა მოვძებნე და შემორჩენილი არაყი გადავაკრევინე.

თავი ჩემთან რომ დაიგულა, გახალისდა, შინაურულად მოიკალათა. მარტოობით გული დაღონებული მქონდაო, მითხრა.

სიცილი ვერ შევიკავე, რამდენიმე ათასი კაცი იყო ჩვენს პოლკში, უთურაული კი მარტოდ გრძნობდა თავს.

— ერთი უწიგნური კაცი ვარ, რუსული კი არა, ქართული კითხვაც არ ვიცი. — ისეთი ტკივილით მითხრა, გულს ლოდი ჰქონდა დაწოლილი.

სკოლაში არ გივლია-მეთქი, ვკითხე.

— ობლობაში გავიზარდე. მამა წინა ომში დაიღუპა. ხუთი წლისას დედაც გარდამეცვალა. ბიძაჩემის ანაბრად დავრჩი. სკოლაში მიმბარეს, მარა წიგნს გული ვერ დავუდე. დამძალებელი არავინ მყავდა. ბიძაჩემი

სარქალი იყო, რაკი სკოლა არ გინდა, სხვა საქმეს გავიჩენო, მითხრა და ცხვარში მიკრა თავი. კარგი მეცხვარე დადექი, მთაში ტოლი არ მყავდა, მაგრამ მერე რა, ღმერთმა ჩემთვის ღონე გაიმეტა, ჰკუა კი არა. იმ ჩემი პატარა ჰკუით შორს ვერ წავედი. ჩემი მზე სადღაც არღუნს იქით ამოდითა და არღუნს აქეთ ჩადიოდა.

ვუსაყვედურე, გაუპარსავი რადა ხარ-მეთქი.

— სამართებელი დანა დავკარგე, — დანანებით მითხრა.

წითელარმიელს სამხარეულოდან თბილი წყალი მოვატანინე, სამართებელს პირი ავუწყვე და კობას გავუწოდე.

ხუთიოდე წუთში გაიპარსა, წამოდგა, ხალათი გაისწორა, მხრები გაშალა, კარავში ძლივს დაეტია. შვენოდა კობტად დაყენებული ულვაში, მაღალი შუბლი, ომახიანი ბარიტონი. მხოლოდ ეგ არის, რომ უენო იყო, სათქმელი გულს აწვებოდა, მაგრამ თუ არ ჩაეკითხებოდი, სიტყვას არ დაძრავდა.

სამართებელი ვაჩუქე. მაღლობა გადამიხანდა.

ასე უენომ ქალს სიყვარული როგორ აუხსენი-მეთქი, ვკითხე.

არც არა მითქვამსო, მითხრა.

გამიკვირდა, უფრო ღრმად ჩავეძიე. გამოირკვა, რომ შუამავლობა ბიცოლას გაუწყვია. მეზობელ სოფელში ქალი მოსწონებოდა, ორიოდე კვირის შემდეგ კობასთან ერთად კარზე მიადგა. მორცხვობდა ქალი, ბიჭიც დაბნეული იყო. ახალგაზრდებს ერთმანეთი თვალში მოუვიდათ. ჩქარა პატარა ქორწილიც გადაიხანდა. კობას ისე გაუტკბა ცოლთან ყოფნა, ცხვარში წასვლა აღარც უნდოდა, მაგრამ აქაც ბიცოლა ჩაერია საქმეში, „ვაჟკაც მთაჩი, ცხვართან უნდა იყვას, თორემ ეს რასა გავს, დიაცის კაბას გამოები, სირცხვილი გინდა გვაჭმიო?“ გულანაბადი აუკრა და ცხვარში ძალად გაუშვა.

მოგონებებმა კობას მთა დაუყენა თვალწინ. ფიქრებში წასული ერთხანს უბრად იყო გარინდული.

ვაჟასი რა იცი-მეთქი, ვკითხე.

ოცნებას თავი დააღწია, წყენით გადმომხედა.

— ვაჟაი ვინ არ იცის.

— შენ ხომ წიგნს ვერ კითხულობ.

— მერე, რა, ცხვარში ბიჭები კითხულობდნენ, მეც ვყურობდი.

— მითხარი რამე.

თვალი მომარიადა, თავი დახარა და ტკბილი, ბუბუნა ხმით დაიწყო:

„არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,  
ეწადა ბეჩავს ადგომა,  
მაგრამ ველარა დგებოდა“...

ლექსის შინაარსმა, მშობლიურ მთებზე ოცნებამ მორცხვობა გადავიწყა, თავი მძიმედ ასწია, თვალები კარვის ჭერს მიაპყრო და არწივის ხვედრით შეწუხებულმა განცდით ჩაამთავრა მთელი ლექსი.

ერთად მოვიგონეთ ზვიადური, ზეზვაი, ჯოჯოლა, ლელი; ერთად გადავაველეთ თვალი საქართველოს ცადაწვდილ მთებსა და უფსკრულებში ჩაკიდულ ჩანჩქერებს, დაცვარულ მდელოებსა და აბიბინებულ ბალვენახებს. ორმა ქართველმა, სადღაც, მანჯურიის საზღვართან, ერთმანეთს დაეუამეთ სამშობლოს ნატვრით გამოწვეული ტკივილი.

სხვა ამბებიც გამოვკითხე.

ომი რომ დაიწყო, ვაუკაცებისაგან მთა დაიცალა, უთურაულმაც მიიღო უწყება, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვერ შეეღია. ხუთი კაცის საქმეს აკეთებს, უმაგისოდ ცხვარს გაუჭირდებაო, განაცხადა რაიკომში. დაუჯერეს. მომხდური კავკასიონის მთებთან რომ გამოჩნდა, მაშინ უთურაულმა იფიქრა, ჩემს ქვეყანას, ჩემს სახლ-კარს მტერი თუ შემეიგინებს, თავი ცოცხლად რად მინდაო. ცხვარი მიატოვა, რაიონში ჩავიდა და სამხედრო კომისარს სთხოვა, შაშხანა მომეცითო. უთურაულო, ასე შინს ქეიფზე ვერ გაგიშვებთ, როცა დაგვჭირდები, თვითონ დაგიძახებთო, უთხრეს.

1943 წლის სექტემბერში კოლმეურნეობის თავმჯდომარე და უთურაული არმიის ერთად გაიწვიეს. ცხვარში მოხუცები და უმწიფარი ბიჭები დარჩნენ.

უთურაულს ეგონა ერთ კვირაში მტერთან ბრძოლაში ჩაებმებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ორი თვე მწყობრში ფეხის შეწყობა ვერ ასწავლეს. ეს რა გაუთლელი ვინმე შემხვდაო, ათმეთაური გაჩენის დღეს იწყებოდა. არ იქნა, სამხედრო წესებისა ვერაფერი გააგებინა. შემდეგ საარტილერიო დივიზიონში ჩაირიცხეს. იქ კი გაინარეს უთურაულის მისვლით. ცხენის ძალა აქვსო, ამბობდნენ.

სანამ ქართულ დივიზიაში იყო, ბედს არ ემდუროდა. სხვებთან ერთად ინაწილებდა ჭირსა და ლხინს. ქვეყნის ამბებისა დიდი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ თავის მოვალეობას ურიგოდ როდი ასრულებდა.

ერთხელ, ყუმბარის ნამსხვრევით თავში მძიმედ დაიჭრა. ჰოსპიტალში მოვიდა გონს. რაკი ქართველი თავისთან ვერ დალანდა, სიტყვა აღარ დაუძრავს. რაც არ იცოდა, რას იტყოდა. ექიმები შეშინდნენ, ხომ არ დაჭრუვდა, ან ხომ არ დამუხჯდაო. ასე გაატარა სამი თვე. გამომჯობინებულს ექიმმა მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი, „здоров, как бык“ უთხრა და ისევ ფრონტზე გაგზავნა.

ისეთ ნაწილში მოხვდა, სადაც არცერთი ქართველი არ იყო. ენა ისევ ჩაუვარდა მუცელში. მეთაურებს მისი არ ესმოდათ, მას კი მეთაურებისა. ბედად ასეულში ახალციხელ სომეხს წააწყდა, რომელმაც ცოტა ქართული

ნიკოლა, ცოტა რუსული, იმ სომეხს ამოს ეძახდნენ. ასეულის. მეუფრმა უთურაული იმ ათეულში გადაიყვანა, სადაც ამო იყო. იმ დღიდან უთურაულს გაუადვილდა არმიაში ყოფნა. ამოს არ შორდებოდა, ასე ერთად გაატარეს შვიდი თვე. ბერლინის ხანძარმა სხვებთან ერთად ამოც ამსხვე-რბლა.

მეგობრის დაკარგვა უთურაულმა მძიმედ განიცადა, გული ვერავის გაუხსნა, სათქმელი ვერავის გაუმხილა, იწოდა, ასე, თავისთვის.

შემდეგ ეშელონები აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. იაპონელებთან საბრძოლველად მივიღვართო, უთხრეს. ის კი ვერ გააგებინეს, მათთან რა გეჟონდა სადაო, ან სამტრო.

მარტოობის ვარამი უთურაულს აღმოსავლეთშიც შემოაწვა. შილეთის ხალხში ერთიც ვერ ნახა ქართულად მოლაპარაკე, თავისი ეთქვა და სხვისიც გაეგო.

ჩემი სტუმარი იმით ვანუგეშე, რომ ასეთ დღეში სხვებიც იყვნენ. არმიაში რამდენს ნახავდით ისეთს, რომელიც მთის ორწოხებს არასდროს განშორებია, მატარებელი არ ენახა, ზღვა არ ენახა, მიუხედავად ამისა, სამშობლოს პირველსავე დაძახილზე ფარაჯა ჩაიცვა და შაშხანას მოკიდა ხელი.

დიდების ორდენი როგორ დაიმსახურე-მეთქი, ვკითხე.

— არც როგორ, — ხევსურულად მოუქცია.

— ტყუილად ხომ არ მოგცემდნენ, ალბათ ბრძოლაში თავი გამოიდე.

— ტანკები შემოგვესია, ორი ჩემს სანგარს მოადგა. ბიჭები შედრკნენ. აქ რომ მამიხველ მოსისხლევ, მკვდრები ხომ არ გგონივართ-მეთქი, დავუყვირე და ყუმბარების შეკვრა ვესროლე. ორჯერ ვესროლე, მკერდი ძლივს შევუნგრე.

კობამ ეს ამბავი ისე უბრალოდ მოჰყვა, თითქოს ტანკები მუყაოსი იყო და ქვით დაამსხვრია.

გვიან ლამემდე შევრჩით. გამოთხოვებისას ვუთხარი, ხშირად შემოევლო.

— სიკეთე თუ გინდა ჰქნა, სხვის ანაბარად ნუ დამაგდებ, ბარემ შენს ათეულში ჩამრიცხე და ძმად გიგულე. — მთასავით დადგმულმა გოლიათმა საცოდავი ხმით მთხოვა.

ბატალიონის მეთაურს უთურაულის მდგომარეობა მოგახსენე. უმალვე დამეთანხმა. თავი ჩემთან ახლოს რომ დაიგულა, ხალისი დაუბრუნდა, განმარტოებას აღარ ეძებდა, მუდამ ბიჭებთან იყო, ხელებით, ქართული ქდა დამახინჯებული რუსული სიტყვებით უყვებოდა თავის თავგადასავალს. მებრძოლები ჩქარა შეეჩვივნენ, აღარ დასცინოდნენ.

მწყობრში ფეხის შეწყობას ვერც მე შევაჩვიე, სასაცილოდ დააბოტებდა, ორის გათვლაზე მხოლოდ ერთ ნაბიჯს გადადგამდა, სხვებს ხელს

უშლიდა, ბოლოს, მიუხედავად სიანხმისა კოლონის ბოლოში დავაყენებ. ერთხელ სადგურზე ათეული წავიყვანე. ვაგონებიდან საბრძოლო მასალა უნდა გადმოგვეტვირთა. უთურაული საქმეს ისეთი მონდომებით შეება, მზად იყო ვაგონები მარტოდ დაეცალა. ყველას შევლოდა, შემბრძოლებს ტკბილი სიტყვებით ამხნევებდა: „Ты мой брат“, „Ты хороший брат“. მისი მოგუგუნე ხმა სხვა ვაგონებს წვდებოდა, მისი გაშლილი მხარბეჭი ყველგან ზვინივით მოჩანდა.

ჩვენებმა კვანტუნის არმია შორს, მანჯურიის სიღრმეში გარეკეს. რეზერვისტებიც ფეხდაფეხ მივყევით.

რომელიღაც სოფლის განაპირას დავბანაკდით. საქმეებით ისე ვიყავი გადატვირთული, პირველ ხანებში უთურაულისათვის ველარ მოვიცალე.

ნაშუადღევს ყორღანთან წავაწყდი. განცალკევებით იჯდა, სულიც დამძიმებოდა, ფიქრებით შეპყრობილი შორს, დასავლეთს გაჰყურებდა.

— სახე რას ჩამოგტირის? — ვკითხე.

— ცუდი სიზმარი ვნახე.

— სიზმარს რა დაეჯერება?

— მე სიზმრისაც მჯერა, ღმერთისაც და კაცისაც.

— რა გესიზმრა ისეთი?

— ხევსურეთის გზას რომ შევუდექე, მთაში საშინელი ავდარი დამხვდა, ნიაღვრები კლდეებს ანგრევდა, შეშლილმა მდინარემ ხიდე წახვეტა. წყალგაღმა დავრჩი. სოფელს ვავხედე. ხალხს ადგილის დედა გაეწირა, სადღაც გარბოდენ. ხატიაც გარბოდა, ყმაწვილები ღვთის ანაბარად ეყარნენ ეზოში. მათი წიკუ მთელს ხევს სწვდებოდა.

— ეგ ხატია ვილა?

— ჩემი ცოლი. ალბათ სახლი დააგდო და ალუდას აედევნა.

— ალუდა ვილა?

— საბჭოს მდივანი. ხატიაზე თვალი ეჭირა, არ ასვენებდა.

— ასე რატომ გგონია?

— ლამაზი დიაცია\*, ნასწავლი, ახალგაზრდა. იქნებ ფიქრობს, კობაი ცოცხალი აღარ დაბრუნდებაო.

— რა განათლება აქვს?

— შვიდი კლასი რომ დაამთავრა, შემდეგ ერთი წელი რაიონში ექთანობას სწავლობდა, მაშ.

უკანასკნელი სიტყვა „მაშ“ ისეთი ინტონაციით წარმოთქვა, თითქოს იმის იქით სწავლა აღარ იყო. ცოდნის კობასებურმა განსაზღვრამ ღიმილი მომგვარა. მთის მიყრუებულ სოფელში ხატია ექთანი შეიძლება, ყველაზე განათლებული ქალი იყო, მაგრამ განათლებულსა და შეგნებულს განა მე-

\* გათხოვილი ქალი დიაცად იწოდება. გასათხოვარი — ქალად.

ტი არ მოეთხოვება? სიზმრით აფორიაქებული კობას ექვი მაინც უადგილო მეჩვენა.

— წერილს არ გწერს?

— ზამთრის შემდეგ არ მოუწერია.

— შენ ხშირად სწერ?

წერა არ ვიცი. გაზაფხულზე ამოს დავაწერინე, ბერლინისაკენ მივდივართ, გიტლერს კისერი უნდა მოვუგრიხოთ-მეთქი. მას შემდეგ რამთვენი ხანი გავიდა. პასუხი არ ჩანს.

— კობა, მომისმინე, კარგად განვსაჯოთ. აქეთ რომ წამოვედით, ადრინდელი საველე ფოსტის ნომერი შეიცვალა. ალბათ შენ ახალი მისამართი აღარ გიცნობებია.

— მართალს ამბობ, — დამნაშავის მსგავსად თავი ჩაქინდრა. — რაკი დივიზია იგივე დარჩა, ჩემთვის ვიფიქრე, მისამართიც იგივე იქნების-მეთქი. ან, ვინ დამიწერდა, ვის გავაგებინებდი რაც მინდოდა მეთქვა.

— სიზმრებს ჭკუას ნუ ამძვრევინებ. უმჯობესია, ახლა კარავში წავიდეთ და შენს ხატისა წერილი გავუგზავნოთ. ორიოდ დღის შემდეგ კიდევ გავუგზავნოთ. ერთი თუ დაიკარგება, მეორე მიაღწევს.

შევატყვე, უთურაულს გულზე მოეშვა, მაგრამ ექვისაგან მთლიანად მაინც ვერ გავათავისუფლე. მკერდის კუნჭულში რაღაც მაინც ენწლავდა. ვიღაც ალუდაზე ფიქრი მაინც არ ასვენებდა. ჩემიც სჯეროდა, სიზმრისაც. ასეთ გაორებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

წერილის გაგზავნიდან ორიოდ კვირის შემდეგ კობა კვლავ მოუსვენრობამ შეიპყრო, მისი ანგარიშით, გაგზავნილი წერილის პასუხი საცაა უნდა მოსულიყო. ფოსტალიონს ბარათის შესახებ არაფერს ეუბნებოდა. თავს იმით შეახსენებდა, რომ ცხვირწინ ჩაუვლიდა, მობუბუნე ბარიტონით მიახლიდა „здрасტი брат“ და გზას განაგრძობდა. მოლოდინით რომ არ დატანჯულიყო, ათასნაირ დავალებებს ვაძლევდი. დრო მაშინ არც თუ ისე ბევრი გვრჩებოდა, ბანაკს თითქმის ყოველ ორ დღეში ვიცვლიდით. პირველი გარდვევა გაძნელდა, თორემ ნიაღვარივით დაძრულ ჩვენს ჯარებს შემდეგ ველარაფრით აკავებდნენ. წინ წასულთ რეზერვისტებიც ფეხდაფეხ მივდევდით. მთელი დრო ბანაკების აშლასა და ახალ ადგილას მოწყობას უნდებოდა, ხშირად ღამითაც არ გვექონდა მოსვენება.

ერთხელ ათეული ველზე გავიყვანე სავარჯიშოდ. კობა ნაწილში მორიგედ დარჩა. უკან რომ ვბრუნდებოდით, ლეიტენანტი შემომხვდა.

— შენი თანამემამულე, აი, ის ბაყბაყ დევი რა გვარია?

— უთურაული.

— ჰო, უთურაული, კარვების წინ დადის და იცრემლება. სიცილი ვერ შევიკავე, მეგონა მის გულს ტანკიც ვერ შეაკრთობდა, ის კი ბავშვით იცრემლება. მივედი, რა გჭირს-მეთქი, ვკითხე. ჯიბიდან გაკეცილი ქა-

ღალდი ამოიღო, „МОИ ПИСМО, МОИ ПИСМО“ — იძახის, თან წერილს ხელში ატრიალებს. რა წერია, ცუდი ამბავი გაცნობს? ვეკითხები. შენც არ მომიკვდე, ვერაფერი გავაგებინე“, „МОИ ПИСМО, СЕРЖАНТ НЕТУ“, СЕРЖАНТ НЕТУ“ — იძახის. მიდი, იქნებ გაიგო რა ცეცხლი უქიდია.

ლეიტენანტს ორიოდ სიტყვით კობას მდგომარეობა გავაგებინე. არც ის დამიფარავს, მეუღლეზე რომ ექვიანობდა. ლეიტენანტიც თან გამომყვა. კობას ავტომატური შაშხანა (პატარა ავტომატს ვერ ეწყობოდა) მხარზე გადაეკიდა და გრძელი ნაბიჯებით კარვეის მწკრივში დააბოტებდა.

— უთურაულო რა მოხდა? — შორიდან ვე მივაძახე.

— წერილი მივიღე, ამხანაგო სერჟანტო.

— მერე მოკვდა ვინმე?

— არ ვიცი, ვერ წავიკითხე.

წერილი გამოვართვი. ლამაზი კალიგრაფით ორი გვერდი სავსე იყო. მეუღლე საყვედურით იწყებდა, აქამდე რატომ ხმა არ მოგვაწვდინე, გული გადაგვიტრიალდა, ცოცხლებში აღარ გთვლიდით. მე თუ არ გებრალები, ბავშვები მაინც შეიბრალებ, ხომ იცნო, რომ შენზე ამოგვდის მხესახლში რამდენი საქმეა, ყორე ჩაიშალა, სახლიც დაზიანდა ხან აწვიმს, ხან ათოვს. მე ბავშვებსა და სამსახურს ძლივს ავუღივარ. დამხმარე არავინ მყავს. ბიძაშენს ძველებურად აღარ ძალუძს, ცხვარს თავი დაანება და სახლში ზის, პირიქით სჭირდება დანხარება. მე ვლუდა მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა, ჯერ არ გამრთელებულა. მთაში ბევრმა ოჯახმა ჩაიცვა შავი. თავმჯდომარე დაიღუპა, აღუდაც დაიღუპა, ბევრი სხვაც არ ჩანს.

შენმა წერილმა ყველა გაგვახარა. დაბრუნდება და მოგვხედავსო, მეზობლები ასე ამბობენ. ბავშვებიც შენი მოლოდინით გადაილიენ, მუდამ ხვევის ბილიკისაკენ უჭირავთ თვალი, რამდენ სამხედროს დაინახავენ, მამამოვიდაო, შესახვედრად გარბიან.

ჩვენ კარგად ვართ. მანდ ვინმე ქალი არ გადაგეკიდოს და ჭკუა-გონება არ აგირიოს, სამხედრო სამსახური ჩქარა დაამთავრე და ჩამოდი. უთხარი გაკმარონ რაც იომე, ცოლ-შვილი უპრონოდ მყავს-თქო, სწორედ ასე უთხარი...

მოკლედ, იმ პატარა ბარათში ხატისათვის თანხის ოჯახის, მთისა და ქვეყნის ამბავი ჩაეთია. კობას ავხედე, თვალები სინხარულის ცრემლებით ავსებოდა. მღელვარებისაგან კრიჭაშეკრულს სიწყვაც ვერ დაეძრა. ახლა იგი უკეთესს ვერაფერს ინატრებდა, თვითონაც კარგად არის, სახლშიც კარგად ყოფილან, მხოლოდ ეგ არის, ოჯახს კაცის ხელი დააკლდა, მაგრამ რა გაეწყობა, დაბრუნდება და ყველაფერს მოუგლის.

საღამოს მთხოვა წერილი ისევ წამეკითხა. როცა ვისმენ, ასე მგონია, ხატია გვერდით მყავს და თვითონ მელაპარაკებაო. წერილს ჯიბით დაატარებდა.

იმხანად აღმოსავლეთის ხანძარიც ჩავაქრეთ. გამარჯვებულმაც და დამარცხებულმაც შვებით ამოისუნთქა. სისხლის მდინარეები აღარ იღვრებოდა, სიცოცხლეს დაწაფებული ახალგაზრდები ტყვიით აღარ ღიუბებოდნენ.

ტაქტიკური მეცადინეობის შემდეგ ბიჭები გასართობად ველზე იკრიბებოდნენ, ბურთს თამაშობდნენ ან ლაზღანდარობდნენ. ერთხელ ციმბირელმა, ჯანიანმა მებრძოლმა ბიჭებს განუცხადა, ვის სურს მეჭიდაოსო.

ბევრი დასცა. ღონიერი და ავაზასვით სწრაფი იყო.

კობა გვერდით იდგა და ორთაბრძოლას სპორტული ქინით ადევნებდა თვალს, ეტყობოდა, ძარღვებში სისხლი უღუღდა, ისე ბორგავდა, თითქოს თვითონ იდგა საჭიდაო ხალიჩაზე.

— შეებმები? — ვკითხე.

— რად არა, — სიამაყით მითხრა.

ფარაჯა და მაისურა გაიხადა, წრეში შებაჯბაჯდა. სიბ ქვასავით თლილ მკერდსა და მორგევით მსხვილ მკლავებს თვალი ვერ მოვაშორე. მოჭიდავეები უმაღვე გაიკრიფნენ, ვერავინ შებედა. კობა მშვიდი ღიმილით ხან ერთს იწვევდა, ხან მეორეს. «Давай, брат, давай», «ничего, ничего». აქეზებდა ირგვლივ შემოკრებილთ, მაგრამ მსურველი მაინც არავინ აღმოჩნდა. მაშინ მითხრა, მაგათ უთარგმნე, ორი გამოვიდეს, ნუ ეშინიათ, არ დავამახინჯებ.

მინდორი წითელარმიელებით აივსო. სეირის სანახავად მეთაურებიც მოსულიყვნენ.

კობა, თითქოს ლახტში იდგა, ვიწრო წრეში დააბოტებდა, ცდილობდა მოწინააღმდეგე ხელში ჩაეგდო. ორი კუნთმაგარი ბიჭი ირგვლივ უტრიალებდა და შემთხვევას ეძებდა წელში ან ფეხებში შევარდნოდა.

დიღხანს ზვერაგდნენ ერთმანეთს. ბოლოს კობამ მარდი ნახტომით წინ მყოფი ხელებში მოიქცია, ამით მეორემ ისარგებლა და ზურგზე შეახტა.

სასაცილო სანახავი იყო. წინ მყოფი რკინისებურ მკლავებში გამოსალტა და განძრევის საშუალება არ მისცა. ის, რომელიც ზურგზე ასხდა, ზემოდან ვერაფერს აკლებდა, უფრო იმის ცდაში იყო, მაყურებელი გაემხიარულებინა. კობას გახელება ოდნავადაც არ ეუფლებოდა, თითქოს ილღიებში უღიტინებენო. გულიანად იცინოდა.

დიღხანს იძიძვილავეს. კობას მათი წაქცევა არ უცდია, ეტყობოდა, არ უნდოდა თანამებრძოლების გაღიზიანება, ვერც მას დააკლეს რაიმე.

ბანაკში რომ ვბრუნდებოდით, ვკითხე, ვინმესთვის თუ შემოგიკრავს-მეთქი.

ჩვენი კაცი რად უნდა მოვკლავო, მითხრა.

ერთი დარტყმით კაცი ვის მოუკლავს-მეთქი, შევედავე.

— მეიკვლის, რად არა, — არ დამეთანხმა. — ერთხელ სანგარში გერმანელები შემოგვეჭრნენ. ერთი ჩემსკენ გამოქანდა. თოფი ვერც მე გავმართე, ვერც იმან. მაშინ დანა იშიშვლა. დანით რას დამაკლებდა. მუშტი თავში ერთხელ დავკარ, პირიდან სისხლი გადმოანთხია. აღარც განძრეულა.

დავუჭერე. კობას ტყუილი არ ეხერხებოდა. არც სჭირდებოდა.

ომის დამთავრებისა და ხატიას ბარათის შემდეგ კობა მოუთმენლობამ უფრო შეიპყრო. არმიაში გული აღარ უდგებოდა, მშობლიურ მთებზე ფიქრი, ოჯახზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა.

— როდის შავუდგები არაგვის ჭალას, შვილივით მომენატრნეს ხევსურეთის სავალნი გზანი, — მეტყოდა ზოგჯერ.

ძალიან უყვარდა ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“. ხშირად წაიმღერებდა თავისთვის —

„სიცოცხლე ქრება, სისხლი დის,  
ზვიადაური კვდებოდა,  
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,  
გული გულადვე რჩებოდა“.

დემობილიზაციის ბრძანება შუა შემოდგომაზე მივიღეთ. იგი ჩვენთვის ისეთივე სასიხარულო იყო, როგორც ომის დამთავრება. ჩქარა საბუთები გავაფორმეთ, გულანაზადი ავიკარით და ეშელონებს მივაშურეთ.

კობა სამი დღით ადრე დაითხოვეს, მაგრამ დამელოდა, უშენოდ გზას ვერ გავიგნებო, მითხრა. ეშელონიდან სადგურებზე არც ჩამოდიოდა, ეშინოდა არ დარჩენილიყო.

თბილისამდე ერთად ვიმგზავრეთ. მთაში დამპატიყა. ჯიხვზე სანადიროდ წავიყვან, ხატიას ჩაყრილ ხინკლებს გაჭმევო.

იგი მთის გზას დაადგა, მე ზღვისპირეთის.

როცა ომის ქარიშხლიანი დღეები მეხსიერებას ამიფორიაქებს, უმაღლვე კობა უთურაული დამიდგება თვალწინ — გოლიათური ტანით, მოგუგუნე ხმით, ბავშვურად მიამიტი და გულჩვილი, უწიგნურობით ილაჯგაწყვეტილი და დაბეჩავებული, მაგრამ მაინც გაუტეხავი, ლალი, მძლავრი და წმიდა.

ერთი წლის შემდეგ მცირემცოდნის ხელით დაწერილი ბარათი მივიღე. ქვეყნის ნახვამ გამაგებინა, რა ფასი ჰქონია სინათლეს, მეც მიყვევი ჰკვიანი კაცის მცნებას და წიგნის სწავლა ახლა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში დავიწყეო, კობა თავის მდგომარეობას მაცნობდა.

გამოხდა ხანი. კობამ ხმა ისევ მაწვდინა.

წიგნს დიდი ძალა აქვს, ადამიანებს სიკეთეს ასწავლის. რატომ ხდება,

რომ ზოგჯერ ნასწავლი კაცი უსწავლელზე მეტ დანაშაულს სჩადის, მოძ-  
მეს ღალატობს, თავის ხალხს ღალატობს, სხვის ნაოფლარს ეფუძვება,  
თვალი ხარბი აქვს, გული კი გაუმადლარიო, — ბარათით მეკითხებოდა.  
მივხვდი, რომ რაღაც მტკივნეული აზრი კობას მოსვენებას არ აძლე-  
ფდა, სულს უმღვრევდა, ვილაცის ავკაცობით გაღიზიანებული ცუდ ფიქ-  
რებს შეეპყრო. იმ ბარათმა ბრძენის სიტყვები მომაგონა: — სულმდაბლე-  
ბის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ ჩვენს გულს სიძულვილი  
ასწავლისო.

ნათქვამია, ვინც დროულად შველის, ორმაგად შველისო. ამ კეთილ  
რჩევას მეც მივყევი. იმავე დღესვე ხევსურეთისაკენ გავწიე.

---

## მამის ღვიძა

რატომ არ მოველ წვიმადა...

ვაჟა

დავდივარ... ვწუხვარ და მენანება.

გალაკტიონი

ივლისი იყო.

მზე გვადნებოდა.

თვლემდნენ ფოთლები

განაბულები.

ალარ იძვროდა ჩიტი ჩეროდან,

ნიავეც ალარ ქროდა სრულებით.

დღე იყო, როცა არ ელი ავდარს,

ცაზე რომ არ ჩანს კენტი ღრუბელიც,

როცა უეცრივ ზედ სახლის კართან

გასკდება მეხი გადამბუგველი.

შინ მივდიოდი და გარეუბანს

რომ მივეახლე, შემხვდა ნაცნობი.

არ შემაჩერა.

გაბრუნდა უბრად

და ავიმღვერი რაღაც სხვა გრძნობით.

მერე გზადაგზა მხვდებოდნენ სხვებიც,

მაგრამ არავინ არ მაჩერებდა.

რაღაცას ვხვდები,

თანაც ვერ ვხვდები

და სულს მიხუთავს რაღაც ჩვენება

ხახა მიწრება და სუნთქვა მიჭირს.

ეს გზაც გაგრძელდა,

არ უჩანს ბოლო



და მესმის, მესმის:

— საბრალო ბიჭი!

მჭირს რაღაც,

რა მჭირს, არ ვიცი მხოლოდ.

და საშინელმა შემზარა აზრმა.

ვეცადე, მაგრამ ვერ მოვიშორე.

თითქოს სიცოცხლის ნიშატი დაშრა

და უკვე ფსკერზე მოვყევი მორევს.

მოუთმენელი ტკივილი მკლავდა...

აი ეს ქუჩაც.

ჭიშკარი.

ხალხი.

გონწართმეული ფეხს ძლივსლა ვადგამ,

გადამეფარა თვალეზზე თალხი.

შინ შემიყვანეს.

გაჩუმდა დედა

მამის ტანსაცმელს გადამხობილი.

მისი ქვითინი ისმოდა ერთ ხანს.

თავზე ვადექით სამი ობოლი.

\* \* \*

ასე გამშრალი ვიდექი დიდხანს.

ხმას ვერ იღებდა ირგვლივ ვერც ერთი.

ცნობას დავხედე.

არ წამიკითხავს.

ვიცი, რომ მოჰკლეს,

სხვას არ ვეძებდი.

მომესმა:

— მაგრად გეჭიროს თავი,

გამაგრდი, მამის იყავი ღირსი!

რა უბადრუკი და საცოდავი

მეჩვენა მაშინ სიტყვები მისი.

დედის გოდებამ წამართვა ღონე.

მხრებჩამოყრილი ტიროდნენ ძმებიც.

მთელ ტანში მენტო ნამდვილი თონე.

და უცებ თითქოს დამემსხვრა ძვლები.

დავბარბაცდი და დამიდგეს სკამი.

ვიღაცას ოხვრა აღმოხდა მწარე.

ეს იყო წამით,

სულ ერთი წამით.



წამოვდექი და გამოველ გარეთ.  
 მერე, ვერაფრის ვეღარ მხილველი,  
 ვდგავარ და მესმის ყურში ზრიალი.  
 თითქოს გაჩენის დღეა პირველი  
 და არ ჭაჭანებს ადამიანი.

ცა გააშავეს ჩვენთვის ღრუბლებმა,  
 გაქრნენ დღეები იმედით სავსე.  
 გარეუბანში უბედურება  
 პირველად ჩვენს სახლს დაატყდა თავი.  
 თვალს დავხუჭავდი და თვალწინ მეღ  
 იგივე სიმწარით უნელებელით  
 ჩვენი ოჯახის პირველი ელდა,  
 პირველი სევდა უშველებელი.

\* \* \*

შემომატარა ეზო რა ძალმა,  
 როგორ ვიარე, ნეტა, რა ძალით?!  
 ყოველი მხრიდან მიცქერდა მამა  
 ღიად დარჩენილ ათასი თვალით.

\* \* \*

ვისი სახელი ახსენე ოხვრით.  
 რა მოგალანდა სიკვდილის წამმა?  
 ხევისწყლის პირად პატარა ქოხი,  
 შენი ბავშვობა, დედა და მამა?  
 თუ მოიგონე,  
 თუ გაიხსენე  
 ვიდრე დარეკდა სიკვდილის ზარი —  
 მიტოვებული ოჯახი შენი,  
 მიტოვებული ეზო და კარი?  
 უღმერთო ფიქრი ლაღარში მახვევს —  
 ის მაწვალებს და ის მტანჯავს უფრო,  
 რომ ამ ქვეყნიდან უცრემლოდ წახვედ,  
 დაუტირლად და უჭირისუფლოდ.  
 და იწვის სული, ვით ცეცხლში თივა  
 და უშენობას გავუძლო ვეღარ.  
 ყველა დაჭრილის ტკივილი მტკივა,  
 ყველა ტკივილის თავმოყრა შენ ხარ.

შე ვიყურები მის უბის წიგნში.  
ჩავეყურებ ფურცლებს,  
შენახულს კარგად.

ვკითხულობ:

„ხალხი — ფოლადის ჯიში,  
სამშობლოს გრძნობას არასდროს ჰკარგავს.  
მომხვდურს დახვდება და არ შედრკება,  
ვინც სამშობლოთი არის მდიდარი.  
ვიდრე გვექნება ამის შეგნება,  
ვერ დაგვძლევს მტერი ვერავითარი“.  
ვკითხულობ სიას —  
ჩვენი კლასია.

ჰა. ჩემი გვარიც და კიდევ ერთის,  
ბავშვს რომ ფიქრები შემომასია  
და ტკბილ კაეშნად შემომჩა დღემდის.  
„ციცინო“ —

მკრთალად აჩნია ქაღალდს.  
მაგრამ რა ცხადად ვხედავ მის სახეს.  
დიდი თვალებით მიცქერის ახლაც  
და ეშმაკურად წამწამებს არხევს.  
მამას უღვაშში ეცინებოდა.  
ძლიერ მოსწონდა ეს ჭინკა გოვო.  
მე ყოველ ღამე მესიზმრებოდა  
და ვადიდებდი სიზმრების მომგონს.  
თითქოს მის თვალში დანთქმას ვლამობდი,  
შევციცინებდი გახარებული.  
სათქმელს აშკარად ველარ ვამბობდი  
და ლექსებს ვიყავ დახარბებული.  
შევაპარებდი მის წიგნში ბარათს,  
ცეცხლი ეკიდა თვითეულ სტრიქონს.  
მეორე დღეს კი მხვდებოდა მწყურალად,  
ისე, რომ არც კი მიცნობდა თითქოს.  
მაგრამ იმ ჭინკას,  
მაგრამ იმ ეშმაკს  
არ უძინია იმ ღამეს, ვიცი.  
ძილი დაუფრთხო პატარა ლექსმა.  
და მარიდებდა თვალების ციმციმს.  
უგუხნებობას მატყობდა მამა,

მატყობდა, მაგრამ რა უნდა ეთქვა.  
არაფრად თვლიდა ჩვენს ბალღურ თამაშს,  
არაფრად თვლიდა ჩემს გულისხეთქვას.  
ხვდებოდა,  
განა ვერა ხვდებოდა,  
რომ სიყვარული მქონდა მისჯილი?  
და ალბათ, ხშირად ელანდებოდა  
ოჯახში რძალი და შვილიშვილი.  
სასროლეთზე რომ მივყავდით მამას,  
მიხაროდა და ვწუხნი კიდევაც —  
სამიზნე ფარებს და ტყვიის მარაგს  
ციცინოს თვალწინ მეც ამკიდებდა.  
მე რომ სირცხვილით ლამის დავიწვი,  
მამა დიდ რამედ ამას არ თვლიდა.  
თანაც იტყოდნენ, ზოგავს თავის ბიჭს,  
ჩვენ კი სახედრის ტვირთი აგვკიდა.  
მახსოვს,  
ციცინო კარგად ისროდა.  
ვიგონებ,  
თითქოს ეს იყო გუშინ:  
ვუცქერდი...  
ნეტა მან თუ იცოდა,  
რომ ყველა ტყვია მხვდებოდა გულში.

. . . . .  
ამ სასროლეთის ხილვით ვილევით!  
მინდვრის ყვავილი იმ სურნელს აკმევს.  
ციცინო!  
მამის გაკვეთილები  
გახსოვს?  
თუ გახსოვს სამხედრო საქმე.

\* \* \*

კვლავ ვატრიალებ უბის წიგნს ხელში  
და რამდენ,  
რამდენ რამეს ვიგონებ.  
აგერ გარკვევით წერია ლექსი,  
გალაკტიონის ვხედავ სტრიქონებს:  
„რწმენით იარ, რწმენით იარ,  
მტკიცე გქონდეს ბიჯი.



ყველა ნიჭზე ძლიერია  
 ქვეყნის დაცვის ნიჭი!“  
 წიგნს ჩასცქეროდა დაღლილი შრომით,  
 თუმც უკვე ღამე იყო გვიანი.  
 გაშლილი ედო ლენინის ტომი,  
 ლენინის ტომი წითელყდიანი.  
 თუმც მწიგნობარი არ იყო დიდი,  
 კარგად იცოდა სიტყვის მირონი.  
 ყოველთვის ჰქონდა კრძალვა და რიდი  
 შოთას,  
 აკაკის,  
 გალაკტიონის.  
 გალაკტიონი!  
 დილამდე შევრჩი.  
 გაოცებული ვიყავი იმით,  
 რომ ერთად ვნახე ამდენი ლექსი,  
 სავსე ფოთლებით.  
 ქარით და წვიმით.  
 სავსე მუსიკით.  
 მრეკავი რითმით  
 და შემოდგომის მძაფრი ფერებით  
 და იყო დიდი,  
 ძალიან დიდი,  
 ისეთი — დღესაც რომ ვეფერები.

\* \* \*

აქებდა მამა სამას არაგველს,  
 ბასიანის და მარაბდის გმირებს,  
 მათ, ვინც მომხდური დასცეს, ალაგმეს,  
 დაიფრინეს და გაინაპირეს.  
 მერე მიხედეს სახნავს და სათესს,  
 მერე დალოცეს აკვანში ბიჭი  
 და ამაყობდა, რომ ჰქონდა ქართველს.  
 მამულის დაცვის და მოვლის ნიჭი.  
 სიცოცხლის ფასი იცოდა კარგად,  
 იცოდა ქვეყნად სიცოცხლე რომ ღირს.  
 ლეიტენანტი იხსნიდა ნაგანს  
 და ჩადიოდა ბოსტანში თოხით.  
 თოხნიდა,  
 სხლავდა,



ნერგებსა რგავდა  
და ვერ ნახავდი ვერასდროს მოცლილს.  
ამ დროს მეომარს სულაც არ ჰგავდა,  
მეურნე იყო სულით და ხორციით.  
მახლობელი რომ ჰყვავდა ბორცვი  
და ანათებდა ატმის ხე ეზოს,  
ტოტებს უმზერდა თითქოსდა ლოცვით,  
მეტყოდა,  
სული ჩაედგა ხესო.  
გაიხარებდა ხოლმე, ვით ბავშვი,  
ბაღში ვარდების სურნელნასვამი,  
როცა ყვავილი ახალგაშლილი  
ტოტზე ჯდებოდა პეპელასავით.  
და ფეხზე იდგა ღონივრად, რადგან  
არ ჰქონდა არვის ვალი და ვახში.  
სურდა შვილების კაცურად აღზრდა,  
რომ არ ეჭამათ სირცხვილი ხალხში.  
არ უნატრია მას ბევრი რამე,  
როგორც მეომარს და როგორც გლეხკაცს —  
სამშობლოს ცის ქვეშ ეთია ლამე,  
ოფლი ედინა.  
ეთესა,  
ეხნა,  
თუნდაც მტკაველი ჰქონოდა მიწა  
პატარა ბაღის გასაშენებლად...  
მზის მადლი ჰქონდა საყვარელ ფიცად  
და შეჰხაროდა დღის გათენებას.

\* \* \*

ახლა ძვირფასი არის ყოველი —  
მამის იერი ყმაწვილკაცური,  
მთას შეფენილი მისი სოფელი,  
მისი ხმა,  
კილო,  
მისი წარსული.

ვცხოვრობდით მშვიდად.  
მთელი სამყარო  
ჩემთვის პატარა იყო სოფელი —



მოლი და შუკა,  
 ლელე და წყარო,  
 ტყეები სავსე ჭრიჭინობლებით.  
 ბორცვზე ხუჭუჭა კენტი წიფელი.  
 დობიროები და ჭალაკები,  
 პირმოპრიალე ცელი მიიბველის,  
 თეთრი თიკნების ზანზალაკები.  
 რისი შეცნობაც წილად მხვდომია  
 აქ შევიცანი, მერე რარიგად!  
 აქ შევიცანი ასტრონომია,  
 ბიოლოგია და ბოტანიკა.  
 აქ დავეყვებოდი მამას ყანაში,  
 სოფლის ბიჭებთან ვმწყემსავდი ნახირს...  
 გულს ვიჭერებდი ბურთის თამაშით  
 და ტყის ქათმებსაც ვიჭერდი მახით.

\* \* \*

ერთ დილით მამა დამადგა თავზე,  
 წამომაყენა და მომეფერა.  
 თვალები ჰქონდა ხალისით სავსე  
 და აპარებდა დედისკენ მზერას.  
 რედა ამბობდა:  
 -- მიდიხარ მაინც,  
 დაიჟინე და არ დაიშალე?  
 — ნუ გეშინია,  
 ხომ მოვალ გაისს.  
 ეს ერთი წელი გაივლის მალე.

. . . . .  
 და აი როცა გავიდა წელი  
 და დედა უკვე რომ იყო მწყრაღად,  
 მოვიდა,  
 უმალ მოგვხვია ხელი.  
 გვითხრა:  
 — გადაწყდა —  
 მივდივართ ქალაქს.  
 მერე ოჯახში იყო თათბირი.  
 სადამოს ლხინი შინაურების.  
 გადაცისფერდა ზეცის ნაპირი,  
 გამზადებული იდგა ურემი.

შუქი რომ ჩაქრა მთის მწვერვალებზე  
და სიმღერა რომ შევიდა ეშხში.  
დედას შევნიშნე ცრემლი თვალებზე.  
მას ჩემი ხელი ეჭირა ხელში.  
უთრთოდა ბაგე და არ მესმოდა,  
დედას ამ ლხინში რა ადარდებდა...  
ვიღაც დაცლილ ყანწს მამას ესროდა,  
მამა იჭერდა ყანწს ალაღბედად.  
და შუალამე რომ გადავიდა  
ურემზე უკვე ბარგი ელაგა,  
ორიოდ კაცი უჯდა მაგიდას  
და უკანასკნელს ცლიდა ხელადას.  
მე იმ საღამოს მესმოდა სიტყვა  
„კურსანტი“ — რიხით რომ თქვა თამადამ.  
მამაზე მაშინ ბევრი რამ ითქვა,  
მამა ჩემს თვალში უფრო ამალდა.  
იყო სიცილი და ლაპარაკი.  
დედა ალერსით მიბნევედა დილებს.  
ურმის კოფოზე ხრჩოლავდა ჭრაქი  
და მოლზე ფენდა ვეება ჩრდილებს.  
ჩრდილს დაუყეფა ერთგულმა ძაღლმა.  
ერთ წამს დადუმდა თითქოს ყოველი.  
შემომამბრუნა ბებიამ წაღმა:

— ღმერთო,  
ვარ ერთი რამის მთხოველი —  
ფარვიდე ჩემს ბიჭს! —  
და ლოცვას მოყვა  
ყველა სიკეთის ჩემთვის მღომელი.  
მერე ლოყაზე მომაკრა ლოყა  
და ლოყა ჰქონდა ცრემლით სოველი.  
ბოლოს მეურმემ დასძრა ხარები,  
მატარებლისთვის ჩაგვესწრო უნდა.

. . . . .  
ის ღამე ლხინის და მწუხარების  
განსაკუთრებით მახსოვდა მუდამ.

\* \* \*

ლეიტენანტის ნანატრი ჩინი!  
სტუმართმოყვარე სახლი და კარი...

მაინც გლახური, ჯიუტი ჟინი,  
მაინც სასწაული, წალდი და ბარი.  
მსურს აღვადგინო მისი ცხოვრება —  
დრო და სივრცეში უკვე გამდნარი.  
მსურს იმ აპრილის მოახლოება,  
მსურს ის ზაფხული,  
მსურს ის ზამთარი,  
ის შემოდგომა —  
მწიფე და მსუყე,  
ის სიხარული,  
ის აღტაცება,  
რთველის სურნელი, გამქრალი უკვე,  
ტოტს მოწყვეტილი ვაშლის დაცემა.  
აი სურათი სურათს მოება  
და ერთ დღედ იქცა ის დღე მრავალი...  
და მღერის მამა, ვით ეთხოვება  
ვენახს გლახკაცი — შორს მიმავალი.  
და დგას ეზოში გარინდებული  
ოჯახის ფუძე, მისი უფალი.  
ამინდი არის რა დიდებული  
და რა საყვარლად მწიფს ალუბალი!  
შემოფენია ხეებს ბაბილო,  
ტოტიდან ტოტზე დახტის ჩიორა,  
და გულში როგორ უნდა გაივლო,  
რომ ამ დღეს,  
ამ მზეს დათმოვ იოლად.

\* \* \*

მამა ვაზს სხლავდა,  
კიბეზე იდგა...  
და მე მთელი დღე მასთან ვიყავი.  
დასწვდა ხმელ ლერწმს და ანაზღად მკითხა:  
— თუ იცი, ბიჭო, მტევნის იგავი?  
იგი საოცრად იყო დამტკბარი,  
მოჭრილი ლერწმი ხელში აიღო.  
დაიწყო.  
რადაც ამის მაგვარი  
მსმენოდა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო.

„მზეს შეუყვარდა ყურძენი თურმე.  
 აავსო ფერით,  
 აავსო ხორცით.  
 მტევანი ნეტარს აფრქვევდა სურნელს  
 და უხდებოდა ღიმილი მორცხვი.  
 მოვიდა კაცი.  
 მოჭრა მტევანი  
 და საწნახელში მზის სუნი ჩადგა,  
 თითქოს ავარდა მზის შადრევანი,  
 ქვევრში ჩხრიალი გაჰქონდა ბადაგს.  
 მერე აჯანყდა ფიცხი მაჭარი,  
 მერე დადუღდა და ღვინოდ იქცა.  
 კაცს მოეკიდა ღვინის ხანძარი,  
 დალოცა მზე და დალოცა მიწა.  
 შვილო,  
 იგავის სათქმელი იცან —  
 ყურძნის სურნელით გული ნედლდება  
 და ვიდრე გვიყვარს ვაზი და მიწა,  
 ქართული სული არ დაბერდება“.

\* \* \*

იმ ღამით გული სიამით ძგერდა  
 და მხიარული ავდექი დილით —  
 სიზმრად მოვიდა ციციხო ჩემთან —  
 თეთრი მტევანი —  
 სავსე და ტკბილი.

\* \* \*

არ მშორდებოდა თვალთავან მამა —  
 ყველგან მის სახეს ხედავდა თვალი.  
 მე პურის რიგში მომნახა ქალმა,  
 ჩვენი უბნელი იყო ის ქალი.  
 გამიხმო განზე და უხერხულად  
 შეატრიალა ხელში ბარათი.  
 უეცრად ავი მიაზრა გულმა  
 და შევიკავე თავი ძალათი.

შეიშრო ცრემლი მოთალხო თავშლით —  
აღარ შეეძლო ჩემი ყურება  
და წავიკითხე მის სოველ თვალში  
მამის სიკვდილის დადასტურება.  
— ჩემი მეგობრის არის წერილი.  
შიგ მამაშენის ამბავიც არი. —  
ვიდექი მწარედ გულდასერილი,  
მადლობის თქმაც კი ვერ მოვასწარი.

რამდენ წელიწადს უჯრაში მედო.  
რომ არ ენახა დედას,  
ვმაღავდი.  
ხომ უნდა მეტქვა მისთვისაც ერთ დროს  
და ხელმეორედ გავხსენ ბარათი.

\* \* \*

„ომი თანდათან როცა გაცხარდა,  
მტერი ლენინგრადს რომ მოეძალა,  
წავედით,  
მაგრამ ბევრს არ დასცალდა,  
ვერ მიაღწია ლენინის ქალაქს.  
ფრონტზე მივქროდით თავგამწირველნი,  
მაგრამ გვიყელა შავმა პირატმა.  
ორთქლმავალს მოხვდა ბომბი პირველი.  
და ეშელონი გადაყირავდა.  
ახანძრებული ივლისი იდგა  
და მიწას სისხლის რეცხავდა დელგმა.  
სადგურთან მოხდა ეს ცოდვის კითხვა,  
სადგურს მალაია ვიშერა ერქვა.

სიმწრით ბალახი რომ ჩაუბლუჯავს,  
დაჭრილი კვნესის და მშველელს ეძებს.  
იმ მეხთატეხას ვინც გადაურჩა,  
გაფანტულიყო გადათხრილ ველზე.  
ვხედავ მიდამოს განატიალებს  
და მომაკვდავთა მესმის ხრიალი.  
მიწა ტრიალებს,  
ზეცა ტრიალებს  
და დატრიალდა მზე სისხლიანი.

ერთად ვიყავით და უცაბედად  
თითქოსდა თავზე დამეცა მეხი.  
მიწაზე დამცა უეცრად ელდამ,  
ნამსხვრევმა ცალი მომგლიჯა ფეხი.



ზურგზე მომიგდო,  
მივყავდი ცოცვით,  
მანუგეშებდა და მამშვიდებდა.  
თითქოსდა შანთით ღამიწვეს ჩორცი,  
ჭრილობა ისეთ ცეცხლს მიქედებდა.  
როცა ვიგრძენო ოდნავი შკეა,  
მეგობრის მკლავი მმატებდა ძალას,  
გადააყრუა ცა აფეთქებამ  
და ლეიტენანტს აპხადა ქალა“.

სწერდა,  
ჩემოდანს მე ვინახავო,  
მისი საათიც მაქვს შენახული,  
ამბის მიტანა არ დაახანო.

ასე დაგვატყდა თავს ის ზაფხული.  
და ჭირი ჭირზე რომ მოგვეძალა,  
ყელში რომ ბოღმა გვექონდა გაჩრილი,  
სადღავის ძებნად არვის ეცალა,  
საფლავი გულში გვექონდა გაჭრილი.

\* \* \*

რვა მაისს ღამით დავწეე გვიან,  
სიზმრად მომფინეს შუქი იებმა.  
განეღვიძა და სალუტის გრიალს  
ცისმენდი, როგორც შურისძიებას.  
იასამნისფრად და ყაყაჩოსფრად  
გადაეღებათ ზეცა რაკეტებს.  
იყო ყიყინა ქალაქად, სოფლად.

შუქს შევყურებდი სივრცის გამკვეთელს.  
მე იმ ღღეს წუთით ფარდა ავხადე —  
ქუჩები სავსე იყო ღიმილით  
და ნათელ ცრემლად მომყვა აქამდე  
ოცდაათობზეტი წლის სიმძიმით.

იმ ცით,  
იმ დილით  
მე მახსოვს მუდამ  
გადარჩენილი ქვეყნიერება.  
გტიროდით ჩუმად და არა გვშურდა  
გადარჩენილთა ბედნიერება.

მე განრიდება წარსულთან არ მსურს.  
კვლავ ცხრა მაისით სუნთქავს ტყე-ველი.  
ასე აერთებს აწმყოს და წარსულს  
დროთა კავშირი დაურღვეველი.  
გაზაფხული რომ ასე გვიტაცებს,  
მზე რომ გვაწყდება ყოველი მხრიდან —  
თუ სიცოცხლეა მხოლოდ მიწაზე,  
მაშ, მიწისათვის სიკვდილიც ღირდა.  
შემოეცვიოთა ზღაპარს ზღაპრობა,  
დრო სხვა რიტმით და სხვა გზებით მიდის.  
ჩვენ შევეჩვიეთ მთვარის დაპყრობას,  
ვერ შევეჩვიეთ ვერაფრით სიკვდილს.  
სიკვდილს გვაჩვევენ ბრძენთა წიგნები,  
გვაჩვევენ წუთებს საბედისწეროს.  
თუმც ყველამ ვიცით, რომ არ ვიქნებით,  
მაგრამ არ გვინდა, რომ დავიჯეროთ.  
ამ უსაშველო სიცოცხლის წყურვილს  
რა დააოკებს,  
რა დაასრულებს  
და უკვდავების უსაზღვრო სურვილს  
ვერვინ,  
ვერასდროს დაუშლის მსურველს.  
როცა სიცოცხლეს ეტრფის მავანი,  
უნდა ახსოვდეს კანონი მკაცრი —  
სიცოცხლე როდი არის მთავარი,  
მთავარი არის სიცოცხლის აზრი.  
მაშინ ღდებიან გმირნი გმირებად,  
სიკვდილის შიშიც აღარ აწვალვებთ,  
როცა სიცოცხლე ხალხს ეწირება,  
როდესაც მამულს თავს ანაცვალვებ.

დამაბრმავებლად ლამაზო ცაო,  
 მიხაკებად რომ გადმომეფრქვიე,  
 არ მემღერება, უნდა მაცალო,  
 სულგანაბული ვუსმენ რექვიემს.  
 მუსიკა — მძიმე და ლურჯი ზვირთი  
 მალღდება, მერე ეშვება დაბლა,  
 თითქოს მხრებიდან მეხსნება ტვირთი,  
 გამშრალი ტუჩი ნელნელა დაღბა.  
 სად არის, სადა ის ერთი სიტყვა,  
 რომ მოარჩინდა ყველა იარას,  
 ტკივილს, მარტოკა დედა რომ იტანს  
 და არვის რომ არ გაუზიარა.  
 მინდა მგლოვარეთ მოვწმინდო ცრემლი,  
 და მინდა გული გაეუხსნა ყველას.  
 ქართველ კაცს საქმე იმდენი ელის,  
 იმათი წილიც, ვინც დარჩა ველად,  
 სიცოცხლის ბედი, მშვიდობის ბედი  
 ისევ და ისევ ჩვენ მხრებზე გვაწევს,  
 ავზიდავთ კიდეც, ვიდრე თუნდ ერთი  
 ყუმბარა სკდება დედამიწაზე.  
 ადრე წასულებს რაც არ დასცალდათ,  
 რა დარდიც წაყვათ და რა ოცნებაც,  
 დაგვირგვინება მართებთ ახალთა  
 ნათელი ხსოვნის გასაცოცხლებლად..  
 დილა უმათოდ თუმცა თენდება,  
 მათი ვენახი ისევ ვენახობს  
 და საქართველო ისე შენდება,  
 რომ ავ თვალს მართლაც არ დაენახოს..

\* \* \*

ბათუმო,  
 შენს ბაღს, —  
 ზღაპარს თუ იგავს,  
 დაბურულს ოქროს შესამოსელით,  
 ფართოდ გაღებულ შენს ცისფერ ჭიშკარს  
 ჰყავს რაოდენი წამსვლელ-მომსვლელი.  
 მე მახსოვს შენი თბილი ხელები,  
 შენი ზღვაური შვების მომფენი.

მე შენი ზღვის და შენი ხმელეთის,  
შენი ლაყვარდის ვარ მადლობელი.  
შენ იყავ ჩემი ოცნების დედა,  
პირველი ლექსი შენ ამიფრინე.  
მამის გულიც ხომ ამ ცის ქვეშ ძგერდა,  
აქ ვწნავდი მისთვის ლექსის გვირგვინებს.  
აქ გვედგა სახლი —  
ორი ოთახი  
გადახურული ძველი კრამიტით.  
მე აქ ვისმენდი შაშვის მოძახილს,  
როცა მზიანი იდგა ამინდი.  
აცოცებული ცელქი ბავშვივით  
იყურებოდა ხიდან მაცდური —  
ტოტიდან ტოტზე ლერწებგაშლილი  
შავმტევნიანი ალადასტური,  
შემომცქეროდა, როგორც სულდგმული,  
მამის თითების ალერსს ჩვეული.  
ვიგონებ —  
შესმის გულის გუგუნი,  
დავიაარები ფეხარეული.

\* \* \*

სისხლი მაწვება ხანდახან ყელში,  
მამა რომ სახლში აღარ მეგულვის  
და მეჩვენება —  
ალუბლით ხელში  
მხვდება ჭიშკართან გაღიმებული.  
მიწა რამდენჯერ დაუნახიათ  
მას შემდეგ ქვეყნად მოსულ აპრილთა.  
ჩაუქრობელი ცეცხლი ანთია  
მათთვის,  
ვინც ცეცხლი ხალხს აარიდა.  
ომის ქარცეცხლზე ფიქრები მტვირთავს,  
როცა ვუცქერი მაღალ ობელისკს —  
ზოგისთვის მხოლოდ ძეგლია გმირთა,  
ზოგისთვის — დაშნა გულს ჩასობილი.  
აქ მუდამ არის მიხაკი, დაფნა,  
ნაძვის ტოტების ელვარე წიწვი...  
მაგრამ იმ დედამ, მითხარით, რა ქნას,

შვილის საფლავიც რომ აღარ იცის.  
რა დარჩენია იმედის მეტი —  
ლოდინში უნდა გადაილიოს,  
ოლონდ ნურავინ,  
ნურავინ ეტყვის,  
აღარ მოგივა შენი შვილიო.

\* \* \*

მორჩა,  
სათქმელი ითქვა,  
გათავდა  
და ისევ ჩადგა გული საგულეს.  
მატულობს ღილის შუქი თანდათან  
და შენი წიგნიც უკვე დავხურე.  
ეს ნაზამთრალი მიწაც გაბაღდა,  
კვლავ ალუჩაზე ჩიორა მღერის  
და ერთი წუთით თითქოს ამადლდა  
შენს ფართო მხრებზე შედგმული ჭერი.  
წამოიშალნენ შვილიშვილები  
და ჩაფრენია ბების კალთას.  
მერე ალერსით გალურსულები  
უჭიკჭიკებენ ტყუილს და მართალს.  
მერე ჯიბეში ჩაუძვრებიან,  
სასუსნავეებზე დაჩვეულები.  
გულს არ დაკლებს არც ერთს ბებია,  
რაიმეს მისცემს ყველას უკლებლივ.  
და როცა გარეთ გაცვივდებიან,  
სიცილ-კისკისით და ჟრიაშულით,  
დარდი და ღაღა ერთად რჩებიან  
და ისევ ძველ ჯავრს მისტირის გული.  
შვილიშვილების ღიმილი ათბობს,  
მათი ჟღერტული, მათი ცელქობა.  
იმათზე ზრუნვით იცოცხლებს მარტო,  
სანამდე ჯანი კიდევ ეყოფა.  
ეზოში დარბის მამის ნაგრამი  
მისი სახელის დასამშვენებლად,  
მისი ნათელი არგადამქრალი,  
მისი ღიმილის გადათენება.  
ავერ მათა,  
ჩინო და თეა.



სულხანი,  
ზაზა,  
გია და კახა...  
გამარჯვებული მაისის დღეა  
და შეერივნენ ისინიც ზღვა ხალხს.

\* \* \*

როდესაც ციდან ყვავილი ცვიფა,  
მიწას ყინული რომ აღარ ხუთავს,  
მოდობარ ჩვენთან მაისის წვიმად  
და მიწის სითბოს მიიტან გულთან.  
თითქოსდა ვისმენთ შენს გულისცემას  
და ჩვენი გულიც თანდათან თბება.  
მოდობარ ჩვენთან ვაზების ცრემლად  
აყვავებული ვენახის ქებად.

\* \* \*

რა მხიარული სიმღერა ისმის.  
ცაში კამარა შეუკრავს მერცხალს  
და მზე ბრდღვიალებს, რომელსაც სისხლი  
მაისის წვიმამ ჩამოარეცხა.

1975. მარტი-აპრილი.

---

## განმარტოვება, აღმშენებლობა!

არ ვეცდები რამე შევალამაზო. სიმართლე მინდა მოგიტყვი. და თუ რამე გამოვტოვე, არა იმიტომ, რომ დაგიმალეთ, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ გამომრჩა. ამბავი იმით მინდა დაგიწყო, რათა პირდაპირ, დაუბრუნებლად მომახლოდნენ თქვენი განხილვა. თუ აღმშენებლობა გწამთ, ნუ დაშინდებით. არ მაშინებს სიმართლე, ოღონდ სიმართლე იყოს. როცა გაიგებთ ჩემს ამბავს, ალბათ იტყვით: დიდი ვერაფერი შვილი ყოფილხარო არ მინდა ჩემს საკუთარ გრძნობებზე გელეპარაკოთ, შეიძლება ზედმეტად მომივიდეს და სენტიმენტალობაც დამწამოთ. თუმცა ჩემისთანა კაცი-საგან, რომელიც მხოლოდ თავის თავის წინაშე, თავის სინდისის წინაშე უფრო ხშირად ყოფილა მარტოდმარტო დარჩენილი, არც ეს არის გასაკვირი. მოდი თქვენი გამოხატვისი დავეუშვათ: ვთქვათ გაზეთში წაიკითხეთ რაიმე ამბავი დასასრული, წერილის ბოლოს კი წერია „დასაწყისი შემდეგ ნომერშიო“, ხომ იტყვით, რომ სისულელეა. ასეთივე სისულელე იქნება, ჩემი ცხოვრების ყველაზე ბოლო ამბები რომ მოგიყვებოთ. თქვენ აუცილებლად მეტყვით: — ეს კი, მაგრამ წინ, წინ რა მოხდა? ვინ იყავი ადრე შენ, ასლან დადეშიძე? ვინ იყავი, როგორც შენ გგონია, კაცადქცე-კამდე. ვიდრე იმ სასჯელს მიიღებდი, რომელიც შენ თვითონ იკისრე და იკისრე შენი აღმშენებლობით. დაემორჩილე შენს მრწამსს და არა სხვისგან მისჯას. ან და რომ მოესაჯათ, ასე მონდომებით შეასრულებდი?

რადგან ჭეშმარიტებათა ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობს არავითარი ბოლო თუ მას არ ექნა დასაწყისი, მიჩვევითა თავიდანვე მოგიტყვი მოკლედ. არა, მსაჯულებად აღარ მჭირდებით. ეს მხოლოდ ჩემი გრძნობების გაზიარებაა. მსაჯულები, პირუთვნელი მსაჯულები უკვე მყავდნენ და ეს მათ მათქმევინეს:

— გაგიმარჯოს, ადამიანო!

ეს მათ მათქმევინეს, რადგან პირველად მათ მითხრეს:

— გამარჯობა, ასლან!

— მე აწმყო და წარსული არ ვიცი, გიყვებით ისე, თითქოს ახლა, ზელახლა მხდებოდეს თავს. მაინც ხომ ასეა — რაც გულს გიღრღნის, რაც არ უნდა დიდი ხნის ამბავი იყოს, ის მაინც იმ წუთისაა. ამიტომ წარსულს და აწმყოს ერთმანეთში ნუ ამარევიებთ.

რომ გითხრათ ჩემს თავზე წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა თორემ ისე ბევრი რამ გადამხდა-მეთქი, იქნებ გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ რაც დამეწია, ის ერთი ადამიანისათვის სრულიად საკმარისია და შეიძლება მეტიც. მაგრამ... რაც იყო იყო, აი ის ვარ, რაც ვარ და რასაც თქვენ დამინახავთ ჩემი მონათხრობით. იქნებ ვინმეს ეგონოს ვალამა'ხებ, ახ ვუმატებ რამეს, ნურას უკაცრავად. თხრობა საკუთარ თავზე საერთოდ მეზარება, მით უმეტეს, ამ ქვეყნად ისეთი არაფერი გამიკვთებია, რომ ვიტრბახო, და მეორეც იმიტომ, რომ... ჩემო ძმებო, ჩემო დებო, მეგობრებო, ნათესავებო და თქვენც ერთ დროს ჩემს ამხანაგებად რომ ითვლებოდით, მე ჩემს თავზე კი არ გიყვებით, არამედ სხვებზე, რომლებმაც მიხსნეს და რომლებმაც მე, ასლან დაღეშიძე ადამიანად მაქციეს.

მაშ ასე, გეცნობით ასლან დაღეშიძე...

...კაცი ორმოც წელს რომ გადასცილდება, თავისთავად, მის დაუკითხავად გულში გაუჩნდება ერთი ჭია და ღრღნის, ღრღნის მანამ იგი კითხვის ნიშნად არ გადაიქცევა და არ დაერჭობა ერთი წინადადების ბოლოში. ეს წინადადება კი ასეთია: გავაკეთე რამე ისეთი, რომ ცხოვრებაში თავაწეულს მატარებს?

მე რა ციდან ჩამოფრენილი პეპელა ვიყავი, რომ ასეთი ჭია არ შემჩენოდა და ასეთ კითხვას არ დავეფიქრებე. დამაფიქრა და თავი უფრო ჩავლუნე. რა იყო ჩემი ცხოვრება? ეჭვ... ეს ვინ ყოფილხარ, ეს რა გადაგხდენია შენ ასლან დაღეშიძე, ნუთუ მართლა პეპელაც არ ხარ, დღემოკლე პეპელა, რომ სილამაზე მაინც შეგეტანა ცხოვრებაში. ნუთუ შენ ისეთივე ჭია ხარ, რომელიც შენს გულს ღრღნიდა და შემდეგ კეთილი ხალხის, ქვეყნის ჭიად იქეცი. ვაი, სირცხვლო! ვაი ამაოდ ვაფლანგულო ყმაწვილკაცობავ! მაშ ასე, არა, ძამიკოებო, დრო ფული არ არის, რომ შემნახველ სალაროში შეიტანო, ან ნივთი, ლომბარდში რომ დააგირაო და მერე როცა გინდა გამოიტანო და მოიხმარო. დროს უკანონო კანონი აქვს: როცა ფლანგავ ისე გადნება ხელში, როგორც ტაფაზე მოცურებული ერბო. და მეც შემომადნა ეს ორმოცი წელი ისე, რომ მოყვასისათვის თვალში შეხედვა მიძნელებოდა.

მაგრამ იყო წლები, წლები, როცა ძალა ჭოროხივით ფორიაქობდა ჩემს ძარღვებში და ენერჯის დასაოკებლად ბათუმიდან ქობულეთამდე ისე გადავსერავდი ხოლმე ზღვას, რომ წუთით არ ვფიქრდებოდი იმაზე

თუ რომელი ვაჯობებდით, მე თუ ზღვა. მერე როცა ზღვაც ვერ აოკებდა და ვერ შთანთქავდა მასზე უფრო აბობოქრებულ სისხლის როკვას... ომმა მოუსწრო ჩემს სიყმაწვილის განთიადს... ომმა მეც ჩამავლო კლანჭი და თავი ვერ დავიძვრინე, ვერ დავეხსენი.

მამა ომში წავიდა. დედა ოჯახს და ქვეყანას დასტრიალებდა თავს, რადგან ოჯახი და ქვეყანა მაშინ ერთი იყო. პატარა და-ძმას შაშვის ბარტყე-ბივით დაეღოთ პირი და სულ მშობია, მშობიას გაიძახოდნენ. ცხრა კლასი ძლივს დავამთავრე და სწავლას მოვწყდი. ხან სად გავკრავდი სამუშაოს ხელს, ხან სად, რომ ჩვენი ოჯახი მშვიერ-მწყურვალნი არ ამოწყვეტილიყო. ასე იყო თუ ისე, მივაჯანდაკებდით გლახა სახედარივით ცხოვრებას და ის სახედარი თანდათან უფრო სუსტდებოდა, ვიცოდი სადღაც წაიფორხილებდა და დაეცემოდა.

ღმერთმა და ომმა არ დავგინდო. ოჯახის რჩენას და მამაკაცურ საქმეს ვადაჰყვა დედა და მე დამაწვა უმწეო ბავშვების შენახვის ჯათა. წელეებზე ფეხს ვიდგამდი, მაგრამ ეს მაინც ცოტა იყო. მიჭირდა, მიჭირდა და აი, ერთხელ...

— ასლანს გაუმარჯოს, ასლანს! — მომადგა ერთი შორი მეზობელი შინ.

— გაგიმარჯოს, ომარ ბატონო! — არ დავაყოვნე პასუხი, რადგან ომარი ხალხში საპატივემლო კაცად ითვლებოდა და გავლენაც ჰქონდა.

— როგორ ხარ და რასა იქმ, ჭო! — მომიკითხა დიდის გულისყურით.

— ვართ ისე რა, ომარ ბატონო! — ვუპასუხე და მხრები ავიჩიჩე.

— ჭო, ვხედავ გიჭირთ, ძნელია ჭო, ძნელია ბავშვების რჩენა, შენც ხომ ბავშვი ხარ ჯერე! — მერე ომარ ბატონმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია და დიდი თანაგრძნობით ორმოცდაათი მანეთი ჩამიღო ხელში. — უყიდე რამე ბავშვებს!

— არა, ომარ ბატონო, ეს როგორ შეიძლება! — ვიუხერხულე მე, — არ მინდა, არ მივიღებ, არ მინდა, ჩვენ ისე...

— ჭო, ეგ ბახშიში კი არ არი, როცა გექნება დამიბრუნე, სესხად გაძღე, — და კიდევ რომ არ გამეჭვნებია ჩემი, ცინცხლად გატრიალდა უკან.

...რა ვიცოდით ან მე, ან ჩემმა პატარ და-ძმამ, რომ პირველი არამი ლუკმა იმ ორმოცდაათი მანეთით ვიყიდეთ და ვჭამეთ. იმ ორმოცდაათი მანეთით დაიწყო ჩემი დაცემა და გაუბედურება.

ერთი კვირაც არ იყო გასული ამ შემთხვევიდან, რომ ომარი ისევ მომადგა კარზე და დამიძახა. სიხარულით გავხედე. ჩემი ღმერთი, ჩემი მშველელი ის იყო და როგორ არ შევეგებებოდი სიხარულით.

— ასლან, სადამოს მოდი ჩემთან, საქმე მაქვს. კარგი საქმეა, ჭო!

როგორ არ მივიდოდი, მივედი.

...კარგად იყო შეღამებული, მოზრდილი ნავით ომარმა, მე და კიდევ ორმა უცნობმა კაცმა ქობულეთიდან აღმა ავტურეთ. მშვენიერი, ჩუმი ზღვა იყო, მკვდარი ზღვა. ღრუბლებს სულ დაეფარათ ცის კაბადონი, ნიავი არ იძვროდა, არც ერთი ვარსკვლავი არ ჩანდა ცაზე. ის ორნი წყნარად უსვამდნენ ნიჩბებს, ისე, რომ ოღნავი ჩქამიც არ ისმოდა. სად მივდიოდით წარმოდგენაც არ მქონდა.

რამდენ ხანს ვიცურეთ არ ვიცი, როცა ზღვაში ერთ მბჟუტავ ნაპერ-წყალს მივუახლოვდით. მოზრდილ კაპარჭზე გამოკიდებული ფარანი იყო.

— ასლან, ბიძიკო! შენ მოხერხებული ბიჭი ხარ. ისე კი ნურათრის გეშინია. აძვერი ახლა იმ ღუზის ჯაჭვზე და მერე ამ თოკის ერთი ბოლო დაამაგრე სადმე, — ომარიმ თოკი მომცა ხელში, — ერთი ბოლო აქეთ ნელა ჩამოუშვი. ნუ გეშინია. ყველაფერი კარგად ჩაივლის.

მივხვდი, რომ საკაიკაცოდ არ ვიყავით მოსულები.

— ეს სამუშაო იმ ორმოცდაათი მანეთის საფასურია! — მომაგონა თავისი პატივისცემა ჩემმა კეთილისმყოფელმა. ყოყმანი დავიწყე. თან ხაპირს გავხედე. ვიფიქრე, გადავხტები ზღვაში და მერე რაც უნდა ქნან-მეთქი, ცურვა არ ვიცოდი და ნაპირს ვერ მივალწევდი თუ რა? მაგრამ გვიან იყო. იმ ორმა ისე მაგრა წამიჭირეს ხელები მკლავებზე, რომ მეგონა სადაცაა წამეცლება-მეთქი.

ღუზის ჯაჭვზე ისე ავძვერი, როგორც კარგი ჯამბაზი. წელში წახრილმა გემბანი მივათვალეირ-მოვათვალეირე და იქ დალაგებულ ტომრებს შორის დამაგრებულ ვეება მორს გამოვაბი. მეორე ბოლო კი ნავში გადავუშვი. ნავში ცოტა ხანს იფუსფუსეს და ჩუმად მანიშნეს, რომ ამეწია. თოკის ბოლოს თოკის კიბე ამოჰყვა. მივხვდი, რომ ისიც უნდა დამემაგრებია და ასეც მოვიქეცი. მერე კიბეს ის ორი უცნობი ამოჰყვა. ომარს ნავში დარჩა. და დაიწყო მუშაობა... თორმეტი ტომარა ჩაუშვეს და მერე მეც მითხრეს ჩადიო.

ისევე უხმაუროდ გამოვწიეთ უკან, როგორც მივედით, რიყრაყი იყო, როცა ნავს გაუვალ ჭორომებში ვუდღურთეთ ცხვირი.

— ასე არ სჯობია ასლან, ჭო! — მხარზე ხელი დამკრა ომარმა და ერთ პატარა ხმელზე გადავიდა. — ვალიც გასტუმრებულა და შინ ბავშვებს ფქვილსაც მიუტან.

ფქვილით სავსე ერთი პატარა თოპრაკი მომცეს. და ეს ფქვილი არამი ფქვილი იყო, იმ პირველი არამი ლუკმის სიმწარე დაჰყვებოდა.

მესამე დღეს წამიყვანეს. წამიყვანეს და ომარ ბატონისა და იმ ორი უცნობის გვერდით დამსვენს.

ცხოვრება უკუღმა დატრიალდა. ჩემს ცოდვაში ფეხის ჩამდგმელებს თავიანთი მიუზღეს, მე კი მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მიკრეს თავი. ჩემს თავზე სულ არ ვნანობდი, ბავშვები მადარდებდა. როცა სასაჯე-

ლი მოვიხადე და სახლს მივაკითხე, ისინი იქ აღარ დამხვდნენ. მთავრობას აღსაზრდელთა სახლში წყევანა ორივე და იქ უვლიდნენ. 'ძვებით ამოვისუნთქე' ახლა მარტო ჩემი თავი მებარა და მჯეროდა, როგორც იქნებოდა გავიტანდი თავს.

კაცს რომ ერთხელ გადაუბრუნდება ფეხი ძალიან ძნელია. ის ნატკეხი ფეხი ყოველთვის აგონებს თავს და მეც ასე მომივიდა. ვერ ამოვდე ჩემს თავს ლაგამი და ჩემს სიმარჯვეზე დაიმედებულმა წვრილ-წვრილი ქურდობა დავიწყე. ავწაპანიდი ვინმეს რამეს და მაშინვე ფულად ვაქცევდი. ჩემი სიმარჯვე ჩემნაირად გზასაცდენილებს არ გამოარჩენიათ შეუნიშნავი. რამდენიმემ გამიამხანაგა და ასე დაიწყო ჩემი „მოღვაწეობა“. ასე დაიკარგა სახელი „ასლან დაღეშიძე“ და მისი ადგილი „ჯიმამ“ დაიკავა. ერთი, მცირე, შემოზღუდული გეოგრაფია არა გვქონია საასპარეზოდ: საკოლმეურნეო საწყობები, რკინიგზა, კერძო მოსახლეობა, სულ ერთი იყო, ოღონდ საქმე გამომდნარიყო. „ჯიმამ“ ცნობილი გახდა ყველასათვის და რა ბრიყვები ვიყავით მაინც: გვეგონა ომია და ჩვენთვის აბავის სცალია-თქო და თავს მეტიმეტ უფლებას ვაძლევდით. მაგრამ თურმე ყველას თავისი საქმე აბარია.

როცა ხელახლა წავდექი სასამართლოს წინაშე, ისე დალაგებით გადმომიშალეს ჩემი „საგმირო“ საქმეები, რომ გამიკვირდა: ასე მეც რომ მომენდომებია აღნუსხვა, ხომ ვერ მოვახერხებდი-მეთქი.

ციხიდან უკვე მოზრდილი ჭაბუკი გამოვედი. წლებს გულში სიყვარული ვერ გაექროთ და მოსანანიებლად ჩემს და-ძმას მივაშურე. ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო. მათ გზა-კვალს ველარ მივაგენი. მართლაც არ იცოდნენ თუ დამიძალეს არ ვიცი, ისე კი დიდი ეჭვით რომ შემხვდნენ ცხადია. რა მინდოდა! — მხოლოდ მათი ნახვა. მეტი არაფერი? არა, კიდევ მგონი ის რომ სითბო მინდოდა, მშობლიური სითბო, რომელსაც მხოლოდ ის ჩემგან გაუბედურებული და-ძმა გამინაწილებდა. სამხედრო კომისარიატში მივედი. ერთმა უღვაშამ, უხეშმა კაცმა მითხრა, შენს შესწრებას კარგი მოხდა, რომ მამაშენი ფრონტზე დაიღუპაო.

და აი სულ მთლად ამერია ცხოვრება. ერთი-ორი კაცის ცივად შეხვედრამ გული გამიტეხა ყველაზე. აღარავისთვის აღარ ვარსებობდი და აღარც ვინმე არსებობდა ჩემთვის. მე ვიყავი გამოკიდებული ცასა და მიწას შორის და დასაყრდენს, ხელჩასაჭიდს ვერაფერს ვგრძნობდი.

ჩემთვის ახლა უკვე ყველაფერი ზედმეტი იყო. ვინ ვიყავი მე — ასლან დაღეშიძე, „ჯიმამ“ თუ ჯანდაბა სულ არ მაინტერესებდა.

და მოჰყვა დანაშაულს დანაშაული. საგამომძიებლო ორგანოებში, ჩემს ანკეტაში გარკვევით ეწერა: გამოუსწორებელი.

საოცარი კი ის იყო, რომ დანაშაულს ჩემდა უნებლიედ ჩავდიოდი. შიშოლი დანაშაული უნდა ჩამედინა და უკვე განვიცდიდი ტანჯვას, სირ-

ცხვილს, წამებას. მაგრამ მაინც ჩავდიოდი. ჩემი „მოღვაწეობის“ ბევრ ჩემნაირს შევხვედრივარ და მათ შორის ისეთებიც ხშირად მინახავს, რომლებსაც თავიანთი საქციელი შეგნებულნი არ ჰქონდათ, ყველაფერს ისე ჩადიოდნენ, როგორც კანონზომიერს, აუცილებელს და სინდისის არავითარ ქენჯნას არ განიცდიდნენ. რას იზამთ, იყვნენ ასეთებიც.

და აჰა, უკვე ხანში შესულმა, მაშინ როცა, თუ წესიერ ცხოვრებას გავწევდი, კაცი მერქმეოდა, მოვიხადე უკანასკნელი სასჯელი. აჭარისაკენ აღარ გამიწევია. რალაც გრძნობა ამეკვიატა: მარტო ხალხის კი არა, აბა იქ წესიერი ადამიანთაგან ვიღას ვახსოვდი, თვით ჩვენი კუთხის მიწა-წყლის მრცხენოდა. მრცხვენოდა, რადგან მე მას ჩემი უსინდისობით ვუთხარი უარი და დაბრუნების მეშინოდა. მე თვითონ მივაყენე იმ მიწა-წყალს შეურაცხყოფა და პატიების გამოთხოვა მიჭირდა.

თბილისი ქუჩებში დავხეტიალობდი. თბილისი ყველასათვის საყვარელია და ყველასათვის მშობლიური: აჭარელი იქნება ის თუ გურული, მეგრელი თუ იმერელი, რაჭველი თუ სვანი... ნუ მიწყენენ სხვა ქალაქები. და თბილისს ერთი კარგი ჩვევა აქვს: იგი თუ საქართველოს მიწა-წყლის შვილს შეიფარებს, ყველას თავისი მფარველობის კალთას გადააფარებს. ზოგი მეტყვის, დიდია თბილისიო და იმიტომო. არა, დიდი ქალაქები სხვაც ბევრია, მაგრამ თბილისისთანა გული არა აქვს. თბილისი დიდი დედაა და ჩვენ კი მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლის წვეთები. თბილისს დიდი გული აქვს-მეთქი და დიდ გულს უფრო შეუძლია პატიება.

ჰოდა თბილისის ქუჩებში დავხეტიალობდი. აპრილის მზიანი დღე იდგა, ქართული გაზაფხულის ლამაზი თვე. და ამ ლამაზ თვეში თბილისმა სიკეთე გამოიმეტა ჩემთვის.

ორმოც წელს გადაცილებული კაცი ბედმა ისე არ გამწირა, რომ ამ ქვეყნად სიკეთე არ დამეტოვებია და ამ სიკეთე? მეც სიკეთე მომიტანა. ეპ... აფსუს გაფლანგულო წლებო! მაგრამ ესეც ალბათ ბედი.

თქვენ შემთხვევებზე თუ დაფიქრებულხართ? დიახ შემთხვევებზე! იქნებ დაფიქრებულხართ კიდევ, მაგრამ მე მაინც ჩემებურად ავიხსნით.

მდინარესთან ან ზღვის სანაპიროზე რიყეზე თუ გაგივლიათ? რა თქმა უნდა, გაგივლიათ. იქ უამრავი ქვა და კენჭებია დაყრილი. ეს არაა შემთხვევითი. მაგრამ იმ ქვებსა და კენჭებში საუკეთესოს რომ დაინახავ და თვალს მოგტაცებს, გულსაც მიიყოლებს, ხელს გაგაწვდევინებს ასაღებად და დაგაფიქრებს, ეს განგებ ხომ არ დამიგდეს აქ მოსახიბლადო, აი ეს არის შემთხვევითი. ცხოვრებაც ამ რიყეს ჰგავს. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება, მაგრამ ამბავი, რომელსაც გამოარჩევ ან გამოგარჩევს, ძალიან ცოტაა. ცოტაა, რადგან იგი სულ სხვა კაცად გაქცევს და ნამუსს ავიმადლებს.

სულ არ მიფიქრია ასეთი კენჭის ძებნა იმ დღეს. იგი თვით ცხოვრებამ შემომთავაზა. ალბათ ესეც ბედი იყო. მეც ხომ ადამიანის ნაშიერი ვარ და იქნებ თვით ადამიანურმა ძალამ მომიწყო გამოცდა. არა, ამ გამო-

ცდისთვის შემზადებული არ ვყოფილვარ, მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

...ზარათაშვილის დაღმართს დავუყევი და ის იყო ხიდას მივადექი, რომ ხალხის ჩოჩქოლი მომესმა. ხალხი ჯერ ერთ მოაჯირს გადაეყრდნო და მერე მეორეს. მეც ჩემდა უნებლიეთ ავაჩქარე ნაბიჯი. ერთი წიოკობა იდგა. და აქ მე თვით ვიკისრე ყველაზე ადამიანური სასჯელი, ადამიანობა კვლავ აფორიაქდა ჩემში, თუმც ვიდრე ვიპოვიდი, უკვე დაკარგული მქონდა.

— ვაი შე უბედურო! — მომესმა ხანშიშესული ქალის ამონაკენესი.

— ვინა ხართ ადამიანი, უშველეთ! — ცხარობდა მეორე, და ხალხს შიშისა და დაბნეულობის იერი გადაჰკროდა სახეზე. ხალხი მივწი-მოვწიე. როგორც იქნა მოაჯირთან გავჩნდი. მტკვრის ტალღებში ვერაფერი გავარჩიე. ვერ მივხვდი, რას აელეღვებია ეს ამოდენა ხალხი.

— ქალი, ქალი გადავარდა წყალში! — დაიძახა ერთმა. არ ვიცი ჩემი ჩუმი კითხვის პასუხი იყო თუ უბრალოდ სასოწარკვეთილი წამოძახილი, ვერ გავარჩიე. თვალი რომ გავაყოლე წყალს, ჩვენს ქვემოთ მართლაც დავინახე რაღაც სხეული, რომელსაც მტკვარი ხან სიღრმეში მიაქანებდა, ხან კი ხალხის გასახელებლად თუ საცინლად ასაგდებლად ზევით ამოატივტივებდა.

მტკვარი თითქოს დასცინოდა სანაპიროებზე და ხიდის მოაჯირზე მომდგარ ხალხს.

ხომ გითხარით, ჩემს სიჭაბუკეში კარგი მოცურავე ვიყავი. ბათუმიდან ქობულეთამდე ისე გავკრავდი მხარულს, რომ ერთხელაც არ დავისვენებდი. ახლა კი... ვინ იცის რამდენი ხანი იყო, რაც წყალს აღარ შევჭიდებოდი, არა და მტკვარი მახელებდა. ადიდებული მტკვარი, რომელიც ძიწვევდა და თან თავისი შხუილით დამცინოდა თითქოს: — ეი, შენ, ასლან დადეშიძე, მე ზღვა ნუ გგონივარ, ტყუილად ნუ მიბღვერ, ჩემთან ვერაფერს გახდებო.

ქალი კი დასაღუბად იყო განწირული. მშველელი არსაიდან ჩანდა. აპრილი იდგა. მშვენიერი და მატყუარა აპრილი. და იქ ვიდექი მე ასლან დადეშიძე და არაფრით გამოვირჩეოდი სხვებისაგან, რომლებიც წუხდნენ, მაგრამ რაიმეს გაკეთება არ შეეძლოთ. ისინი წუხდნენ და ვწუხდი მეც, რადგან ჩემში კვლავ ღვიოდა ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, გრძობა, რომელიც ყველა არსებაზე უფრო ძლიერს გვხდის.

მაგრამ მე მაინც ასლან დადეშიძე ვიყავი. თუმც დიდი ხნის წინათ, მაგრამ წყლის ავან-ჩავანის კარგი მცოდნე...

...მხარზე მოგდებული კურტაკი ვილაცას მივაჩიე ხელში და ტუფლები ფეხებით წავიძვრე. მერე შევდექი მოაჯირზე და.. ხალხის ყრუ გუზუნთან ერთად წყალში ჩავიძირე... როცა წყლიდან თავი ამოვყავი, ხალ-

ზის ხმა მომწვდა: — აქეთ, აქეთ, მარჯვნივ... მარცხნივ... — და მეც ჯერ შათ ხმას მივყვებოდი. მერე როგორც იქნა თვალი ვკარი იმ უბედურს და იქით გავუტიე. ჯერ მიძიმედ მივაპობდი მტკვარს, მაგრამ მერე... მერე მაინც ჩემი სიჭაბუკიდან მოყოლებული იმ დღემდე წყალში ვაფუჭვლავდი. ძალამ ერთბაშად ერთად მოიყარა თავი და უფრო სიმსუბუქე ვიგრძენი. ცოტა არ იყოს სიხარულიც კი დამეუფლა, სიხარული იმისა, რომ წყალი ვერ მჯაბნიდა და იცით კიდევ რისი სიხარული? იმის, რომ მე ასლან დადემიძეს თურმე ადამიანური გრძნობა, ადამიანის სიყვარული არ მქონდა ჩაკლული.

თანდათან ვამოკლებდი მანძილს. ხალხი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა სანაპიროს და მამხნევებდა. როგორც იქნა წამოვეწიე. წყალზე ხის წვრილი ფესვებივით იყო გაშლილი ქალის თმები. ხელი წავატანე, მაგრამ იმ საწყალს ტალღამ დაარტყა და ვერ ვწვდი. ასე განმეორდა რამდენჯერმე. წყალი მაინც წყალია და თან საბანაო სეზონი ხომ არ იყო. ვატყობდი, რომ სხეული თანდათან მიცივდებოდა. მაგრამ არა! მე უნდა მეჯობნა ყველაფრისათვის და ამ აბობოქრებულ, გაბრაზებულ მტკვარისათვის, რომელიც თითქოს ყურში ჩამჩურჩულებდა: — შენ, „ჯიმა“, როგორ გაბედე და მოიწადინე ჩემი ლუკმის წართმევა!

მაგრამ პასუხი მეც მზად მქონდა:

— არა, მტკვარო! „ჯიმა“ კი არა ასლან დადემიძემ მოიწადინა ეს და კიდევ გააკეთებს!

მე ჩემსას ვცდილობდი, მტკვარი კი თავისას..

ბევრი ჭაფა დამადგა, მაგრამ მაინც მივიწევდი. საჭაფი კი უფრო მეტი წინ იყო. როდესაც ქალს ნაპირისაკენ მოვაცურებდი, არ დავფიქრებულვარ სად უნდა გამენაპირებია იგი: ორივე მხარეს ბეტონის მაღალი კედლები ხელს არ მოიკიდებდნენ. დიდხანს ვატარე ქალი დაღმა. ხალხი, ზღვა ხალხი მომყვებოდა ფეხდაფეხ და კვლავ და კვლავ მიკიჟინებდა.

სად მეცალა, ამ საცოდავს დავკვირვებოდი, მაგრამ ერთი კი შევავლე თვალი. მის სახეს — ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე გულში, — რა მოხდა ისეთი, რომ ეს სილამაზე ადრე ჩასაქრობად გაიმეტე! — ის უკვე ველარაფერს გრძნობდა. მიძინებულს ჰგავდა. სახეზე სილურჯე გადაჰკრავდა, სილურჯე, რომელიც ძალიან ცუდის მომასწავებელია.

ცალი ხელი ქალისათვის მქონდა ჩავლებული და ცალი ხელით ტალღებს მივაპობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალა დიდხანს აღარ შემრჩებოდა, აღარც ხელი მემორჩილებოდა თავისუფლად და აღარც ფეხები. ვხვდებოდი, რომ სულ მალე დამეწყებოდა კრუნჩხვები, რომლის შემდეგ ყველაფერი დამთავრდებოდა.

მე ასლან დადემიძე ვარ და გეტყვით იმასაც, რომ ტრაბახი არ მიყვარს, არც უაზრო ვაჟკაცობაზე დამიდევს თავი და არც შიშს წაუტრთმე-

ვია ჩემთვის როდისმე გონება. არც ახლა შემშინებია და ვფიქრობდი: რა არის ბოლოს და ბოლოს თუ დავიღუპები, ერთი ჩემნაირი ადამიანი გინდ ყოფილა ამ დალოცვილ დედამიწაზე და გინდ არა. ამით არავის არაფერი დააკლდება. მაგრამ მაინც რა კარგი იქნება, — ვაგრძელებდი ფიქრს, — რომ იქ, ჩემს აჭარაში გაიგონ, რომ მე მთლად ისე წყალწაღებული არ ვყოფილვარ, ისე წყალწაღებული, როგორც მათ ეგონათ.

ძალა თანდათან მეცლებოდა. მივხვდი, რომ დასასრული შორს არ იყო და ამ გოგონასთან ერთად აღარ მეწერა მიწაზე ფეხის დადგმა. მაგრამ ის გოგონა მაინც ჩემზე უფრო ბედნიერი იყო: მას ხომ დამტირებელი ეყოლებოდა!

როცა მეგონა, რომ ცის კაბადონს უკანასკნელად შევაველე თვალი, ნაპირიდან მომესმა:

— გამაგრდი, ბიჭო, მშველელი მოდის!

ერთ შეტევას, ერთ შეძახილს ბევრი რამ შეუძლია; ძალა მოვიკრიფე და უკანასკნელად შევებრძოლე წყალს. უცებ მოტორის ყრუ გუგუნე მომესმა. ასეთი გუგუნე, ეჰ, რამდენჯერ გამიგონია იქ, ჩვენს დალოცვილ ზღვაზე.

...როგორ აღმოვჩნდი ნავში არაფერი მახსოვს. ნავი მიქროდა და მივყავდი ნავმისადგომისაკენ. უცებ ჩემს გონებაში ყველაფერი გაცოცხლდა, თავი წამოვწიე და ვიკითხე:

— ის?

— ნუ გეშინია, ძამიკო, ისიც აგერ არის. — მიპასუხა სახეშერუჯულმა ჭაბუკმა და ვაჟკაცურად გამიღიმა. — კაცი შენ ყოფილხარ ძმაო, ნამდვილი ვაჟკაცი!

ცა დატრიალდა. მერჩია ისევ წყალში გადავევდე ამ ჭაბუკს. არა და რა უფლება ჰქონდა, რომ ჩემს კაცობას აფასებდა, იმან ხომ არ იცოდა ვინ ვიყავი, რისი მაქნისი და ჩამდენი. მერე მომეჩვენა, რომ იგი დამცინოდა და შესაპასუხებლად წამოვიწიე...

— იწექი ძამიკო, იწექი, შენ ახლა სიწყნარე გინდა.

მივხვდი რომ საცინლად ასაგდებად არ მიმეტებლა.

ორივე საავადმყოფოში გაგვაქროლეს. ექიმები დაგვეხვიენ. მე უფრო ადრე მოვჯობინდი, მაგრამ ადგომის ნებას არ მაძლევდნენ. იმას ხომ ჰყავდა და ჰყავდა მნახველები, მაგრამ მეც არ მაკლდნენ. მისი ნათესავები ჩემთან მოდიოდნენ და... მოკლედ რას არ მეუბნებოდნენ. არც ავადმყოფები მაკლებდნენ ნახვას. ჩემი გმირობის ამბავი რომ შეიტყვეს, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს საკუთარი მოსაკითხი გაენაწილებია ჩემთვის.

ბედნიერი ვიყავი. ბედნიერიც და უბედურიც. ბედნიერი იმით, რომ ხალხმა შემეყვარა, უბედური კი იმით, რომ... დრო ხომ ფული არ არის შემნახველ სალაროში შეინახო, ან ნივთი, რომ ლომბარდში დააგირაო და

მერე როცა დაგჭირდება გამოიტანო და როგორც გინდა ისე მოიხმარო...  
უკვე ორმოც წელს გადაცილებული ვიყავი.

მაგრამ ყველაზე უფრო მაშინ ავლელდი, ბავშვივით ავლელდი, როცა მორიგე ექთანმა მესამე თუ მეოთხე დღეს პალატაში შემოიძახა, დადემი-  
ძე თქვენ გკითხულობენო. კი, ჩემთან მოდიოდნენ უცხოები, მაგრამ ისი-  
ნი სულ იმ გოგოს ნათესავები იყვნენ, ან სხვა ავადმყოფების მნახველე-  
ბი, მაგრამ ისე, რომ დადემიძე ეკითხათ, ვინ უნდა ყოფილიყო?

საწოლზე წამოვჯექი და პალატის კარებში ერთი მოხუცი, შავადმო-  
სილი ქალი გამოჩნდა, რომელსაც ხელში რაღაც შეფუთული ეკავა. იგი  
ჩემსკენ წამოვიდა. მოვიდა ახლოს, მერე მოიწია და შუბლზე მაკოცა.

— ქალბატონო...

— იწეკი შვილო, იწეკი, ნუ, ნუ იფიქრებ, სულ ერთია ვერ მომიგო-  
ნებ, ვერც მიცნობ! აი, შვილო, შენი კურტკა. მაშინ...

— დე... — მეტის თქმა ვერ მოვახერხე.

— ჰო, შვილო, დედა დამიძახე, რა ვუყოთ, რომ მშობელი დედა არა  
ვარ, მეც ზომ მყავდა შვილი...

— კი, მაგრამ, რატომ, რატომ, თქვენ ხომ ჩემს შესახებ არაფერი  
იცით?

— ვიცი, შვილო, ვიცი. იმ კაცის, რომელმაც სხვისთვის სიცოცხლე  
გასწირა, ვინაობის გაგება მსურდა და საბუთები, შენს ჯიბეში ჩარჩენილი  
საბუთები გავსინჯე...

— მერე, მერე...

— მერე ის, რომ კაცი ხარ, და ძალა შეგწევს დაივიწყო წარსული.

— დედი, განა ეს შეიძლება?

— შეიძლება, შვილო, შვილის მაგიერო! — მე ვეღარ მოვითმინე და  
ამხელა კაცმა მის კალთაში ქვითინით ჩავრგე თავი...

და ეს ყველაფერი ის ლამაზი კენჭი იყო, რომელიც რიყეზე, არასო-  
დეს მიძებნია, მაგრამ მაინც ვიპოვე, მაინც წავატანე ხელი.

...მერე ყველაფერი გავიგე: ახალგაზრდობა, გაზაფხული. შეყვარე-  
ბულები წაკინკლავებულან და... ახლა იმ გოგონას თავისი საქმრო თავს  
დასტრიალებს, ჩემთანაც შემოდის ყოველთვის და ხელის მაგარი ჩამორ-  
თმევით უსიტყვო მადლობას მეუბნება.

\* \* \*

აი, ახლა ვდგევარ თბილისის ვაგზალში, ბაქანთან და ვუცდი თბილის-  
ბათუმის მატარებლის გასვლას. მე მარტო კი არ ვარ: აქ არიან ჩემი გადა-  
რჩენილი, მისი მშობლები და ახლობლები. აქ არის მისი საქმრო და აქ  
არის ახლად ნაპოვნი დედობილი, აქ ფუსფუსებს ბევრი თბილისელი, ვინ  
იცის, ზოგი უცნობი რა ცნობისმოყვარეობით შემოგხედავს ხოლმე და

ფიქრობს: ნეტავ ვის აცილებს ამდენი ხალხიო. და აღარ მყოფნის ძალი,  
რომ თავი შევიკავო და არ დავიძახო:

— ეს მე ვარ, მე ასლან დადემიძე, კაცი, ადამიანი, რომელიც  
ნი ნათესავი მყავს. მე ხომ თქვენი, ყველას ნათესავი ვარ ხალხო, კეთი-  
ლო ხალხო! გამარჯობათ, ადამიანებო!

ჩემი გამცილებლები მეხვევიან, მეალერსებიან და ათასგვარ პირო-  
ბას მართმევენ. მეუბნებიან, რომ მალე დავბრუნდე ქორწილისათვის,  
იციოდეთ, ასე მაფრთხილებენ, უშენოდ ქორწილს არ გადავიხდითო.

და მეც ვპირდები: ჩამოვალ, ჩამოვალ აუცილებლად. როგორ არ ჩა-  
მოვალ, თქვენ კი გენაცვალეთ. თუ კაცი ვარ პირობას არ გავტყებ, არა-  
ფერში არ გიღალატებთ, მენდეთ, თქვენთან ვიქნები.

და აჰა, მატარებელი მიქრის. მიქრის და მესმის მისი მოძახილი: —  
ას-ლან, ას-ლან, ას-ლან... — მიმიხარია. იქაც გაუგიათ. აქედან უცნობე-  
ბიათ, რომ ესა და ეს კაცი ჩამოდისო. კაცი ჩამოდისო. შეეშალათ, უნდა  
ეცნობებიათ კაცადქცეულიო, მაგრამ არა უშავს რა! მე ხომ კაცი ვარ, ხომ  
მაინც კაცი მქვია და ჰა, მოვდივარ ჩემი სიყმაწვილის სიყვარულო, ჩემო  
მარად დიდო სიყვარულო, ჩემო აჭარა და მიმიღე. მხოლოდ ერთს გთხოვ:  
მაპატიე თუ გზას აცდენილი, ომისაგან კვალდაკარგული შენი შვილი ისე  
ვერ ვიქცეოდი, როგორც შენ გეკადრებოდა, მაპატიე! შენ ხომ დედა ხარ  
და დედას ხომ ყოველთვის დიდი გული აქვს!

---

ჯამარ ჯაყარი

## ბთხობთ, მესროლოთ!

ძია შაქრომ პერანგი მოიხალვათა, თოხის ტარს დაეყრდნო და წაიღუდუნა: „ერთი-ათასად, მარცვალო, მშვიდობაში იზარდე, ყანავ“... დაღლილობა იგრძნო. თვალეზი კოჟრიანი ხელით მოიხრდილა და ცას მზერა შეაპარა — მზე ბორბალო მთას გასწორებოდა, ხოლო ჩრდილი საზღვრის იქით ღამურას მოკვეთილ ფრთასავით ეგდო...

დაღლილი კაცი მუხის ჩეროში წამოწვა თვალის მოსატყუებლად. წუთით ოჯახზე ფიქრებმა გაიტაცეს... ჩაეძინა. ზმანების შორეულ ხილვებში ნისლი შემოეგრავნა. მალე ნისლი პითონად გადაიქცა. გრძნეულად დაიკლაკნა და მიუახლოვდა. ძია შაქრომ ხვრინვა შეანელა, შეიშმუშნა და თითქოს უჩხვლიტესო, შეკრთა. ჯერ კიდევ ძილის ბურანიდან თავი ვერ დაეღწია, რომ ყელზე ვილაცის უხეში ხელი სალტესავით შემოეჭდო. ეს თავს დასდგომოდა ვილაც გაუბარსავი, შეიარაღებული მამაკაცი და მშვიდად, თითქმის დამცინავად ეუბნებოდა: „საზღვარი უნდა მიმასწავლო“.

ამ მოულოდნელობით ძია შაქრო გაფითრდა, გული წაუვიდა...

„მოკვდები? — დამცინავი ჩურჩულით იმეორებდა მოძალადე, — იტყვიან, ყანაში მოკვდაო. არ მოკვდები? გზას მიმასწავლი და, სამშვიდობოს რომ გავალ, იქნებ ცოცხალიც დარჩე. ესაა და ეს, თვალთმაქცობა საკმარისია!

გლესს შუბლზე ოფლი ესხა და ხელები გაცივებოდა. მოძალადე შეწუხდა — მას ხომ მეგზური სჭირდება! ყველაფერი იღონა, რომ მოესულიერებინა.

ძია შაქრო მწარე, დამცინავი ღიმილით წამოიწია. მზად იყო ანთებუ-

ლი თვალები ფრჩხილებით ჩაექრო მოძალადისათვის, მაგრამ ვერ მისწვ-  
და, — მკლავები ყელზე ბოძებივით ებჯინა.

„ბედმა ასე გარგუნა და მასზე შერიგების გარდა არა დაგრჩენია რა.  
საზღვრამდე უნდა მიმაცილო!“

ამ სიტყვებზე ძია შაქროს რატომღაც გულის ზიდვინება დაეწყო.  
ყბა აკრული ჰქონდა, რომ სიტყვა არ დასცდენოდა, და კუჭის წვენი ნეს-  
ტოებთან მოადგა. სახე გაეცრიცა, უკანვე გადაქანდა.

— „არ მოკვდე, შე ოხერო; ახლა ყველაზე მეტად მჭირდები, თო-  
რემ ცინდალივით მოგახრჩობდი!“ — და სილა გააწნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხმა თვალები გაახილა და ისე შეხედა მო-  
ძალადეს, როგორც უზარმაზარ გველს. ცივი თვალებით ყელზე მიბჯე-  
ნილს, რომლის მომაკვდინებელი შხამიც მასზე არავითარ გავლენას ღარ  
ახდენდა. ეს მაინც არ იყო საკმარისი, რამე უნდა ელონა... გადაწყვიტა  
უგზო-უკვლოდ წაიყვანოს და... ჩვენი მესაზღვრეების უახლოეს რაზმს  
მიაყენოს. ეს ერთადერთ სწორ არჩევნად მიიჩნია და გაიფიქრა: „თუ სი-  
კვდილია, მხოლოდ შეპყრობის მცდელობით“, და ანიშნა შემისხენიო  
ყბებზე აკრული ნაჭერი, იყოსო უენი ნება“.

მოძალადემ მყისვე შეუხსნა.

— გმადლობთ. — თქვა გლეხმა.

— მადლობასაც მიხდი?

— როგორც ხედავთ... ბედი ზოგჯერ ბოლომდე დასცინებს კაცს, ზო-  
ჯერ — უბრალოდ გაუღიმებს.

— მაშ, შენ დაგცინა ბედმა, მე კი — გამიღიმა?

— მაგას ვნახავთ, წავიდეთ, სადაც მივდივართ?

— თუ სიცოცხლე გავიმეტებია გზიდან ჩემი აცდენის საფასურად,  
სჯობს ახლავე დასთმო იგი.

— მსჯელობებს თავი დაანებეთ... სად მივდივართ ახლა ჩვენ?

— საზღვარზე. აი, ოქროთი სავსე პარკს უბეში შეინახავ და, როცა  
ორწოხებს გამაცილებ, წახვალ. ამით მე და სიდუხჭირეს შორს მოგვიტო-  
ვებ... კაცი, რომელიც ტყის პირად მიწას ჩიჩქნის, დუხჭირია. აბა, უმოკ-  
ლესი გზით იარ!

ძია შაქროს მწარედ გაეღიმა. გულის მოსაოხებლად და გამოსაჯავრე-  
ბლად მაინც ბრძანების კილოთი დასძახა — მომყევით!

უცნაურ და ტაკიმასხარულ ბრძანებებზე ორივე გაჯავრდა. ძია შაქ-  
რომ გაიფიქრა: „იტყვიან, მძინარეს გველიც კი არ უკბენსო, ეგ ვილაც გა-  
დამთიელი კი მოვიდა, პირში ბურთი ჩამჩარა, ხელები შემიკრა, გულზე  
დანა დამადო და მიბრძანა — საზღვარს გადამაცილო“. თავი დახარა და  
ტუჩზე მწარედ იკბინა.

სდუმდა ირგვლივ ყოველი.

ახლა არც მდინარის შორეული შხუილი მოისმოდა და არც ზეტა  
ჭრიალი. ის ასწლოვანი მუხაც შორს დარჩა — უტყვი მოწმე იმისა, რაც  
აქ მოხდა. ტყემ ჩაყლაპა მდინარის შორეული ხმა, მაგრამ ხეები რაღამ  
გააჩუმა? სადაა ის ნიავი, ზამთარში სუსხიან ქარად რომ ეცვიებოდა ნა-  
ფლატებს? ის ქარი ერჩია ახლა ძია შაქროს, ვიდრე ეს მდუმარება. ქუ-  
ხილიც ერჩია, მეხიც, ოღონდ ამ გარეწარს წესს აუგებდეს. მისთვის ბუ-  
რთი ჭერ არავის ჩაუჩრია, არც ხელები შეუბოჭია. ყოველ შემთხვევაში,  
ეს ფაშისტებმაც ვერ მოუხერხეს. ფილტვი დაუზიანდა ომში და ამოიკვე-  
თა ცალი ფილტვი. ნახევარი კაცი ვარო, ხშირად უთქვამს. სუნთქვა განსა-  
კუთრებით მაშინ გაუჭირდა, პირზე ხელი რომ დააფარეს... დიახ, ფაშისტე-  
ბმაც ვერ მოუხერხეს ეს. ნუთუ მათზე უარესებიც არიან?

მიდიოდნენ...

ისევ დუმდა ყველაფერი.

ძია შაქრო ძეძვის ტოტს მკერდით მიედო, გვერდით გაიტანა და გა-  
ზნიქა. უცებ გამოეშალა და.. გარეწარს სახეში მოახვედრა! ეს ერთი შეხე-  
დვით თითქოს უნებურად მოხდა. ნამდვილად კი კარგად მოზომა.  
ის ხომ ტყესაც კარგად იცნობს და მცენარესაც, გაზნიქილი ტოტის სიჯი-  
უტესაც და მისი მოხვედრის სიმწვავესაც.

დიახ, ძეძვი სახეზე მოახვედრა გარეწარს.

დაიბნა.

— ეს... შენ რა, ქოფაკო! — დაიგრიხა და ტკივილისაგან გორგალი-  
ვით შეიკრა. ეკლიან, ჯოჯოხეთურ გორგალს დაემსგავსა, ოღონდ დაგორდა  
კიდევ. გლახს ქამრიდან დანის ამოდებას და მოძალადეზე სამაგიეროს  
შიგებას აღარაფერი უშლიდა ერთის გარდა, — ბორკილები!..

„ჯოჯოხეთის გორგალი“ ერთხანს ხმას არ იღებდა. „გული თუ წაუ-  
ვიდა? არა! გულწასული კაცი მინის ნამსხვრევებზე რომ იწვევს, მაინც  
გაიშლება, გასწორდება, გაიშხლართება. ეს კი სახეზე ხელებმიჭდობილი,  
მოკუნტული, მუხლებში თავჩარგული ყრუდ კენესის. შუბლიდან ჩამომ-  
დინარე სისხლი თითებში ჩაუჭდა, აქედან ხვლიკებივით ჩამოიკლაკნა და  
მაჯებთან შეინასკვა. რამდენიმე ხნის შემდეგ „გორგალი“ ნელ-ნელა „მო-  
ირღვა“ და „სული ჩაედგა“.

— შენ ღორი ხარ, გლახო.

— ვწუხვარ ძალიან! — მოიკატუნა თავი ძია შაქრომ.

— წუხხარ! — გამოაჯაგრა „გორგალმა“.

— გაიგეთ ისე, როგორც გნებავთ. ისე კი — ის წმინდა შემთხვევი-  
თობაა. მეცოდებით. ხელებს თუ გამითავისულებთ... წყალსაც მოგიტანთ,  
— მაცდური თანაგრძნობით გაიმეორა ძია შაქრომ.

— ხელებს არ გაგითავისუფლებ, თუნდაც იმისათვის, რომ ასეთი გა-  
უფრთხილებლობის გამო დაისაჯო.

— იმას კი ვიტყვოდი, ხელეშეკრული კაცისგან წყენა სისულელეა.

მოძალადემ თვალები მოიფშვნიტა და მკაცრად მოსპრა:

— იარ! ზედმეტია ლაყბობა.

ძია შაქრომ შეწუხდა, რომ ნდობა ვერ დაიმსახურა და ხელები ვერ გაითავისუფლა. თავი ჩაქინდრა, მწარედ გაიღიმა და, თითქოს თავისთვის თქვაო, წაიღუდუნა ერთი უბადრუკი სიტყვა: „მომყევით“. ამ სიტყვის იქით კი იმალებოდა მწვავე სურვილი ახალი ხერხის ძიებისა მოძალადის შესაპყრობად.

წავიდნენ.

მათ თვალწინ უცნაური რელიეფი გადაიშალა: დაბურთული ხევი თავისი ველური სიმწვანისა და მრავალფეროვნების მიუხედავად უდაბურებას ჰგავდა, რადგან არც ფრინველის გალობა ისმოდა, არც ხეთა შრიალი და სხვა რომ არ იყოს რა, მდინარეც სადღაც ჩაკარგულიყო.

მდინარე!..

ძია შაქრომ იცის, რომ სწორედ ამ მიდამოებიდან თეთრი მდინარე ჩამოდის. მასზე სოფლის წისკვილია გამართული. ახლა ისინი სწორედ ამ ხეობას გადაჰყურებენ. „სად დაიკარგა მდინარე?“ — ფიქრობს ძია შაქრო.

ციცაბოს რომ მიადწიეს და ზამთრისაგან ჩამოქაჩლებულ ფერდობს მიადგნენ, ძია შაქრომ მიმყოლს ურჩია მიახლოებოდა. ისიც მიუახლოვდა და იკითხა, თუ რა მოხდა.

— არაფერი ისეთი... ამბობენ, ყველაფერს ზებუნებრივი პატრონის ხელი ადევსო. ამ მთა-ხევსაც ჰყოლია პატრონი. ესაა მთის სული. ის თურმე ბოროტია, სიყვარულში დამარცხებულა და თხოულობს მსხვერპლს. მისი ადგილ-სამყოფელი, ვგონებ, აი, იქ უნდა იყოს ქვევით, აბა, გადაიხედეთ!

ნათქვამი ისე შთამაგონებელი გამოდგა რომ მიმყოლმა მოვალეობის გრძნობა დაკარგა და ქვევით გადაიხედა.

ამ „მომაჯადოებელი ზღაპრით“ ძია შაქროს უნდოდა ესარგებლა „ბატონის“ უყურადღებობით და გადაეჩეხა. ასეც მოხდა, მოულოდნელად ჰკრა მხარი და... ორივეს თვალეში ზეცა ვარცლივით ამოტრიალდა. მოძალადემ კატის სიმარდით წაავლო ხელი ძია შაქროს და... გადაიყოლა. ხელეშეკრულმა გლეხმა თავი ველარ შეიკავა და... აღარ ახსოვს თუ რა მოხდა შემდეგ. თვალი რომ გაახილეს, უცნაურ ჭაში აღმოჩნდნენ.

ძია შაქრომ ამოიგმინა. მას ჰაერი არ ყოფნიდა და ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს იგულებოდა. გარეწარმაც ამოიგმინა, ნესტოები გაბერა და ხარბად ჩაისუნთქა.

ძია შაქრომ თვალი გაახილა და გადაბრუნება სცადა, მაგრამ ქვებს შორის ისე ჩაიჭედა, რომ განძრევაც ვერ შეძლო. ის ზურგზე იწვა. შეკრული მაჯები ეწვოდა, მაგრამ მათი გათავისუფლება ვერაფრით მოახერხა.

მწარედ გაიღიმა და ბედს დამორჩილდა. ისინი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ ორივე ხედავდა მზით განათებულ ზეცის ნაჭერს და არ იცოდნენ ეს გუმინდელი დღე იყო თუ დღევანდელი. ზეცის ნაჭერი იყო ვიწრო და უცნაური, სწორედ ისეთი, როგორც თოფის ლულაში ჩანს.

საბოლოოდ გონს რომ მოეგო, მოძალადემ გმინვას ქვითინიც ამოაყოლა, მარტოობის შიშითა და უბედურების წინათგრძობით მალე აყვირდა კიდევც.

ძია შაქრო დარწმუნდა, რომ ის მარტოდ არ იყო, გულში იმედის მბუჟტავი შუქი აენტო და შეეხმინა.

— ეს თქვენა ხართ?

— ჰო, მე ვარ, თქვენ ვინ ხართ, ხმა გამეცით თუ ადამიანი ხართ, თუ კი მოჩვენება ხართ, ან მთის ბოროტი სული, — შორს ჩემგან! ღვთის გულისათვის ხმა გამეცით, ვინც არ უნდა იყოთ.

— „ბოროტი სული“ ვარ — ხმა შეიცვალა და გამოაჯავრა სრული იმედით, რომ მაინც იცნობდა ამ ხმას. ამ გამოჯავრებას ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო ფეთნაკრავმა „ბატონმა“. ტვინში ღრმად ჩაჭედული „მთის ბოროტი სული“ მის ახლანდელ ფიზიკურ და ავადმყოფური დაბნეულობით სავსე სულიერ მდგომარეობას თითქოს სვავივით კორტნიდა. ძია შაქროს მიერ გამოჯავრების მიზნით ნათქვამი სიტყვები ქვესკნელიდან ან ზეციდან მოვლენილ შემზარავ ხმად მოესმა და შესძრა მთელი მისი არსება.

— მაშ, ბოროტი, ბოროტი სული ხართ, დემონი?

ძია შაქრომ გაიცინა და იმავე ხმაზე იკითხა:

— რა გქვია, შენ, სახელი, კერძო ეშმაკისა?

— სახელი რაა, აღსარება ჩაიბარე ჩემი. ვალერი მქვია, გვარი და მამის სახელი არ ვიცი, ჟიხარიოვად მოვინათლე. გამარჯობა, სულს! იმედი მაქვს კეთილი იქნებით.

— მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ და დამინახავთ. — გულწრფელად წარმოთქვა ძია შაქრომ. — გაიგებთ, ბოროტი ვარ თუ კეთილი.

ვალერიმ თვალი გაახილა და ავადმყოფურად მიმოიხედა. იგრძნო, რომ სადღაც უფსკრულში წევს და მის ირგვლივ რაც კია, განათებულია ცისფერი შუქით. ზეცის ნაჭერი უფსკრულის ყელთან ცისფერ ლამპასავით ანთია და სიცოცხლის ნიშანს იძლევა.

ვალერი ჟიხარიოვმა თვალი მოავლო იქაურობას და მოულოდნელად დაინახა... ადამიანის ჩონჩხი. შეშინდა, სახეზე გაყვითლდა, თვალები გაუღურჯდა და ჩაუცვივდა, თვალები დახუჭა და უცნაური უილაჯო ღრიალი ამოუშვა.

ძია შაქროს წამოდგომა მოენატრა, ჟიხარიოვის ღრიალმა ნერვებზე მოშალა და წამოიძახა:

— დაწყნარდი!

— მაპატიე მთის ბოროტო სულო. ამ უფსკრულის მფარველი ყოფილხარ, მე კი ასე უხეშად შემოგეჭერი.

— ნუ ბოდავ შე ღორო. დაწყნარდი და გაიგე, ვინც გელაპარაკება.

ვალერიმ დაინახა ძია შაქრო და სიხარულის ქვითინი აუვარდა. მისთვის თუმცა ყოველივე ეს სიზმარს ჰგავდა, მაგრამ მაინც დაიჯერა, რომ მთის სული ადამიანად გადაიქცა და ეს ადამიანი ძია შაქროა.

— ძია შაქრო! — სიხარულით შესძახა, — გთხოვ მუდამ ასეთი ანგელოზი იყო, ნურასოდეს დემონად ნუ გადაიქცევი. მე შენ მოვისმენ და ყველა ბრძანებას შეგისრულებ. ახლავე აცყრი ბორკილებს, მაპატიე! — ყელში ამოაგურგურა ეს სიტყვები და წამოიწია ძია შაქროსთან მიწათფართხავად, მაგრამ უმალ გული გადაელია და თავქვე დაეცა. მარცხენა მკლავი ისე ჩამოეკიდა, რომ ძია შაქრო მიხვდა, მოსტეხოდა.

„ვინ იცის რამდენ ხანს იქნებოდა ეგ ასე!.. ნეტავი ამ დაწყევლილ ბორკილებს ვერ მოვიშორებ? რარივ წვრილი ბაწარია მარყუქებით და რარივ გამძლეა. დაკეცვ — მუჭში დაიმალება. ნეტავ სადმე თუა წახნაგოვანი ქვა იმ ტიალ ციცაბოზე, კედელივით რომ აღმართულა?! ზოგი ქვა სამართებელივით მჭრელია... აბა, ახლა არავის იმედი არც მჭირდება და არც არის, უნდა წამოვდგე, უნდა წამოვდგე!“ — გაიფიქრა, კბილები დაკრიჭა, თავისთავში შეიკრა, დაიძაბა და წამოიწია, მაგრამ ამოდ. გამწარდა, ბევრი აღარ დააყოვნა, ტანი მოიქნია და ქვათა ძარწუხებიდან თავი გაითავისუფლა. ამ მოძრაობაში ნიდაყვი ქვაზე დაჰკრა და ლამის გული წაუვიდა. გული ძლივს დაიმორჩილა. თვალი გაახილა, წამოდგა და თავისუფლად ამოისუნთქა. გვამივით გაშოტილ ვალერის გადააბიჯა, ციცაბო კედელს მიადგა, წახნაგიან ქვას ზურგით მიუახლოვდა, მკლავები დაჭიმა და ქვის წახნაგზე თოკი გაუხახუნა. ბასრმა ქვაპირმა დიდხანს ხეხა და ფლითა ეს უცნაური ბორკილი, ბოლოს, როგორც იქნა გასჭრა და... მოდუნებული მკლავები აკაფულივით ჩამოსცვივდა ძია შაქროს, ჩამოსცვივდა და ჩამოეკიდა. ძია შაქრო ციცაბოს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და უბეებში ცრემლი ჩაუგორდა. ეს გათავისუფლების სიხარული იყო თუ ადამიანური ღირსების დაბრუნების ცრემლი, ძნელი იყო გაგება. მაჯებზე დასახედავად ხელების ზევით ამოწევა სცადა. გაუჭირდა, თითქოს ქვები ებაო ზედ. თავს ძალა დაატანა და მკლავები წინ გაიშვირა. ლურჯ პერანგზე ღილები ასწყვეტოდა და ძარღვებდაჭიმული მაჯები მოეშიშვლებია. „რამდენი ხანია არ მინახიხართ, ჩემო მსხვილძარღვიანო მაჯებო. თქვენ ჩემი სიამაყე ხართ, თქვენ დაგატყვევეს, დაგაშორეს ჩემთან, ამიკრძაღეს თქვენი დანახვა. მომნატრებიხართ, ჩემო ხელებო — ზურგს უკან რომ იყავით გაკრეფილი და დახშული. ვინ გაგიბედათ თქვენ ეს? ვილაც ვივინდარამ, კაცმა, რომელმაც არც გვარი იცის თავისი

და არც სახელი... აწი თქვენ ველარავინ დაგჩაგრავეთ, ჩემო ნაბრძოლო და ნაშრომო ხელებო. უცნაური ცელქობისათვის პასუხს აგებს ის, ვინც თქვენ შეგბორკათ!“ — მიუახლოვდა ყიხარიოვს. თავს წაადგა და ისეთი დამცინავი სახით დახედა, თითქოს იქ მხოლოდ მოხრჩობილი კატა ეგდო და არა სხვა ვინმე.

„შენ უცნაური სვავი ხარ, ყიხარიოვ! სახიფათო ფრენის დროს ცალი ფრთა მოგტყდა და უფსკრულს დაენარცხე: მიბნედილი ხარ? ბოდვებში თვალეებზე უქმურის სუღარა გადაგეფარა. მე ხელებშეკრული რომ ვიდექი, მაშინაც შემეძლო გაგსწორებოდი — წიხლს ჩაგკრავდი შუბლში, და თაყს ემაგ ქვაზე დაგიფატავდი, მაგრამ არა! ეს ხომ ვერაგობაა! მე სხვა მინდა, მე მინდა პასუხი გაგებინო ჯერ ჩემს წინაშე, მერე კი... ხომ არ მოკვდი, შე ძაღლო?!“ — დაიხარა, ორივე ხელით თავი წამოუწია და სახეზე დააკვირდა. ყურები და ხელები შეუსრისა, საფეთქელზე და შუბლზე ცივი ნაყური აშხურა და სული მოათქმევინა.

— თვალეები გაახილეთ, ვალერი ყიხარიოვ, ნუ გეშინიათ, მე აქა ვარ, აქა ვარ...

ვალერიმ თვალეები გაახილა და დასიცხული ბაგეების უცნაური მოძრაობით ანიშნა, წყალი დამალევინეთო.

ძია შაქრომ ტბორიდან პეშვით ამოიღო ნაყური და პირში წამალივით ჩააწვეთა. თანაც გაიფიქრა: „როცა მომაკვდავია, უბრალოდ, ადამიანია, როცა ფეხზე დგას, დაუძინებელი მტერია“.

ვალერიმ მადლობის ნიშნად თავი დააქნია, მწარედ გაიღიმა და წამოწვეა სცადა, მაგრამ გაცივებული მოტეხილობა ტკივილების ცეცხლად წაეკიდა, სახე დაემანჭა და ბედს დანებდა.

ძია შაქრომ მას ბრტყელ ქამარში ჩატანებული ორპირა დანა ააცალა და ფხა გაუსინჯა.

— ნუ მომკლავ! — ცრემლიანი მუდართით უთხრა ყიხარიოვმა. თმაწვერგაბურთგვნილი და ტკივილებისაგან დამანჭული სახით ქვემოდან ისე შემოჰყურებდა, ზიზღთან ერთად სიბრაულესაც იწვევდა.

— ნუ გგონია, რომ სიცოცხლეს გამოგასალმებ. არა! მე ახლა ჯოხებს გავთლი და მკლავს არტაშანით შეგეკრავ, რომ სწორად და დროულად შეხორცდეს! — თქვა და ჯოხების თლას შეუდგა.

ვალერიმ თავი იქით შეაბრუნა ცრემლების დასამალავად, მაგრამ ძია შაქროს ეს არ გამოპარვია.

მალე გათალა ჯოხები, ქვებზე ტორტმანით გადმოვიდა და დაზარალებულთან იქვე დააწყო.

— ეს რა არის? — თვინიერად იკითხა ყიხარიოვმა.

— ეს არტაშინია. ბავშვი ვიყავი, მახსოვს, ბებია მეზობლის ბიჭს

მოტეხილობა ჩაუწყო და ასეთი ჯოხებით შეუქრა. ბლიდან ჩამოვარდა ის ბიჭი. ცელქი იყო. კარგი ბიჭი დადგა. ომში დაიღუპა...

ქიხაროვმა ომის ხსენებაზე წარბები შექმუხნა და თვალები მილულა. მას ხომ ომი არ ახსოვს!.. ათას ცხრაასორმოცდაორ წელს დაიბადა. დიან, არ ახსოვს, მაგრამ გულზე რაღაცამ რეჩხი უყო. ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

— რითი უნდა შემიკრა?

პასუხის ნაცვლად ძია შაქრომ თავისი ცისფერი ხალათი გაიხადა, ზორტებად დახია, მოტეხილობა გაუსწორა და მაგრად შეუხვია.

ქიხაროვმა ჯოჯოხეთური ტკივილი იგრძნო, მაგრამ მალე დაუამდა და მიილულა. „მკურნალმა“ ის ბილანცრებზე მიაწვინა და გვერდით ჩამოჯდა.

ასე იჯდა რამდენიმე ხანს. დალილს, დაეეჟილსა და ნაგვემს ძილი მოერია. იქვე წამოწვა და ჩასთვლიმა. ქიხაროვმა ფშვინვა ამოუშვა. ძია შაქროსაც ჩაეძინა.

გავიდა ცოტა ხანი და უფსკრულში „ჩამოკიდებული“ ლაყვარდის „ფანარი“ ჩაქრა. დაღამდა და იქაურობა წყვედიადით აივსო.

შიგა პერანგისამარა ძია შაქროს უფსკრულის ლორწოვან, ნესტიან სიბნელეში შეცივდა და მოიკუნტა. ისედაც სუსტმა და ღონემიხდილმა მუხლებში ჩარგო თავი.

ქიხაროვსაც შესცივდა და ძია შაქროსკენ გადმობრუნდა. არავინ ზრის რამდენ ხანს იყვნენ ასეთ მდგომარეობაში. ალბათ შუა ღამე იქნებოდა, ძია შაქროს თავისი ყანა დაესიზმრა. თითქოს თოხი გატეხოდა და აკეთებდა. მოულოდნელად საიდანღაც პითონი გამოჩნდა, მოახლოვდა და ყელზე შემოეხვია. სუნთქვას უშლიდა, ახრჩობდა. მას კი სუნთქვა და სიცოცხლე სწყუროდა შემოდგომის მოლოდინში, შვილიშვილის მოლოდინში. გაიზმორა, შეკრთა. პითონი! — შესძახა არეული ხმით და ელდანაკრავივით წამოქანდა. ქიხაროვიც შეკრთა და გამოიღვიძა. მხარი ვერ აიყოლია და დაიღრიალა — მიშველეთ.

პითონი! — კვლავ უაზროდ წამოიძახა ძია შაქრომ და ქიხაროვი აღრიალდა.

— ვინა ხარ შენ! — შესძახა და გვერდით მიიწია ძია შაქრო.

— მე არა ვარ პითონი, მე ქიხაროვი ვარ.

— ქიხაროვი? — კვლავ უცნაურად წამოიძახა გლეხმა.

— ჰო, მე ვარ. რატომ ასე ბნელა, სადა ვართ?

— ო, ღმერთო ჩემო! — თქვა და გაჩუმდა გლეხი. ვალერის ადელ-ვება იგრძნო და უთხრა: — დაწყნარდი, ქიხაროვ! — მალე თვითონაც დაწყნარდა და მხარი იცვალა.

— გცივა! — წყნარად იკითხა ვალერიმ.

— მცევა. სუნთქვა მეკვრის. ნესტი ტყვიასავით აწვება ფილტვს.

— გამხადე ქურთუკი. მე შიგნითაც კარგად მაცვია.

პასუხად გლებმა იკითხა:

— ჟიხარიოვ, შენ ვინა ხარ?

— სიკვდილი თუ ყველას ათანასწორებს, მაშინ ჩვენ ორივე ადამიანები ვართ.

— შენ ძალი ხარ, ჟიხარიოვ. ჩემს ქვეყანაში სიკვდილი კი არა, სიცოცხლე ათანასწორებს ადამიანებს!

რამდენიმე წანი ისე გავიდა, ხმა არცერთს არ ამოუღია.

მართლაც სამარისებური დუმილი გამეფდა. მხოლოდ რაღაც შორეული დუდუნის ისმოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მდინარე ახლოს უნდა ყოფილიყო. ტყე თავისებურად, ყრუდ შრიალებდა, მაგრამ ეს ხმა „უფსკრულამდე“ არ აღწევდა. მართლაც და რა უნდა ყოფილიყო, სად უნდა ყოფილიყო ეს „უფსკრული“?

ამას ისინი ვერასოდეს ვერ მიხვდებოდნენ და ვერც იმას წაზრმოდგენდნენ, რომ ეს იყო ათი თორმეტი მეტრის სიღრმის ბუნებრივი „ჭა“, ღრმად ჩავარდნილი ადგილი ვიწრო, ჭურისებრი ყელით, საიდანაც ჰაერი ჩამოდის და ლულიდან დანახულ ცასავით მოსჩანდა ლაჟვარდის პატარა ნაჭერი.

ახლა შუალამე იყო და ამ „სარქველსაც“ სიბნელის კალთა დასდებოდა, ხოლო „უფსკრულში“ წყვილად მოეცვა ყველაფერი.

მალე ვარსკვლავის ჭავლი დაეცა იქაურობას და ეს ორი კაცი ერთფეროვან და უსახო ლანდებად აღმოაჩინა.

— ვარსკვლავი! — შესძახა ჟიხარიოვმა.

— მზეს გაეჭეცი და ვარსკვლავი სანატრელი გაგიხდა, ჟიხარიოვ, როგორი საქმეა?

— იცით, აი იქეთ ერთი ლოდია. იმ ლოდის გვერდით ადამიანის ჩონჩხი დავინახე. — თქვა ჟიხარიოვმა.

— იყუჩე!

— დამერწმუნეთ, ადამიანის ჩონჩხი... რატომღაც მგონია, რომ ის ჩონჩხი ჩვენი ხვალისდელი ღღეა, ჩვენი მომავალია.

— იყუჩე მეთქი, ჟიხარიოვ!

— მაღლობა ღმერთს, რომ ადამიანი მყავხარ გვერდით, თორემ სულში სიგიჟე ამიხარხარდებოდა... შეხედე, ვარსკვლავი გამოჩნდა.

— ვარსკვლავს რომ ვუმზერ, სიკვდილი მავიწყდება.

— სიკვდილი მაინც გარდუვალია. ვინ მოიგონა სიკვდილი! ადამიანი მუდამ კარგად უნდა იყოს, ბოლოს ჩიტივით გაფრინდეს სადღაც... დამთავრდა!

— ჩიტივით გაფრენა კაია.

— რა უკუნეთია! — თვალები გადმოქაჩა ვალერიმ.

— უკუნეთს არა უშავს რა, დილა გაანათებს, მაგრამ თუ ამ ქვესკნელს თავი ვერ დავალწივთ... რალაც ნამეტანი ღრმაა. არაფერი არ მენატრება ახლა გათენების გარდა.

— იქ ადამიანის ჩონჩხია-მეთქი, წელან ვთქვი.

ქიხარიოვ, დარწმუნებული ხომ ხარ, რომ ჩვენი სამყოფი არაფრით არ განსხვავდება საფლავისაგან. ვწევართ გულადმა, მხარი-მხარ, დარწმუნებულნი, რომ თავს ველარ დავალწევთ. და თუ გვამებისაგან განსხვავებით ჩვენ ვაზროვნებთ და ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ დროებით, რამდენიმე საათით. მარადიულობისათვის კი საათი არაფერია.

ამ უფსკრულში მარტო რომ მოვხვედრილიყავი, ალბათ, იმავე წუთში შევიშლებოდი.

— მანამდე შეშლილი არ იყავი? — თქვა ძია შაქრომ და სიცივისაგან კიდევ უფრო მოიხარა. — მიძინარე კაცს გველიც არ უკბენს, შენ ბურთი ჩამჩარე, ბორკილები დამადე და გულზე დანა დამაჭირე. ეს იყო გუშინ, მხოლოდ გუშინ, ახლა კი — შენი იმედი მაქვსო.

— ახლა რაღა ვაუკაცობისაა, გინდ მხდალი იყავი და გინდ რაინდი, უფსკრულში ვართ.

— მზეზე რომ გავიდეთ, რას იზამ?

— რა ვიცი, ამბობენ, რამდენი კაციცაა, იმდენი თავიაო.

— გასაგებია, ქიხარიოვ, კმარა, მეტი არაფერი თქვა.

— თქვენ არა გაქვთ იმედი? სიკვდილის ხანს წყალს მაინც დავალევენებთ ერთმანეთს.

— კმარა. — კბილებში გასცრა შაქრომ.

ისინი გაყუჩდნენ.

საკმაო ღრო გავიდა ამ სიტყვაძვირობაში.

ძია შაქროს მოაგონდა თუ ფრონტზე ყუმბარამ როგორ ჩამარხა თხრილში. ასე იყო რამდენიმე ხანს. სიკვდილს იმდენი ებრძოლა, წყვილადში სინათლის ჭავლი შემოიყვანა, ბოლოს მიწის ზვინი შეარყია და... „მკვდრეთით აღსდგა“. აქ სუნთქვას არ უშლის რა, ოღონდ სინესტეს და სიცივეს ველარაფერი უშველა. თავისუფლადაც არის, მაგრამ გრძნობს გამოუვალ უფსკრულშია. ძია შაქროს თვლებში ცრემლი ჩაუდგა. „მადლობა ღმერთს, რომ უკუნეთია და ამ ცრემლს ქიხარიოვი ვერ დაინახავს. ეტყობა, მართლაც არ არსებობს უბედურება, რამე სიკეთის ნასახი რომ არ ახლდეს“, — გაიფიქრა ძია შაქრომ და მის გვერდით მყოფს მიაყურადა. ვალერიმ ჭერ სუნთქვა გაკმინდა, მერე უჩვეულოდ მოუხშირა და ყრუ სლუკუნი ამოაყოლა. მალე მოგუდული ქვეთინი გაისმა.

„რა ატირებს ამ მშობელძალს“ — გაიფიქრა ძია შაქრომ და მხარი იცვალა. ჩაეძინა.

გათენდა.

სინათლის სვეტი დაეცა უფსკრულს.

ეს სვეტი, თითქოს გახურებული იყო, ორთქლით აივსო. მტვერით ვით, ოქროს მტვერით აიხვია ორთქლი და აღიმართა. სვეტი ძალიან ცხელი იყო. ასე გეგონებოდათ აღარსად არსებობდა დედამიწა, მდინარეები, ზღვები, მთები. პირდაპირ ზეცა მოჩანდა. ეს სვეტი თითქოს უფსკრულიდან ზეცას მიებჯინაო, ზედ ზეცის ნაჭერი ედო, ეს ნაჭერი იყო სუფთა და ლამაზი, როგორც ზღაპარი და მიუწვდენელი, როგორც ოცნება.

სინათლის სვეტი ოქროსფრად გადაიქცა, კარსტულ ქვაბულში წყლის წვეთები, კრისტალები, ფენები, ლიბგადაკრული ქვები და ათასი სხვა რამ ულამაზესი ათინათებით ააციავა. ფერთა საოცარმა თამაშმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ეს უფსკრული კი არა ზღაპრული სამოთხე იყო. თითქოს სითბოც ჩამოდგაო, ერთგან სხივის ჭავლი ბურუსიანი ორთქლის ძაბრებით მოხაზულიყო და სამოთხის ოქროს წყლის შხაპს ჰგავდა. ათინათინები თითქოს მოკრძალებასავით ხელშესახები იყო, მაგრამ რომ მიახლოვებოდით, ხელში მხოლოდ რომელიღაცა კრისტალი, კენჭი და წყლის წვეთი შეგრჩებოდათ.

ამ ზღაპრულ სამყაროში გამოეღვიძათ იმათ.

ვალერი ჯერ დაიბნა, მერე ატოკდა, რატომღაც ენა დაება.

ძია შაქრო გაოცდა. თვალები აახამხამა, დახუჭა, გაახილა და ისევ დახუჭა. მერე ისევ გაახილა. წამოიწია, წამოდგა, ყიხარით თვალეზგაბრწყინებული რაღაცას ლულლულებდა, ცქმუტავდა. არა სჯეროდა იმისა, რასაც ხედავდა.

— მთების სულს სამოთხეში გადაუყვანივართ ყიხარით!

— კეთილი ყოფილა მთების სული. წამომაყენეთ ღვთის გულისათვის.

ძია შაქრომ ის ფრთხილად წამოაყენა. დაჟეჟილობა და ტკივილები დაავიწყდათ. უიმედობა იმედმა შესცვალა. დაოსებულნი, დაფეხვილები მოკრძალებით მიუახლოვდნენ სინათლის ხავერდოვან სვეტს. ამ მოკრძალებაში თითქოს განგებისადმი პატივისცემა იხატებოდა, მივიდნენ, ტყუპებით შევიდნენ მილიარდი მარგალიტის ათინათის სვეტში. გათბნენ. სინათლეს ისე შეაჩვიეს თვალები, რომ იმის იქით ვეღარაფერს ხედავდნენ. სინათლემ თვალები მოჰკვეთა. სასიამოვნო იყო ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი შთაბეჭდილება, რომლითაც სინათლეს, ცას, სიცოცხლეს უკავშირებდნენ.

ყიხარით თვალი გააპარა იმ ლოდისაკენ, სადაც გუმინ ადამიანის ჩონჩხი მოლანდა. იქ ზღაპრული სინაზის ციაგი იდგა.

— გაიხედეთ იქით! — ნიშნისმოგებით თქვა ყიხარითმა და შიშის გრძნობით ბავშვივით მიეკრა ძია შაქროს. — ახლაც არა გჯერათ, რომ ცოცხლად ვყრივართ სამარეში.

— ცუდი კაცისათვის სიცოცხლე სიკვდილია, კარგისთვის კი პირი-  
ქით, სიკვდილიც სიცოცხლეს ნიშნავს, შენ რა, გეშინია ამოდენა კაცს?

— ნუ გავარჩევთ კარგსა და ცუდს. იმიტომ კი არა, რომ მეშინია...

— ახლა ანგელოზები რომ მოფრინდნენ და აგვიტაცონ, წავიყვანონ და იმ მუხის ძირას დაგვსვან, სადაც ხელები შემობორკე, რას იზამდი. მაშინაც ასე მომეკვრებოდი?

— მე თუ კაცი ვარ, მაშინ ჩემზეც უნდა გავრცელდეს ის ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობა, რომ წარსულის გახსენება უსიამოვნოა.

— ეს მხოლოდ ცუდი წარსულის...

— წყალწაღებულს სანამ უჭირს, შველას თხოულობს. გადარჩენის შემდეგ მადლობა ავიწყდება.

— გასაგებია, ყიხაროვ. გმადლობთ ასეთი გულწრფელი აღიარებისათვის...

ყიხაროვმა თავისი ჩაცმულობა შეამოწმა. ფეხსაცმლის ლანჩა ამძვრალიყო. თვალები ზევით შეაყოლა. ტეხასურა მუხლებთან დაფლეთილიყო. მხრებზე ჯვარედინად გადაკრული ქამრის აბზინდა მოგლეჩილიყო. წვერი მკერდამდე სცემდა. მოტეხილი მარცხენა ხელი, არტაშანით საიძედოდ შეკრული, უცხო სხეულივით ეკიდა. ქამარში გარკობილი დანა ფეხსაცმლის ყელში ჩაცურებულყო. შიშველი რევოლვერი ფეხებთან ქვებში ეგდო, ზურგჩანთა ციცაბოზე შქერის ტოტს შემორჩენოდა. ვინ იცის, რა ჰქონდა ზურგჩანთაში.

ყიხაროვმა მოულოდნელად უბეზე წაივლო ხელი. ეტყობოდა, იქ რაღაც საგულდაგულოდ შენახული ეგულებოდა.

— ოქროს ეძებთ? აგერაა! — დაიძახა ძია შაქრომ და ოქროთი სავსე პარკი აიღო. — ინებეთ.

ყიხაროვი დაიბნა. გამოართვა, მაგრამ შეშფოთება მაინც არ გადაუვიდა. შემდეგ, თითქოს თავი იმართლავდა, თქვა:

— ოქრო ამ ქვესკნელში ქვისაგან არაფრით განსხვავდება. მას მზის-ქვეშეთში აქვს ფასი, უფსკრულში — კი არა, — და უბე მოისინჯა.

— ეს ხომ არ გინდათ? — დაიხარა ძია შაქრო და აიღო ორცხობილას ის პატარა ნაჭერი, გუშინ ყიხაროვმა უბეში რომ შეინახა. — ჩემი გუშინდელი საგზლის დანაზოვი...

ყიხაროვი კატის სისწრაფით წაეტანა და პირისაკენ გააქანა. მერე, ცოტა არ იყოს, შერცხვა. პირი მოარიდა და თვალები დახარა.

— გშიათ? — იკითხა დარცხვენოლმა.

— არა, მე სულ რაღაც ერთი დღე-ღამეა, რაც საჭმელი არ მიჭამია, თქვენ კი?... წუხელ ცისარტყელის კიბე მესიზმრა, მგონი გადავრჩებით. მაგრამ სიზმარი ხომ მაინც სიზმარია. აი, ამ ციცაბო კედლებს რითი გინ-

და ააღწიო. ჩემი სიზმარი მგონი ბედის დაცინვა უფროა, ვიდრე სხვა რამ.  
— განგებ მოიღუშა გლეხი.

— ასეა ვითომ? — იკითხა გულგატეხილმა ყიხარიოვმა. იარაღები ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და უსიტყვოდ გადაყარა.

ძია შაქრომ უნებურად იმავე ჩონჩხს მოჰკრა თვალი და დააკვირდა. სანამ მზე გადახრილა და სანამ კარსტულ ქვაბულში შუქი დვას, უნდა გაიგოს ვინ არის იგი — დამარცხებული მონადირეა, „ჩაყლაპული“ მეტყევეა, უცხო დაზვერვის აგენტია თუ საბჭოთა მესაზღვრე...

— თქვენ რა, ძია შაქრო? — შეეხმიანა ვალერი.

— გულგრილობა და „მეზობლის“ დაუფასებლობა არ შეიძლება. ჩვენ ხომ სამნი ვართ ამ უფსკრულში, — ორი ჩვენ და ერთიც ეს უცნობი „მოქალაქე“, ჩონჩხად გარდასახული. განსხვავება დროებითია და ეს მალე წაიშლება. ჩვენ კი მარად უცნობები დავრჩებით.

— თქვენ საბედისწეროთ ხუმრობთ.

„დიახ... ის თუ მესაზღვრე იყო, ვაი მის საბრალო დედას, ვაი მის შეყვარებულ გოგონას, ვაი, მის ბამბურა ძალღს, რომელსაც მეგობრობდა, ტირიფებს, უეკლო ტყეს, სოკოებს და... არა! თუ კი მტერი იყო... მაგრამ ასეთი სიკვდილი მაინც საშინელებაა, ეს ღმერთის უზომო სასჯელია“, — გაიფიქრა ძია შაქრომ, მოიკრიბა მშობლიური გამბედაობა, რომლითაც მამა შვილს ცეცხლშიც კი გადაყვება, და ამ უსახელო ჩონჩხს მიუახლოვდა.

მის წინ, როგორც ცხედართან, რამდენიმე წუთს მდუმარედ იდგა, ბოლოს დაიხარა და იქაურობა დაწვრილებით დაათვალიერა.

მიცვალებული, სიკვდილის წინ, ეტყობა, მთელ სიგრძეზე გამართულიყო და ისე განუტევებია სული — ჩონჩხი გაპათიოსნებულ ცხედარით იდო. მტევანთან, მარჯვენა ხელის უსახელო ძვალზე წამოგებული ვერცხლის ბეჭედი შერჩენოდა, იქვე ეგდო ქუდის გაყვითლებული კაკარდი და... სამამულო ავტომატი სავსე ტყვიებით. ავტომატი უფსკრულის ნესტისაგან ისე დაჟანგულიყო, ლულა დაცხავებოდა, ხოლო ბეჭედს ყვითელი ლიბი გადაკვროდა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ხელის დაკარებაზე ქაღალდის ნამწვავივით ტყდებოდა და იფშვნებოდა.

ძია შაქრო დარწმუნდა, რომ ეს უკვალოდ გამქრალი მესაზღვრის ნეშტი იყო. გული აუჩუყდა და ცრემლები მოერია.

ძია შაქროსაკენ შეშინებული თვალები გააპარა ყიხარიოვმა და მოთმინებადაკარგულმა წამოიძახა:

— ლეშს რამდენსაც შეეხები, უფრო აყროლდება. მოეშვი და გული დაგიმშვიდდება. ძვლებს რა პასუხს თხოვ შე კაცო!

ძია შაქრო დინჯად შემობრუნდა და ცრემლები გაუშრა. ერთხელ კი-

დევ შეათვალიერა ეს უშნო თმა-წვეროსანი, რომელიც ახლა ქვაზე ჩამო-  
ჯდარიყო და ფეხი რევოლვერზე დაეხიჯებია.

— შენ ღორი ხარ, ჟიხარიოვ! — თქვა და წამოდგა, ბილენცრა მოი-  
ტანა და ჩონჩხს სუდარასავით გადაათარა. რამდენიმე ხანს ასე მდუმარედ  
იდგა, ბოლოს მობრუნდა, ვალერის თავს წაადგა და გაიმეორა:

— შენ ღორი ხარ, ჟიხარიოვ!

ჟიხარიოვმა ელვის სისწრაფით დაავლო ხელი იარაღს, რომელზეც  
ფეხი ებჯინა და ძია შაქროს შუბლში დაუმიზნა.

გლებმა მას ხელი აჰკრა და ზურგსუკან გააგდებინა. ჟიხარიოვს ამ  
მოძრაობამ მოტეხილი მარცხენა ხელი შეურხია და ტკივილის ცეცხლით  
კბილები გაახრჭიალებინა.

— აკი გითხარი, ფრთხილად იყავი, თორემ მოტეხილობა არ გაწატი-  
ებს-მეთქი. გული ხომ არ წავივიდა, შე მართლა ღორო, გაახილე თვალები!

ჟიხარიოვს მართლაც წასვლოდა გული და შაქრო რომ არ მიშველე-  
ბოდა, უკანვე გადაქცეული თავს ქვაზე დაახლიდა. შაქრომ ის მოასულიე-  
ერა და ჰკითხა:

— გინდოდა მოგეკალი? საფლავეში გასროლა განა ვინმეს გაუგონია?..

ამ მრავალმნიშვნელოვანმა სიტყვებმა მოაფხიზლა ჟიხარიოვი. შემო-  
წოლილ უიმედობას ველარ გაუძლო და თქვა:

— მაშ, შენ მომკალი და გამათავე...

ძია შაქრომ ჟიხარიოვს დამცინავი თვალი მოარიდა და გულდასმით  
შეათვალიერა უფსკრულის შვეული კედლები, რომლებიც კირქვის ქა-  
ნებით იყო გაპიტალოებული. ამასაც რამე ეშველებოდა, ქვაბულს მართ-  
ლაცდა გადმოპირქვავებული გიდლის ფორმის კედლები რომ არ ჰქონო-  
და. ბოლოს და ბოლოს წახნაგოვანი ქვეებითა და დანით შეიძლება გამოკ-  
ვეთო საფეხურები, ზედაპირი რომ „ავიშვებდეს“.

დასასრული შემდეგ ნომერში

---

შოთა ჟაჩიძე

## საბჭოთა დივიაგუჰის კლასიკოსი

ალბათ, დედამიწელთა სასაუბრო ენაში არ არსებობს საქებარი ეპითეტი, რომელიც მიხეილ შოლოხოვისათვის არ მიესადაგებინოთ. და მაინც, ვერავითარი ეპითეტი, რა მარჯვეც არ უნდა გვეჩვენოს იგი, ვერ გამოხატავს რუსი საბჭოთა მწერლის ვერც სიდიადეს და ვერც დამსახურებას არათუ მთელი კაცობრიობის, მშობლიური მიწისა და ხალხის წინაშეც კი. საქმეს დიდად ვერ შევლის ვერც შედარება. „საბჭოთა მწერალთაგან შოლოხოვი ყველაზე დიდი ფიგურაა“, წერდა გერმანელი ვილი ბრედელი. „თანამედროვე მწერალთაგან ყველაზე მეტად მომწონს შოლოხოვი“, აღიარებდა ამერიკელი ერნსტ ჰემინგუეი, მისი თანამემამულე ლილიან ჰელმანი კი ამბობდა: „ამჟამად ცოცხალ მწერალთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მწერალი მიხეილ შოლოხოვია“. ასე სხვა-

დასხვაა შედარებათა სამანი, მაგრამ სივრცე, რომელიც ამ სამანთა შუაში რჩება, მაინც შეზღუდულად, შეკვეცილად გვეჩვენება. იგი ვერ დაიტევს შოლოხოვის სიდიადეს — საამისოდ არც სიმაღლე ჰყოფნის და არც განი. შოლოხოვი უფრო ვრცელია, ვიდრე რუსეთის თვალუწვდენი ტრამალები, ვიდრე ამერიკის უკიდევანო პრერიები, უფრო მაღალია, ვიდრე კავკასიონისა და პამირის მწვერვალები. შეიძლება ამიტომაც უფრო უპრიანი, როცა შედარების საგნად იღებენ არა თვით შემოქმედს, არამედ მის ნაწარმოებს და „წყნარ დონს“ ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ ადარებენ. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უფრო სრულად, გამოკვეთილად ჩანს ვინ არის შოლოხოვი, რა წვლილი შეიტანა მან დედამიწელთა სულიერ საგანძურში.

„წყნარი დონი“ — ეს არის ვრცელი ეპოპეა, რომლის ბადალი მთელ მსოფლიო ლიტერატურაში თითზე ჩამოითვლება. მასში აისახა წლები და ადამიანები, რომლებმაც შეძრეს მთელი ქვეყნიერება. ამ მხრივ იგი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე თვით ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს 1812 წლის სამამულო ომის მნიშვნელობა რუსეთისა და ევროპის ხალხთა ცხოვრებაში, რომელმაც ბრწყინვალე მხატვრული განსხეულება პოვა „ომსა და მშვიდობაში“, მისი მასშტაბი მაინც რეგიონული დარჩა, მაშინ როცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მომდევნო სამოქალაქო ომმა მთელი მსოფლიო ისტორიის მსვლელობა შეატრიალა, წაიყვანა იგი სრულიად ახალი, უცნობი, მაგრამ ნათელი გზით. მან დაამსხვრია მონობის ბორკილები, ძირფესვიანად შეცვალა მილიონობით ადამიანის ბედი, მათი შეგნება და ფსიქოლოგია, დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, სინამდვილისადმი. რა თქმა უნდა, ასახული მოვლენის სიდიადე თავისთავად დიდი არაფერი ბედენაა, იგი უშუალოდ არ განაპირობებს მხატვრული ნაწარმოების ღირსებას. და შოლოხოვის დამსახურებაც ის არის, რომ მან დიადი მოვლენა ასახა შესატყვისი მხატვრული ძალით, ახალი სიტყვა თქვა, ახალი თავფურცელი გადაშალა კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში. იგი ნოვატორი

მხატვარია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეპიკური სიღრმე და ლირიკული იგზნება, ტრაგიკული და კომიკური, მხატვრული და პუბლიცისტური შოლოხოვის ნაწარმოებებში გვერდიგვერდ არსებობენ, ისე, როგორც ეს სინამდვილეშია. მხატვრული სიმართლე აქ ზუსტად ემთხვევა ცხოვრებისეულს და ისინი ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგებიან.

დამახასიათებელია, რომ ადამიანები, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების იდეურობასა და ღირსებას ლოზუნგების სიმრავლით აფასებენ და არა შინაგანი პათოსით, არა მოვლენათა და ადამიანთა ასახვის მასშტაბურობითა და სიმართლით, თავის დროზე გააფთრებით შეხვდნენ „წყნარ დონს“, აღმოჩნდნენ ისეთი „რევოლუციონერებიც“ კი, რომლებმაც მისი აკრძალვა და მოსპობა მოითხოვეს. მათთვის გაუგებარი იყო რომანის ცენტრალური პერსონაჟის გრიგორი მელებოვის მხატვრული სახე, მისი შუქ-ჩრდილები. გრიგორი ხომ მერყეობდა, ქანაობდა კეთილსა და ბოროტს შორის, ხან დადებითი ჩანდა, ხან კიდევ უარყოფითი. კიდევ უფრო გაუგებარი იყო, რატომ თანაუგრძნობდა მწერალი ამ მერყევ ადამიანს, რომელსაც ვერც ცხოვრების სიმართლე და ვერც თავისი ადგილი ვერ უპოვია, ერთხელ და სამუდამოდ, მტკიცედ და გადაჭრით ვერ განუსაზღვრავს თავისი პოზიცია მიმდინარე ისტორიულ პროცესში.

მოგვიანებით, ორმოციან წლებში, როცა „წყნარი დონის“ უკანასკნელი წიგნი გამოქვეყნდა, ასევე აუხირდნენ მწერალს სქემებისა და შიშველი ტენდენციების მოყვარულნი. მათ აშკარად არ მოეწონათ რომანის ფინალი და მოითხოვეს მისი გადაკეთება, ან ნაწარმოების გაგრძელება. შოლოხოვს, ცხადია, არც ერთი გაუკეთებია, და არც მეორე, თავის პოზიციასზე დარჩა და სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. იგი სწორედ იმიტომაა გენიოსი მხატვარი, რომ ორ ფერს—თეთრსა და შავს არ დასჯერდა, ფერთა მთელი გამა მოიმარჯვა და დახატა ადამიანი, მისი რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი, გვიჩვენა, თუ რა ძნელია ისტორიული გარდატეხის პერიოდში მიაგნო ცხოვრების სიმართლეს, ახლისა და ძველის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში სწორად განსაზღვრო შენი პოზიცია. იგი რომ იბოვო, უნდა გაიარო ტანჯვით, სულიერი ტკივილებით აღსავსე გზა.

გრიგორი მეღებოვი არისტოკრატი არ ყოფილა, არც მემამულე და კაპიტალისტი. იგი ხალხის წიაღიდან გამოვიდა და ხალხში აღიზარდა. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა საუკეთესო თვისებებით — გრიგორი გაბედული, ძლიერი ნებისყოფის ვაჟკაცია, გულმართალი და პატიოსანი, მაგრამ იგი გლეხობის ე. წ. საშუალო, ყველაზე მერყევ ფენას ეკუთვნოდა და ამიტომ მასში ძლიერი იყო

მესაკუთრული და წოდებრივი ცრურწმენები, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს დაღუპეს იგი. როგორც ექსპლოატიკებული და ხალხის ღვიძლი შვილი, გრიგორი „წითლებთანაა“, მაგრამ როგორც მესაკუთრესა და კანაკს, გული „თეთრებისაკენ“ მიუწევს. მას ახალი სურს, გრძნობს მის უპირატესობას, მაგრამ ვერც ძველს შელევა, არ უნდა დაკარგოს ის, რაც უკვე აქვს, რაც სხვებზე უპირატესობას ანიჭებს. და იგი აქეთ-იქით აწყდება, ხან ერთ ბანაკშია და ხან მეორეში, ხან კარგს სჩადის და ხან ცუდს. ამ ორი კონტრასტული გრძნობის ჭიდილი ისეთ სულიერ ტანჯვასა და ტკივილებს ადძრავს გრიგორი მეღებოვი, რომ ჩვენს გულწრფელ თანაგრძნობას იწვევს მაშინაც კი, როცა ცუდს სჩადის, რადგან ვიცით, რომ ეს ცუდკაცობით არ მოსდის, ვერ ძლევს მის სულში სატანასავით ჩაბუდებულ მესაკუთრულ და წოდებრივ ცრურწმენებს. აქ უნებლიეთ ვვგონდება ქართველი პოეტის კოლაუ ნადირაძის ტრაგიკული კითხვა: „სად დავდგე ლოცვად, თუ ტაძრისთვის ვერ მიმიგნია?!“

მაგრამ ცხოვრება უაღრესად მკაცრი გამომცდელია და თავისი რკინის ლოგიკა აქვს. თუ შენგან იგი ლოცვას მოითხოვს, ტაძარსაც უნდა მიაგნო, თუნდაც წინ გოლგოთა გედვას და ჯვარცმა გელოდეს. უნდა მიაგნო რადაც უნდა და დაგიჯდეს, თორემ ისე გაგსრესს, როგორც ბლუმიჩი ლითონ-

ნის ზოდს. მას განაჩენი გამოაქვს არა ადამიანის შინაგანი ბუნების, არამედ პრაქტიკული საქციელის კვალობაზე. გრიგორი მეღებოვი კი დაიბნა ცხოვრების გზაჯვარედინთან, ველარ გაარჩია მტერი და მოყვარე, უნდოდა თუ არ უნდოდა, ხელი აღმართა მშობელი ხალხის წინააღმდეგ, დაღვარა რევოლუციისათვის მეზობლობა სისხლი და, ბუნებრივია, მკაცრ განაჩენს ვერსად გაექცეოდა. ისტორიამ არ იცის რა არის მიტევება და შეღავათი, როცა მილიონთა ბედი წყდება, როცა კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია ახლისათვის თითოეული ინდივიდის თავდადებაზე. გრიგორი მეღებოვის ტრაგედიაც ის არის, რომ უდიდესი გარდატეხის პერიოდში მოწყდა ხალხს, რომელიც ასაზრდოებდა მის საუკეთესო ადამიანურ ღირსებებს, მოწყდა და, როგორც მშობელ მიწას ატაცებულ მითოლოგიურ ანთოსს, ძალა გამოეცალა, დაკარგა ყველაფერი ის. რისთვისაც გვიყვარდა იგი.

გრიგორი მეღებოვი ხორცითაც და სულითაც რუსი ადამიანია, მაგრამ ამავე დროს მსოფლიო ტიპიც. იგი ღრმად განზოგადებული მხატვრული სახეა. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მისი უდიდესი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი წერს, რომ მისი შემწეობით გაიგო თუ რას ნიშნავს იყო რევო-

ლუციის მონაწილე, რა ძნელია მიაგნო ცხოვრების ერთადერთ სიმაართლეს. და მართლაც ყველაფერი, რაც გრიგორი მეღებოვს თავს გადახდა, ხომ იმას ადასტურებს, რომ რევოლუციაში არ არსებობს არავითარი მესამე გზა — ან მისი მომხრე ხარ, ან მოწინააღმდეგე. რევოლუცია — ეს არის თითოეული ადამიანის მკაცრი გამოცდა, მისი, როგორც პიროვნების, ამაღლების ან დაცემის პროცესი. ვინც ფეხს აუწყობს ხალხს, სულიერად მალდება, მშვენიერდება და მღიდრდება მისი ეთიკურ-ესთეტიკური სამყარო, და პირიქით, ვინც მოწყდება მას, იმ ღირსებებსაც კარგავს, რომლებიც მანამდე ჰქონდა, როგორც ეს მოუვიდა გრიგორი მეღებოვს. ჩვენ გულწრფელად გვენანება ეს ამაყი, გაბედული, პატიოსანი და ალაღმართალი კაცი, რომელმაც გაიარა ტანჯვით აღსავსე გზა, ხელთ კი ნაძრახი სიცოცხლე შერჩა, ვერ შეძლო ჩამოერეცხა „კაპიტალიზმის თანდაყოლილი ლაქები“; ვერიქნა და ვერ შეეღია ძველს. შოლოხოვმა არ დაინდო თავისი საყვარელი გმირი, გასწირა იგი, რადგან მასზე ადრე თვით ცხოვრებამ არ დაინდო და გასწირა მეღებოვი. რეალისტი მწერალი, რომელიც სიმართლით ასახავს სინამდვილეს, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. ამას უკარნახებდა მას როგორც ცხოვრების მიმდინარეობა, ისე თვით მეღებოვის ხასია-

ათის განვითარების კანონზომიერება.

არანაკლები სისრულით და ოსტატობით გამოძეარწა მ. შოლოხოვმა რომანის დანარჩენი, მათ შორის რუსი ქალების აქსინიას, ნატალიასა და სხვათა მხატვრული სახეები. თითოეული მათგანი ღრმად ინივიდუალიზებული და განზოგადებულია. ამით აიხსნება, რომ მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება არა მარტო მთავარი, არამედ მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც. ეს კი მხოლოდ დიდ ხელოვანს ხელეწიფება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ადამიანები და მოვლენები რომანში გათიშული კი არ არიან, ერთ ორგანულ მთლიანობად წარმოგვიდგებიან. ვინ იცის, რამდენი ისეთი ნაწარმოები წავგიკითხავს, სადაც ან ადამიანი ჩრდილავს მოვლენას, ან, პირიქით, მოვლენა — ადამიანს. ეს მაშინ ხდება, როცა მწერალი ცალ-ცალკე ხედავს მათ, ვერ ახერხებს მთლიანობაში მათს აღქმას და ადამიანს ხატავს მხოლოდ მოვლენის წარმოსაჩენად, ან კიდევ მოვლენას, როგორც ფონს, ადამიანის წარმოსაჩენად. სხვადახარად რომ ვთქვათ, არ ჩანს ადამიანისა და მოვლენის შეხვედრის წერტილები, მათი დიალექტიკური ურთიერთობა, ხოლო თუ ჩანს, ჩანს როგორც შედეგი და არა როგორც უწყვეტი პროცესი. მ. შოლოხოვისათვის აბსოლუტურად უცხოა ასეთი გათიშულობა. „წყნარ დონშიც“ და სხვა ნაწარმოებებშიც

ისინი — ადამიანი და მოვლენა ერთი მედალიონის ორი მხარეა, არ არსებობენ უერთმანეთოდ და, თუ მოვლენა ზემოქმედებს ადამიანზე, არც ადამიანი რჩება გულზე ხელდაკრეფილი, ისიც თავის მხრივ ზემოქმედებს მოვლენაზე — ხელს უწყობს ან აფერხებს მის განვითარებას. აი ამიტომ, როცა ამბობენ, მ. შოლოხოვმა „წყნარ დონში“ ბრწყინვალედ ასახა მთელი ისტორიული ეპოქა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სამოქალაქო ომიო, გულისხმობენ, რომ მწერალმა არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცა როგორც ცხოვრებაში, ისე ადამიანთა სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები, მოვლენათა და ადამიანთა დიალექტიკური კავშირი, ურთიერთგადასვლა და განვითარება.

ასეა მ. შოლოხოვის მეორე დიდ ნაწარმოებშიც „გატეხილი ყამირი“. ამ რომანის პირველი წიგნი მწერალმა 1932 წელს გამოაქვეყნა, ხოლო მეორე — 28 წლის შემდეგ. ამის მიუხედავად, არსად არ იგრძნობა თხრობის დისჰარმონია, თუმცა დრომ მაინც მოახდინა ერთგვარი გავლენა მასზე, რაც უმთავრესად გამოიხატა მეორე წიგნის ლირიკულ წიაღსვლებში, ეტიკურ - ზნეობრივი ასპექტის, ადამიანთა ინტიმური განცდების ხაზგასმაში.

„გატეხილი ყამირი“ მწერალმა ისევ იდეალის შთამავგონებელ ძალას მიუძღვნა. კონკრეტულ ის-

ტორიულ მოვლენებში მან დანახა ზოგადკაცობრიული, ხოლო ასევე კონკრეტულ ადამიანებში არა მარტო აწმყოს მუშაკები, არამედ მომავლის მშენებლებიც, ყველაზე ამალღებული და მშვენიერი იდეალის — კომუნისტური იდეალის ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის მებრძოლნი.

რომანის ცენტრშია პუტილოველი მუშა, კომუნისტი სიმონ დავიდოვი, ერთი იმ 25 ათასი მუშათაგანი, რომლებიც პარტიამ სოფლად მოაგვლინა კოლექტივიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად. მისი სამოქმედო ასპარეზი დონის ერთი პატარა ხუტორით შემოიფარგლება, მაგრამ იმ მოვლენებში, აქ რომ ხდებოდა, და ადამიანებში, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, აისარკა მთელი ისტორიული ეპოქა — დიადი სოციალური გარდატეხა და მილიონობით ადამიანის შეგნებისა და ფსიქოლოგიის მასობრივი გარდაქმნა.

კომუნისტის მხატვრული სახეები მ. შოლოხოვმა „წყნარ დონშიც“ შექმნა. შტოკმანი, კოტლიაროვი და სხვა ლენინელები, გრიგორი მელეხოვისაგან განსხვავებით, რომელმაც ვერ შეძლო დაეძლია მესაკუთრულ-წოდებრივი ცრურწმენები, უყოყმანოდ უკუაგდებენ ძველს და სიცოცხლესაც კი სწირავენ სანუკვარ იდეალს — კომუნისტურ მომავალს. დავიდოვიც იმავე ყალიბით არის ჩამოსხმული, როგორითაც „წყნარი დონის“ კომუნისტები. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის,

თუმცა სხვა ვითარებაში მოუხდათ მოღვაწეობა. დავიდოვისთვისაც კომუნისტური იდეალი ყველაფერია — ცხოვრების სიმართლეც და სიცოცხლის აზრიც. ამ იდეალის ღრმა რწმენა და უსაზღვრო ერთგულება ამალღებს დავიდოვს, როგორც პიროვნებას, და აძლევს კოლექტივზე, ადამიანთა მასაზე ზემოქმედების ძალას. ადვილი როდი იყო გლეხობის დარწმუნება მათთვის სრულიად უცნობი გზის, კოლმეურნეობის უპირატესობაში, საუკუნეობით განმტკიცებული მესაკუთრული შეგნებისა და ფსიქოლოგიის დაძლევა და, ბუნებრივია, დავიდოვს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, ვიდრე საწადელს მიაღწევდა. მაგრამ რამდენადაც ძნელი, მიძიმე, განსაცდელით აღსავსე იყო გზა, რომელიც დავიდოვმა განვლო, იმდენად დიდია გამარჯვების სიხარული. თავისი პრინციპულობით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ნებისყოფის სიმტკიცით, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგულებით, უბრალოებითა და და სხვა ჭეშმარიტად ადამიანური ღირსებებით დავიდოვმა იმდენად მოხიბლა მკითხველი, რომ თითქოს წაიშალა ზღვარი ლიტერატურისა და ცხოვრების გმირს შორის. იყო შემთხვევები, როცა გლეხები პარტიულ კომიტეტებს წერილს უგზავნიდნენ და სთხოვდნენ, დავიდოვი ჩვენს სოფელში მოავლინეთო. კიდევ მეტი, რომანის პირველ წიგნს ადგილობრივ ორგანიზაციებს სახელმძღვანელ-

ოდ უგზავნიდნენ პარტიულ დირექტივებთან ერთად. „გატეხილ ყამირს“ დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ისე სრულად და ყოველმხრივად აისახა მასში ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, მაგრამ შთამაგონებელი მონაკვეთი — კოლექტივიზაციისა და სოციალიზმის ფუნდამენტის ჩაყრის ეპოქა.

ახალი შედეგებით გაამდიდრა მ. შოლოხოვმა საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურა დიდი სამამულო ომის პერიოდში. იგი იყო „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი და ფრონტზე ნახული და განცდილი ჩვეული ოსტატობით გადმოგვცა ნარკვევებში „დონზე“, „სამხრეთში“, „კაზაკები“ და სხვ. 1942 წელს მწერალმა გამოაქვეყნა პუბლიცისტური მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ომის წლებშივე დაიწყო მან ახალ რომანზე „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ მუშაობა. იგი ეძღვნება საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს, მათს მასობრივ გმირობას და ერთგვარად აჯამებს მ. შოლოხოვის გმირების სულიერ ევოლუციას.

მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები, განსაკუთრებით ომის პირველ ეტაპზე, როცა ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ. მ. შოლოხოვის რომანში ამ უკანდახე-

ვის ბევრი დრამატული სურათია, მაგრამ ნაწარმოებს წითელ ძაფად გასდევს ის აზრი, რომ დროებითი წარუმატებლობის, საშინელი ნგრევისა და მსხვერპლის მიუხედავად საბჭოთა ჯარისკაცს, საბჭოთა ადამიანს სასო არ წარკვეთია, არ შერყევია მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენა. და სწორედ აქ იჩინა თავი ახალი საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის უძლეველობამ, ადამიანთა შეგნებისა და ფსიქოლოგიის გარდაქმნის კეთილმა ნაყოფმა, პარტიისა და ხალხის ურღვევმა ერთიანობამ. კიდევ ერთხელ დადასტურდა კარლ მარქსის გენიალური დებულება, რომ იდეა, როცა იგი მასებს დაეუფლება, იქცევა მატერიალურ ძალად. საბჭოთა ხალხს დიდი სამამულო ომის პერიოდში შეუძლებელი შეაძლებინა სწორედ კომუნისტური იდეალის, მარქსისა და ლენინის იდეების ურყევმა ერთგულებამ.

საბჭოთა ადამიანის სულის ძალა და სილამაზე, იდეური რწმენის ძალა გასაოცარი ოსტატობით გადმოგვცა მ. შოლოხოვმა პატარა მოთხრობაში „ბედი კაცისა“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ანდრია სოკოლოვის მთელი ცხოვრება იმის დასტურია, რომ გრიგორი მელეხოვის მერყეობიდან მხოლოდ მოგონება-და დარჩა. კომუნისტური იდეალი გახდა ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სახესა და ბედს.

ასე ღრმად და ყოველმხრივ აისახა მ. შოლოხოვის შემოქმედებაში ჩვენი ქვეყნის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი, სამი ისტორიული მონაკვეთი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სამოქალაქო ომი, კოლექტივიზაცია და სოციალიზმის ფუნდამენტის ჩაყრა, ბოლოს კი დიდი სამამულო ომი.

მ. შოლოხოვის თხზულებებს დღეს ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში კითხულობენ — ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და იაპონიაში. განსაკუთრებით პოპულარული გახდა მწერლის ნაწარმოებები მას შემდეგ, რაც მ. შოლოხოვს ნობელის პრემია მიანიჭეს. ეს იყო იმის აღიარება, რომ მ. შოლოხოვის შემოქმედება მთელი ცივილიზებული კაცობრიობის კუთვნილებაა. ოთხმოც ენაზე დაიბეჭდა დიდი მწერლის თხზულებები ჩვენს ქვეყანაში. მისი წიგნების საერთო ტირაჟმა უკვე 60 მილიონ ეგზემპლარს მიღწია. ჩვენ, ქართველ მკითხველებს, სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მ. შოლოხოვის თითქმის ყველა ნაწარმოები თარგმნილია ქართულად. „წყნარი დონი“ ქართულ ენაზე უკვე ორჯერ გამოიცა, ხოლო „გატეხილი ყამირი“ — სამჯერ.

ქართველი ხალხი მ. შოლოხოვს

თავის გულითად მეგობრად თვლის. ამ მეგობრობის განმტკიცებას დიდად შეუწყობ ხელს იმის რაღმა კონტაქტებმა ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან, რიგით მშრომელებთან. მ. შოლოხოვი საქართველოს პირველად ეწვია 1961 წლის ივნისში და აქ მთელი კვირა დაჰყო. იყო მცხეთაში, ბორჯომში, ვარძიაში, უინვალსა და ყაზბეგში, ანანურსა და ფასანაურში, ეწვია კახეთს, დასავლეთ საქართველოს, სადაც პირველად გაეცნო მეჩაიეთა შრომას. სტუმარი მოხიბლა საქართველოს წარმტაცმა ბუნებამ, მშრომელი ადამიანების უბრალოებამ და გულითადაც მასპინძლობამ, შრომისმოყვარეობამ. დიდი მწერალი განსაკუთრებით განაცვიფრა მეჩაიეთა თავდადებულმა შრომამ. აი რას წერდა იგი ამის თაობაზე:

„მე ვისურვებდი განსაკუთრებით გულითადად მივესალმო და გადავეხვიო ჩვენი ჩაის პლანტაციების მშრომელ ქალებს. ჩემდა სამარცხვინოდ საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, თუ რა მძიმეა თქვენი შრომა. აი ამიტომაც განსაკუთრებით მოგესალმებით და გულითადად გეხვევით თქვენ ყველას — ეს უკვე საშიში არ არის, და თუ ისინი, ვისაც უყვარხართ, გაითვალისწინებენ, რომ მე უკვე მეექვსე ათეულ წელში ვარ, — მაშინ მოხვევნა არ გამოიწვევს მათ ეჭვიანობას, არამედ

გააღვივებს სიამაყის გრძნობას ქართველი ქალებისადმი მათ სულში, როგორც გააღვივა ჩემს სულში“.

მეორედ მ. შოლოხოვი საქართველოს ეწვია 1968 წლის აგვისტოში თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. აღმოსავლეთ საქართველოში მან სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში და ახლად გახსნილი დიდების მუზეუმი. დიდმა მწერალმა შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა: „მუზეუმი საინტერესოა და, რაც მთავარია, საჭიროა ჩვენს ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობების აღსაზრდელად“.

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად დიდი მწერალი თავისი მოგზაურობისას ეწვია მზიურ აკარასაც. ეს იყო 1968 წლის 20 აგვისტოს. ბათუმის აეროპორტში მ. შოლოხოვის შესახვედრად თავი მოიყარეს რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მშრომელებმა. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ძვირფას სტუმარს, როგორც კი იგი თვითმფრინავის ტრაპთან გამოჩნდა. 74 წლის კოლმეურნემ ხემზეთ წულუკიძემ მას ღვინით სავსე თასი მიართვა

და მიესალმა: „მოგესალმებით თქვენ, მიხეილ ალექსანდრეს ძევ, აჭარის მიწაზე. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ძვირფას მწერალმა მოხუც მასპინძელს თასი ჩამოართვა და მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის. ურთიერთგაცნობის შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი ქალაქისაკენ დაიძრა. გზად მწერალი ყურადღებით ათვალიერებდა ბათუმს.

პირველად ავტომანქანები ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან შეჩერდა. ძვირფას მწერალს პარკის აქტივისტებმა ძლიერ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, აირჩიეს საპატიო პიონერად. შემდეგ მ. შოლოხოვმა დაათვალიერა აკვარიუმი და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ყოველი საქმე იმარჯვებს, თუ ამ საქმეს ენთუზიასტები ყავს. გისურვებთ წარმატებებს“. ეს იყო აკვარიუმის თანამშრომელთა შრომის ძალიან მაღალი შეფასება. ძლიერ მოეწონა მ. შოლოხოვს ბათუმის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკი, ბოტანიკური ბაღი, კურორტი ქობულეთი. საზეიმო ბანკეტზე დიდმა მწერალმა თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა დამსწრეთ და წარმოთქვა საქართველოს გულწრფელი სიყვარულით გამთბარი სიტყვა. ეს სიტყვა ფი-

ჩვენ ჩაიწერა რადიოკორესპონდენ-  
ტმა ვ. ბოლქვაძემ და ამჟამად  
აჭარის რადიოს იშვიათ ჩანაწერ-  
თა ფონდში ინახება.

ეს ერთი დღე, რომელიც მ. შო-  
ლოხოვმა აჭარაში გაატარა, სამუ-  
დამოდ დარჩება ჩვენი რესპუბ-  
ლიკის მშრომელთა მეხსიერებაში.  
მას ყოველთვის სიამაყით და გუ-

ლთბილად მოიგონებენ. და დღეს,  
როცა მადლიერი საბჭოთა ხალხი  
ასეთი სიყვარულით ზეიმობს დი-  
დი მწერლის დაბადების 30-წე-  
დაათი წლისთავს, ისინი გულწრ-  
ფელად უსურვებენ საყვარელ  
შემოქმედს მზეგრძელობას, ბედ-  
ნიერებას, ახალ შემოქმედებითს  
წარმატებებს.

---

## მუკან თავიშვილი

### სოფლისაჲნ ღამისი ზიქაჲი

„მე ვწერდი იმაზე, რაზეც გული  
ჩემი მღეროდა...“

ვასილ სტეფანიკი

ან კი ვისი გული არ მღერის  
სოფელზე? „ვაშლი და მსხალი,  
თხილი და ნუში, ბალი და ალუბა-  
ლი, ლედვი და ჭერამი... ვაზის რა-  
მდენიმე მავთულგაბმული მწკრი-  
ვი. ამ მწკრივების თავსა და ბო-  
ლოში დახუნძლული თეთრი და  
წითელი ატამი. ვენახშიც შეპარუ-  
ლა ხეხილი, ვაზებს ჩრდილის კა-  
ლთას აფარებს და მზეს ართმევს.  
ვენახს ბალური, მარწყვი მოსდგო-  
მია, ფხვიერი მიწისათვის ჩაუჭი-  
დია სვე და ნელ-ნელა აფარებს  
გვერდებდაკბილულ ფარდას.  
უცნაურია — მაინც დატყვეფილა  
ვენახი, ქარვა გამოუწოვია მზის-  
თვის და ქოცოვებში ჩაგუბებას  
უპირებს. ეს ასე იქნება, მარტო  
ღმერთმა არ გაიმეტოს თეთრი  
ხრიალი... ეზოს ერთ მხარეს, ორ-  
ღობესთან აკაციის, შვინდარწლის,

ჯაგრცხილის ცოცხალი ღობე მო-  
უყვება და ფერად-ფერად ტყემა-  
ლსა და ტყის თხილს მოიყოლებს.  
ვიდრე თვალი შეეჩვევა, გეგონება  
ეზო ხეხილით არის გადაღლილი,  
მაგრამ დააკვირდები და ადვილ-  
ად შეამჩნევ — ნაყოფის ფერე-  
ბის მიხედვით დამდგარან გვერდი-  
გვერდ და შენი ამყამინდელი გუ-  
ნების შესაფერ სიმღერასავით მო-  
ულოდნელი სიხარულით გავ-  
სებს... ვენახში რა ხანია, გამოუ-  
თიბავთ ღობიო და მარტო დატა-  
როებული სიმინდი და შამაშუ-  
რობს. ამ სიმინდისთვის ქვედა  
ფოთლები შეუტრელებიათ ნამგ-  
ლით, მერე ღობის ძირებშიც გა-  
მოუთიბიათ ბალახი, გაუხმიათ  
მწვანედ, ღობიოს ნაქურჩალში  
შეუტრევიათ და სათივედ დაუდ-  
გამთ ვენახის ბოლოში — ღობე-

ზე აბლოტებული გოგრების გვერდით. აქ სხვანაირი სურნელი ტრიალებს: აშრიანებული ვარდების, პამიდვრის შემქნარი ყვავილის, ატმის, გამხმარი ბალახისა და სიმშვიდისა...“ — ეს არის სოფელი. მაგრამ არის სხვა სოფელიც, ამ სიმდიდრემდე და ბარაქამდე მისაყვანიც, დაცარიელებული ეზო-ბანებითა და დაბარდინებული სავენახეებით, საიდანაც ხალხის ყრიაშული აღარ მოისმის, მდუმარე, გავერანებული ადგილებით, რომელთაც ონავარი გოგობიჭების ნატერფალები მონატრებით. სოფლები ჩამორღვეული გზებითა, მოშლილი წყალგუბურებით, ფომფლოდ მდგარი ღობე-ჭიშკრებით. მოკლედ, გაპარტახებისაკენ მიქცეული პირით. რაც ამალეღვებელია, ღრმად ჩასაფიქრებელი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი. და მწერალი, მით უფრო, თუ მამულიშვილიცაა, თუ ერთხელ მაინც მიიხედავს სოფლისაკენ, გულიდან ვეღარ ამოიგდებს, ვერ ამოიძირკვავს მასზე ზრუნვის სურვილს, თვალწინ ექნება ჩვენი სოფლის წარსული, აწმყო და მომავალი. ამგვარად ჩნდება ბუნებრივი მიმართებაც — მწერალი სოფელს, ანუ სოფლისაკენ დაძრული ფიქრები. რაც უკვე პრობლემაა, გადასაწყვეტი, საშვილიშვილო საქმის დაყენება მწერლური კუთხით — ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, მწერლის სამუშაო მასალა, თემა, რომელიც შეიძლება ვინმეს კონკრეტულად

და ვიწროდროულად მოეჩვენოს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ მოჩვენება, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. სინამდვილე კი ასეთია: რას ვაძლევეთ სოფელს? რა თქმა უნდა, საკითხი დგას მხატვრული ლიტერატურის კუთხით. რას ვწერთ და როგორ ვწერთ სოფელზე, რატომ და როგორ შევავაროთ იგი ასფალტს შეჩვეულ ახალგაზრდა ადამიანს. კიდევ მეტი, რატომ მოზრდილსაც არა?

ამ კითხვებს უტრიალებს ირგვლივ კ ა რ ლ ო კ ო ბ ე რ ი ძ ი ს „ვენახიდან სახლამდე“, რომელშიც შესული მოთხრობები, მართალია, ერთი სოფლის, ავტორის სამშობლო სოფლის შაშიანის ამბებითაა ჩაგონებული, მაგრამ იმდენად მრავალმხრივი მხატვრული განფენილობა აქვს მათ მოძებნილი, და იმდენად განსხვავებულ მხატვრულ გამოწავონს ეხება ყოველი მათგანი, რომ ერთნაირად ასახავს ყველა სოფლის ჭირსაც და ლხინსაც, სოფლად განცდილი სიამოვნების ყრუანტელსაც და შეცხადების ელდასაც, პირველი ხნულის სურნელსაც და მდინარის გარდაცვალებით გამოწვეულ ნალველსაც. აქ სიძველისა და ძველებისადმი პატივისცემა ამალეღვებლადაა გადმოცემული, მაგრამ არ არის გაიდევლება, რადგან ავტორი არ ბოჭავს მკითხველის გულს საკუთარი მსჯავრით, რადგან სამართლიანად სწამს: იგი თვითონვე ამჩნევს — რა არის საიდევლო, რა კიდევ გულიდან გამოსატანი.

მამულის სიყვარულს სხვადა-  
სხვა გადასახედი აქვს. ამ სიყვა-  
რულთან მისასვლელად ზოგს თვა-  
ლი ემარჯვება. და იხატება საქარ-  
თველო ფერად-ფერადი, საკვირ-  
ველი ნატურმორტებით, სველი  
ხელადითა და ბარაქიანი ხონჩით,  
მისი ფლორა-ფაუნა... ზოგს  
გრძნობა უჭრის მასთან საალერ-  
სოდ და მამულს ხოტბა ლექსად  
ელვრება, ზოგსაც გული და ძალა  
ერჩის და მის დაცვას ეწირება სა-  
ჭიროებისა თუ არასაჭიროებისას,  
ზოგი კი სულ უბრალოდ — ყო-  
ველდღიუთი შრომით ემსახურება  
მას, ვენახითა და ჩაით ამდიდრებს  
მის პოხიერ სისხლს და სულაც არ  
იცის, რომ დიად მოსაქმეთა ღირ-  
სეული შთამომავალია. კ. კობე-  
რიძემაც ეფექტური გადასახედი  
მოუწახა თავის სიყვარულს. ეს  
უკანასკნელნი თავისი წიგნის გმი-  
რებად აქცია და ქართველი მკით-  
ხველის გულის დაუსახლებელ სი-  
ვრცეზე დაასახლა. ამ გმირებიდან  
ერთნი ახლაც ცოვხლები არიან,  
ზოგი საუკუნის, ხოლო ზოგიც  
ორი საუკუნის წინათ ცხოვრობ-  
და. სხვადასხვაა მათი სულიერს  
და ფიზიკური შესაძლებლობანიც,  
მაგრამ მათ ამ მოთხრობებში აერ-  
თიანებს ერთი სამუდამო და დაუ-  
ვიწყარი დევიზი — „ჯერ მამულს  
უნდა მიხედვა“, რაც მხოლოდ და  
მხოლოდ დღევანდლობას უმიზ-  
ნებს, დღევანდლობის იდეალები-  
თაა განმსჭვალული და სულჩად-  
გმული. აი, ერთი კონკრეტული  
მაგალითიც: ერეკლე მეფემ ლე-  
კები დაამარცხა. სოფლიდან სო-

ფელში გადადის და ჯარიც უცო-  
ტავდება. რცხილაძეების სოფელ-  
ში შევიდა. ხედავს: ბრვენი მემო-  
რი ცოლს უსიტყვოდ ეხვევა, დე-  
და ლოცავს უვნებლად დაბრუნე-  
ბულს, პაწია ვაჟი უღვაშს უწიწ-  
კის, ბერი მამა ამ სურათით ტკბე-  
ბა. „მეფეს დარდი აეშალა: ბარგბ-  
სჯობია, დედას შვილი არ დააშო-  
რო, ცოლს — ქმარი, შვილს —  
მამა, მამას — შვილი... მაგრამ  
ჯერ მამულს უნდა მიხედვა“. შავ-  
გვრემანი ვაჟკაცი ეზო-ყურეს  
გასცქერის: ჩქარა კავი, სახნავში  
მივდივარ.

— დაგესვენა, შვილო! — ევედ-  
რება დედა.

— გარჯა დამასვენებს, დედი.

ამ მშვენიერ ამბავს ორგანულ-  
ად ებმის მწერლის აღსარებაც:  
„არ ვიცი, რამდენად მართალია  
ეს ამბავი... შეიძლება რცხილაძე-  
ების წინაპრებს პატარა კახმა სუ-  
ლაც ყვარლის ალყის გარღვევი-  
სათვის უბოძა აზნაურობა. შეიძ-  
ლება ასპინძის ომში, ანდა სხვა-  
გან — მე შენ გეტყვი, ერთი და-  
ორი ომი გადაუტანია! მაგრამ  
მთავარი სხვაა: ამ ამბავში სად-  
ღისო ჭკუისასწავლებელიც და-  
ვინახე და ამიტომაც დაწერე  
იგი“ („ამბავი რცხილაძეების გაა-  
ზნაუროებისა“).

მაგრამ ეს ძველი სოფლის  
მდგმურებს — ძველ სოფელს  
მშრომელ ადამიანებს ეხება. მარ-  
თალია, მოთხრობის მთავარი დე-  
დააზრი ორით თუ არა, ცალი  
თვალთ მანც აწმყოში იხედება,  
მაგრამ ჩვენ მანც თანამედროვე

სოფლის გმირები გვანტერესებს, და, აი ისინიც, მწერლის გერგილიანი სიტყვითა და მხატვრული ტაქტით დახატულნი. წინასწარ უნდა ვთქვათ. არც ერთი მათგანი არაა არაჩვეულებრივი პიროვნება-ინდივიდი. ყოველი მათგანი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელთა სახითაც ჩვენს სოფელს კაცური კაცობა, პურმარილიანობა, სალამ-ქალამი და სადღევრძელოს ფასი შემოუნახავს, მკვიდრად დაუცვია, გაუმრავლებია, სადაც ადამიანობას ფესვები ფართოდ გაუდგამს და პატიოსნებაზე მიმაგრებულა. ისინი სხვადასხვა მოთხრობების გმირები არიან, მაგრამ დახურავთ წიგნს და გრძნობთ: ერთი სოფლისანი არიან, ერთი მიწისანი — შვილები საქართველოს მთისა და ბარისა, ცისა და წყლისა, ერთი სულისკვეთებისა — ეს სულისკვეთება კი ა დ ა მ ი ა ნ ი ზ მ ი ა, რაც საერთო საქმისადმი, სიმართლისადმი თავდადებით გამოიხატება. აგერ აგრონომი ზაქარია. პატივსაცემი კაცი, სოფლის ლხინისა და ჭირის საჭურველმტვირთველი, რომელსაც მთელი სოფელი ქუდმოხდილი ესალმება. „ვინ უნდა ამოვიდეს რაიონიდან თუ უფრო ზევიდან, მორიდებით არ გაუწოდოს ხელი:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ზაქარია?

— კარგად, ძალიან კარგად, უპირველესად ამინდის წყალობით.

ან: — ცუდად, ძალიან ცუდად, უპირველესად უამინდობის მიზეზით...“

ესეც თბილისელი ქალაბიჭაინგა, სპორტული ტანსაცმელი რომ ჩაუცვამს და სოფლის აგრონომად გამწესებულა. მარჯვე ქალი, საზრიანობით ყველას რომ თავს შეაყვარებს და იმავე სოფელში ოჯახსაც მოეკიდება. აგერ კიდევ, სურათი ომისდროინდელი გაჭირვებული სოფლისა („მარიკა“), იმ სოფლისა, რომელიც ხშირად დასკვნასაც გაგვაკეთებინებს ასეთს: უღარიბესი სოფელიც კი უმდიდრეს ქალაქზე მდიდარია, რადგან იქაა სიცოცხლის ფესვი, იქ იყო იგი მუდამ — არჩილ მეფის დროს, ილია ჭავჭავაძის დროსაც და იქ რჩება დღესაც. ამ სოფელში კი ერთი ქვრივის ოჯახია. ქვრივს მცირეწლოვანი შვილები ჰყავს. ომია და ქვეყანას თავის რჩენა უჭირს. მით უმეტეს ქვრივობერს. მაგრამ ბედად საკერავი მანქანა „ზინგერი“ შერჩენია. ის აკმევს პურს დამწეულთ. რამდენი გაჭირვება, ცივი ღამე, ცრემლი, ოხვრა და ტირილი ახელს თვალს ამ მანქანის დანახვისას ახლა. მანქანა თითქოს ოჯახის ცოცხალი მუშა წევრი გახდა, გასულიერდა და იგი შეიყვარეს, როგორც მარჩენალი ძროხა უყვართ ხოლმე. გავიდა დრო. გათავდა ომი. წასულთაგან ცოტანი დაბრუნდნენ, მაგრამ მაინც დააბრუნეს ასანთი, ნავთი, სითბო, მხიარულება, ცხრა მთას იქით გადაკარგული ბავშვური „არ მშია“. გავიდა დრო. გახალისდა გადაღლილი სხეული, მაგრამ დარჩა ნეტარი სევდის ფერა-

დი ბურუსი, ტკბილი ნალველი მოსაგონარი. „ახლაც საწოლი ოთახის ფანჯრის რაფაზე დევს ჩვენი საკერავი მანქანა. რომ დავინახავ, უსიამოვნოდ შემაყრუოლებს ხოლმე... სხვა ხარ ჩვენთვის, გარჯაფით, დროის სიმკაცრით დაღლილო და დაბერებულო მანქანავ. ის გაჭირვებაც სხვა იყო, შენ რომ გადაგვატანიხე. ის დარდიც სხვაა, შენი დანახვისას რომ შემოგვაწვევება ხოლმე“. და ასე, საბოლოოდ ფორმდება სევდის სიმღერა რკინის ნივთისადმი, რომელმაც საკუთარი არსებობა გაამართლა. „სიცოცხლე შეუნარჩუნა ადამიანებს. ომის დროს ადამიანებს რკინის ნიაღვარი სპობდა, მან კი, ამ ცივმა რკინამ, მათ არ მოაკლო დიმილი და თბილი პური, რაც ასე აუცილებელია არსებობისათვის“.

ვინა სთქვა სოფელს ახალგაზრდობა აკლიაო? ჯანით, ნიჭით, უნარით დაჯილდოებული გოგობიჭები მუდამ ჰყოლია და ახლაც მოეპოვება. ცოცხლად, კოლორიტულად იხატება მათი სამოქმედო ფონი და შემდეგ მოთხრობის ქარგაში ისინიც შემოდიან. მოსწავლე ბიჭები — რეზო და კაკო — ერთი გოგოსათვის წაძიძვლილებულნი („რინგი“), ან კიდევ: სამხედრო გაკვეთილის ისტორია და მისი მოქმედი მოსწავლეები — „თეთრები“ და „წითლები“ („ცეკვის გაკვეთილი“). ამ მოთხრობას განზოგადების პრეტენზია აქვს. ამიტომაც ებმის მშვენიერი დასკვნა: „ბავშვები ხომ იმით გვჯობნიან დიდებს, ამდენ აღმოჩენებს,

გამოგონებებს, სიკეთეს, სახელისა და ოქრო-ვერცხლის მოსახვეჭად რომ არასოდეს იყენებენ“. დიდებს კი ერთი სისუსტე იპყრობს მუდამ: საზოგადოებაში სურთ ჰქონდეთ სახელი, ოჯახში კი სიმდიდრე. სახელი და სიმდიდრე ოდითგანვე ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არიან. და აქ გვახსენდება ავტორის მარჯვე ფრაზა სხვა მოთხრობიდან, რაც ბავშვებისა და მოზრდილების ამ თეორიულ პოლემიკას პატრიოტული ასპექტით აგვირგვინებს: „ასეა, მამულზე, ხალხზე ფიქრმა ძნელია აგავსოს პურით, ღვინითა და ჯანით“.

ასეთია კარლო კობერიძის მოთხრობების დედაარსი.

ძველ სოფელზე წერს და თანამედროვე სოფელს ფრთხილად უსინჯავს მტკივნა ადგილებს, მდინარე ალაზანზე წერს და ალაზნის ველის სილამაზესა და მასში ბანაობის სიამოვნებას განიცდის სამუდამოდ დაკარგულად, რადგან მრავალი სარწყავი არხი, ბალ-მინდვრებზე რომაა მიშვეებული და ხარბად ისრუტავს მდინარის ტალღებს, მის გარდაცვალებას მოასწავებს. ახალგაზრდობის მიერ ალაზნის ტალღებში სიამოვნების განუტღველობაზე ჩივის და წუხს, მებაღურის სათქმელს გვიყვება და ოსაროში შესული თევზის მიერ გამოწვეული გულის ბაგაბუგს ნამლევა მღელვარებით გადმოგვცემს. ეს მღელვარება გულის კედლებს ეხათქუნება და ლამის მოგვწყვიტოს ქალაქის ბუღსა და

ვახუტეზულ ასფალტს — მართლა  
გაგვაქციოს სოფლის სიმშვიდის,  
სიწყნარისა და სისუფთავის წია-  
ღში. „ვისაც არ უნახავს, მარტო  
იმისთვის ვამბობ, ეს ოსარო რო-  
გორი და რანაირი მახეა: პეპლე-  
ბის საჭერ ბადეს ვინც მალაზიაში  
არ წასწყდომიხართ, სურათებიან  
წიგნში მაინც გექნებათ დანახული  
— თითქმის ისეთია, ოღონდ ოსა-  
როს ერთი მხარე ბრტყელია,  
ბრტყელი და მაგარი. საიდანაც  
წყალი შეთქრიალებს, იქ რკინის  
ბადემოხვევული რგოლია, რა არის  
და არ დაიკეცოსო. ბადეს ბოლო-  
ში ბაწარი აქვს ჩაბმული. ის ბა-  
წარი ხელში უნდა გეჭიროს. რო-  
გორც კი მსხვილი თევზი მოხვ-  
დება ოსაროში, გაიგებს რა აღდ-  
გომაც გაუთენდა, აფართხალდება  
და ბაწარიც დაიჭიმება. შენც ამო-  
სწევ ბაწარს და ის ოსაროცა და  
ის თევზიც ჰაერში დაიწყებს ქა-  
ნაობას. ეცადე, გაიხსენო მაშინ:  
გულზე ხელი დაიდე, იქნებ მოა-  
ხერხო და გაარკვიო, რომელი  
უფრო ძალიან ფართხალებს, შენი  
გული თუ თევზი? თუმცა შენი  
დიდი ხათრი მაქვს და იმიტომ ვა-  
ფრთხილებ წინასწარ — სხვასაც  
ბევრჯერ უცდია ასეთი რამ და  
ვერ გაურკვევია ვერასოდეს...“ აქ  
რაიმე აზრის ძალა კი არ გვაო-  
ცებს ან ფსიქოლოგიური მიგნება  
თავისთავად, არა, უბრალოდ  
თხრობის მარილიანა მანერა, სტი-  
ლი, სემანტიკური ფორმები, ცალ-  
კეულ ფონემათა მართლაც რომ  
ქართული ქდერადობა, ასე თავი-  
სუფალი და ლაღი მიმოხრა კონს-

ტრუქციებისა, რაც სასამოვნოდ  
განიცდება.

ქართულს უყვარს მოკლე, მკა-  
ფიო, დასხლეტილი წინადადე-  
ბები. მახსოვს, ვიღაცა ამტკიცებ-  
და — მარტივი წინადადებით  
რთული აზრი არ გამოითქმებაო.  
ფორმა ხომ გამოიხატება? შესაბა-  
მის ფორმას კი შესაბამისი შინა-  
არსი აძლევს ძალას. მაგრამ ეს  
როდია მთავარი. ხომ შეიძლება  
მოკლე წინადადებით რთული მე-  
ტაფორული აზროვნების დაუფ-  
ლება? ეს ოსტატობა ახალისებს  
მრავალი მოთხრობის ესთეტიკურ-  
მხატვრულ მხარეს, მით უფრო,  
რომ მათში ხშირად მოზომილად  
არის ჩართული ჯანსაღი, სუფთა  
იუმორის ნიმუშებიც. „მ ო გ ვ ა-  
ც ი ლ ე ბ დ ნ ე ნ      ლ ო ბ ე ზ ე  
მ ო მ დ გ ა რ ი    ს ო ფ ლ ე ბ ი...“  
(„საკერავი მანქანა“), „ყ ა ყ ა ნ-  
მ ა რ ო მ ი მ ა ტ ა, დ ი რ ე ქ-  
ტ ო რ ი წ ა მ ო დ გ ა, შე ტ-  
რ ი ა ლ დ ა, და რ ბ ა ზ ს მ ო-  
ა ვ ლ ო თ ვ ა ლ ი და ბ უ ზ ე-  
ბ მ ა ც ა ა შ რ ი ა ლ ე ს ფ რ თ ე-  
ბ ი“ („რინგი“). იმავე მოთხრობა-  
ში, რომელიც ერთ-ერთი საუკე-  
თესოა და ღრმა კოლორიტულო-  
ბითაც გამოირჩევა — არაერთგან  
გაიელვებს თეთრი სიცილი. ასე-  
თი მაგალითად:

— აის გოგოო, ავრონომად გა-  
მოგვიგზავნეს.

— აუჰ! — ტაში შემოჰკრა  
მლივამ, — მაგას საღმე სანიავო-  
ზე უყელებენ და მე დამბრალდე-  
ბა!

— არცა გრცხვენია! — ქოქო-

ლა დააყარა ყუყუნამ, — იმხელა სამი გამოიჭრები წლოვანებითაც.

— ჰოდა, მაშინ ამ საბუთით გავიმართლებ თავს. („აგრონომი“).

ან კიდევ: — ამ ჩხუბს (კრივ-ზეა საუბარი) თავისი წესი აქვს. წესს დაცვა უნდა.

— ეგ სადაურია?! — უკვირს შაქრიას, — იქნებ მუშტით ვერ გერევი, ქვა აღარ დაგცე გოგრაში?!

ეს ნათელი იუმორი სიცილის არსის მწერლისეული გაგებიდან მომდინარეობს. ეს გაგება რამდენადაც თავისებურია, იმაზე მეტად საინტერესოა: „სიცილს სიცილი ჰქვია მაინც — ძნელია სიდიდით გაარკვიო მისი ხარისხიანობა, უმეტესობა ხათრით იცინის, უმეტესობა — ჯიბრით... არსებობს მზის სიცილი, მთვარისა, ვარსკვლავისა, თოვლზე დაყრილი ჭვარტლისა... კუნაპეტ ღამეში შუქი თუ გამოკრთება საიდანმე — ეს ღამის სიცილია; გუბეში თავით რომ ხტებიან ბაყაყები — ამას გუბის სიცილს ეტყვიან; ნეხვზე ამოსული ყვავილი რომ გაიშლება — ამას კიდევ ნეხვის სიცილს. იცინის ჩამოზვავებული კლდე, კუთხე-ახლილი სახლის სახურავი, ყალბი საბუთი, მექრთამის „ვოლგა“ და შარვალზე დადებული საკერებელი... იანვრის სიცილი სიცივეა,

თებერვლის — ქარი, მარტისა — წვიმა... გარდა ამისა, ყველა სულიერი იცინის, თავისებურად იცინის, მაგრამ ხშირად ვერ ვამჩნევთ, რაკი ზოგის სიცილი ტირილია, ზოგის უსაქმურობა, ზოგისაც სირბილი... ამიტომ არამგონია ყველას მიუხედე სიცილს, მაგრამ, აი, ცხენის სიცილი ნამდვილად შესამჩნევია: თავს ასწევს, ლაშებს აიკეცავს და იკრიჭება, დიდხანს, დიდხანს იკრიჭება ხოლმე. რა ვიცი, შეიძლება არც იცინის, უბრალოდ კბილებს ანიავეებს, ჩვენ კი სიცილი გვგონია. ძალიც იცინის, ოღონდ ძილში და ისიც მაშინ, როცა სათავისო სიზმარს ხედავს... ყველაფრის მიუხედავად სიცილს უმეტესად სიკეთის გვერდით ხედავენ და ამით საკუთარ თავსაც ინუგეშებენ და სხვასაც ანუგეშებენ...“


ღიახ, მრავალნაირი სიცილი არსებობს ამ დალოცვილ ქვეყანაზე. და მათ შორის მარგალიტით გამოსარჩევია მწუხარების სევდიანი სიცილი, ეს საპატიო და ხელისხელ საგომანები რამ, რასაც კ. კობერიძის ამ კრებულში არაერთი მოთხრობა თუ პასაჟი („ჩვენებური იგავები“) ეთმობა და რაზეც ასე გულშიჩამწვდომად წერდა რასულ გამზათოვიც:

ჩუმად ფრთქვინავდა და თავს იქნევდა,  
არ აწვალვებდა ლაგამ-ავშარას,  
კბილებს აჩენდა და იფიქრებდით,  
ილიმებაო ცხენი აშკარად.

მიწაზე სცემდა წაბლა ფაფარი,  
რთგორც ბუნების მადლი და ძღვენი,  
სინამდვილეა, თუ ზღაპარია,  
მართლა კაცივით იცინის ცხენი.  
ახლოს მივედი და რაც ვიხილე,  
არ ვუჯერებდი საკუთარ თვალებს,  
რისი სიცილი, ანდა ღიმილი —  
საწყალი ცხენი ტირიდა მწარედ.  
ჩუმად ფრთქვინავდა, არ ბალახობდა,  
მხოლოდ ცრემლები ამხელდნენ ტკივილს,  
როცა ვიცინი, მომიახლოვდი,  
კარგად შემხედე, ხომ არა ვტირი.

კ. კობერიძე ეძიებს ამ რთულ  
სიცილს, მის არსს. ხშირად სევ-  
დიანს, არა მოხარხარეს, არამედ  
თავშეკავებულს, ხშირად პესიმი-  
სტურს. პესიმისტური? — იტყვის  
ზოგი. ეს ხომ ცხოვრებას გვიბინ-  
დავს. დიახ, პესიმისტურს, რად-  
გან ნალველი თავის თავად გული-  
სხმობს მას. და სწორედ ისაა ნამ-  
დვილი, რაც ჭკვიანურია. ჭკვიანი  
კი როდის ხარხარებს? მე კი

პირადად, არასოდეს შემხვედრია  
სულელი პესიმისტი. ვხედავ, არც  
კარლო კობერიძესაც, რომელიც  
ეძიებს ამგვარ სევდიან სიმღერას  
— რთულ სიცილს და მას სოფ-  
ლელი გმირების წიაღშიც პოუ-  
ლობს. ამის გამოცაა ალბათ, რომ  
ვხურავთ წიგნს და ვფიქრობთ:  
ავტორს შეუძლია თქვას — „მეც  
ვწერდი იმაზე, რაზეც ჩემი გული  
მღეროდა“.



## ნაკვიზა სუამია

### აჭარული დიალექტის დეტალიზაცია

აჭარული, რომელმაც განვითარების თავისებური გზა განვლო, წარმოადგენს ქართული ენის ერთ-ერთ საინტერესო დიალექტს.

მიუხედავად წარსულში თურქული ენის მასიმილირებული გავლენისა, აჭარაში ქართული ენის განვითარება თავისი ბუნებრივი დინებით წარიმართა. ამაზე მეტყველებს უპირველესად სიტყვაწარმოება. დიალექტში ხშირად გასუბსტანტივებულია ისეთი სახელები, რომელნიც საკუთრივ აჭარული წარმოებისაა და არ გვხვდება სალიტერატურო ენაში. მაგალითად, აჭარაში ავადმყოფს, შეუძლოდ მყოფს ეძახიან უნდომს; გაზაფხულს — გამოსულს; სამ წლამდე საქონელს ან ნორჩ ხეს — მოზარდს; ბლავვ საგანზე მირტყმით მიყენებულ ჭრილობას — დანაყილს და ა. შ. ტერმინები ხშირად წარმოდგენილია წარმოქმნილი სახელებით: სკის ნაწილებია: სადედუ-

რი და სახილავი. ჯილდას წინ უძღვის წინამძღობი; მზიანი ყანა ზისპირია.

საუბარში აჭარელი კაცი ძალიან მარჯვედ იყენებს თხზულ სახელებს. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს: მამა ფუტკარი მოწყალე ფუტკარია, წყალი დააქვს; ადგილი, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, ნაქართლია; წისქვილი, სადაც სიმინდის დაფქვის წინ პური დაუფქვავთ, ნაპურვალა.

უხვად შეხვდებით ნასახელარ ზმნებს: თათარა — დათათრვა; კანძი — დაკანძვა; ჭერი — დამჭერვა; როკი — დაროკნა; ტკუნჩა — დატკუნჩვა; ლაჯაჯი — დალაჯაჯვა; ხიჭი — მოხიჭვა; კიკილი — დაკიკილვა და ა. შ. სახელისაგან ზმნის წარმოება ქართული ენის ბუნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

აჭარული ლექსიკის შესწავლი-

სას ყურადღებას იქცევს შემდეგი მომენტები. ერთი მხრივ, გვხვდება სალიტერატურო ენიდან ცნობილი სიტყვები, რომლებიც აქ განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია, მეორე მხრივ, ძველქართული სიტყვები, რომელთაც თავი შემოინახეს დიალექტში, მას შემდეგ რაც სალიტერატურო ენამ ისინი მიივიწყა. გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომელნიც ძველქართულ ლექსიკონებში არ ჩანს, მათი აგებულება კი ეჭვს ბადებს, ქართული უნდა იყოს.

აქ გამოვყოფთ რამდენიმე სიტყვას, რომელიც საინტერესო გვეჩვენება სხვადასხვა თვალსაზრისით. ან და აზა — თარგი, მაგალითი, დარი. „გიდელი გოდრის ანდაზაზე იქსუება“. აჭარულში შემონახულია ამ სიტყვის ძველი ქართული მნიშვნელობა. ს. ს. ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს **მაგალითს** და **ანდაზას**. ორივე მათგანი აღნიშნავს თარგს, ერთგვარობას. განსხვავება შემდეგშია: „მაგალითი არს, რომლისამე გენებოს ქმნად: ტაძრისა, სახლისა გინა კარვისა, ანუ ხატთა და ყუავილთა, აჩვენე და წინა დაუდვა იგი, რათა მსგავს მისსა ყონ. ხოლო ანდაზა არს სამოსელთა და საბუჟართა და ჭამლთა და რაოდენნი გამოიკუთხებიან მათ მსგავსად“.

ახალ ქართულში ცნობილი ანდაზის ერთადერთი მნიშვნელობა („მოკლე მხატვრული გონებამახვილური გამოხატქვაში“. იხ. ქგლ) საბას ლექსიკონში არ ჩანს. იგი

ეტყობა მეორადია, განვითარებულია მოგვიანებით დასახელებული ძველი მნიშვნელობისაგან. გათევა, გამთეობა — გაძლება, გაძლებობა. „ტყეში ხენა მოჭრადეკემბრიდან თებერვლამდე. ის ხე გათევეს“, „სიცივეს ვერ გუთია“; „ავატყოფობას უთია“; „დიდხანს გიძითია ფეხსაცმელმა; „მე ვიცი მამ რაცხას უთევეს“. „ფიჭვის ყავარს გამთეობა არ აქ“.

ძველ ქართულსა და დიალექტებში თანამედროვე სალიტერატურო ენის მსგავსად გათევა წარმოადგენს საწყის ფორმას გარდამავალი ზმნისა, რომლის პირდაპირი ობიექტი განსაზღვრულია: ღამეებს ვათევე; ღამე ვუთიე.

აჭარულში გათევა წარმოადგენს საწყისს გარდუვალი ზმნისა, რომლის ირიბი ობიექტი განსაზღვრული არაა. ამ როლში შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა სახელი. ცხადია, სალიტერატურო ენისა და აჭარული გათევა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან არა მარტო ყლერადობით, არამედ წარმომავლობითაც. მომხდარა მნიშვნელობის გადაწევა, საგულგებელია, აჭარულში, რადგან არსად ეს სიტყვა აჭარულის მსგავსი მნიშვნელობით არ ჩანს. თანაც გათევა სიტყვა ეტიმოლოგიურად უკავშირდება ამავე ძირის სიტყვებს — თენება, სინათლე, ნათელი, რომლებთანაც სემასიოლოგიურად ახლო დგას სალიტერატურო ენაში ცნობილი მნიშვნელობა.

გახევა — გახერხვა. „ხეს

„დამეტრავ და გახევ“. დიალექტებსა და ძველ ქართულში გახევა აღნიშნავს „თხელისა რასამე განკვეთას“ (იხ. საბა). აჭარულში, როგორც ჩანს, სიტყვამ მნიშვნელობა გაიფართოვა.

დაწიწილებ აწიწილში შეესვლა — „სიმინდი დაწიწილდა“; „სიმინდი წიწილში შეევდა“, იტყვიან, როცა ტარო იწყებს დამარცვლიანებას, მარცვლის ჩასახვას. დაწიწილებ ა, დაწიწილაკება ამასთანავე ნიშნავს რისამე ჩამორიგებას, დაწაწილებას წვრილ ნაწილებად. აჭარული წიწილის მნიშვნელობანი საინტერესო მასალას იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ წიწილი ხმაბაძვითი სიტყვაა (იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი).

ჩვენ ეს სიტყვა წარმოგვიდგება ფუძის გაორკეცებით მიღებულ კომპოზიტად. ამის საფუძველს გვაძლევს სიტყვის მნიშვნელობათა ანალიზი: 1. გველისა და ზოგი სხვა ქვეწარმავლის ნაშიერი; 2. ახლად გამოჩეკილი ქათამი; 3. რისამე ხარშვის დროს შიგნით მოუხარშავად დარჩენილი ნაწილი. ამათ დაემატება აჭარულში დადასტურებული მნიშვნელობანი. ყველა დასახელებულ შემთხვევაში წიწილი აღნიშნავს დიდთან შეფარდებით მცირეს, დიდის ნაწილს. ყველგან შენარჩუნებულია ძირეული (წილი) მნი-

შვნელობა. შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ მნიშვნელობები წიწილი („ახლად გამოჩეკილი ქათამი“) და წილი „ტოლისა კვერცხი“).

კუხუხო — „ძროხას უკანა კუხუხოები და უზილო, უზილო“. ძველ ქართულ ენაში დასტურდება სიტყვა კუკუხო — „თედოს ძულანი“ (იხ. საბა). იმავე მნიშვნელობითაა შემონახული ეს სიტყვა აჭარულში: კუხუხო < კუკუხო. გვხვდება სხვა დიალექტებშიც: ქართლურში, კახურში, მოხეთურში.

მიტოლება — მხარის აბმა, მიწყობა. „ატირდენ ამათ და მიეტოლა დედამისიც. დეაწყო ტირილი მანაც“; „რომ დეაწყებ ლექსს, იმას ლამაზი მიტოლება უნდა“.

მოგანება || მოგანვეება — ხბოსგან ძროხის გამოწოვა მოწველის წინ, რომ ძროხამ რძე „ჩამოყაროს“. ეს სიტყვა შემოსულია აჭარულში ზანურიდან, ისევე როგორც სიტყვა გენვა იმერულში. მეგრულს აქვს ზმნა მოგანუ („ხბომ მოწოვა გამოწველამდის“), რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება გენ ძირს (ი. ყიფშიძე).

აჭარის სხვა კუთხეებში, მაგ., თხილნარში, მოგანების მნიშვნელობით იხმარება მონაგვება, რომელიც, აშკარაა, განვითარებულია მოგანების ან ხალხური ეტიმოლოგიზაცი-

ის საფუძველზე. ხალხმა უცნობი სიტყვა შეცვალა ბგერობრივად მსგავსი, მაგრამ სხვა ცნების აღმნიშვნელი საკუთარი სიტყვით. სიტყვათა ფორმალური (ბგერითი) მსგავსების მიხედვით წარმოიქმნა ახალი მნიშვნელობა.

ლორცელი || ღორთელი — საქონლის დაავადებაა. სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ცნობილია ღორთელი — ფორმა. ზემო იმერულში იმასვე აღნიშნავს, რასაც აჭარულში არწივი. აქ ღორთელი ორსული ქალის დაავადებაა, მუცლის ნაადრევად მოწყვეტა. ცრურწმენით ღორთელი მუდოსნაირი ცხოველია, ქალს მუცელში უჩნდება და ნაყოფს უჭამს. ზემო რაჭასა და იმერეთში ღორთელი ყელის დაავადებაა (იხ. ქგლ).

ღორთელი ჩანს თხზული სახელი, რომელიც შედგენილია ორი კომპონენტისაგან: ღორი + თელი. თელი ძველ ქართულში ნიშნავს ღორის შვილს, გოჭის სინონიმურია. (იხ. საბა).

თხილნარში ამბობენ ღორცელი, მაშინ როცა ჭვანის ხეობაში ცნობილია მხოლოდ ფორმა — ღორთელი. — ამ ორი ფორმიდან პირველადია ღორთელი, ხოლო ღორცელი მისგან განვითარებუ-

ლია. ცნობილია, რომ აფრიკატი მიიღება ორი გზით.

ისტორიულად ხმული + ზომორგანული სპირანტი (ათსამმეტეტი) და 2. გენეზისურად, როგორც ხმულის დამართვის გასპირანტება (დევს > ძევს) გ. ახველდიანი, ფონეტიკური შენიშვნები: ენიმკის მოამბე I, 1937 წ.). ღორცელის ფორმა იმდენადაა საინტერესო, რომ წარმოადგენს აფრიკატის ხმულის დამართვის გასპირანტებით მიღების იშვიათ მაგალითს. სალიტერატურო ენა იცნობს მხოლოდ ერთ ანალოგიურ შემთხვევას: თიკანი > ციკანი.

ხელობა — კეთება, საქმიანობა. „სკას არ ვხელობ“; „სკა არ მიხელია“. ამ ზმნისაგან ნაწარმოებია ნახელადი: „თამარ მეფის ნახელადი ვნახე ვარძიაში“. დასავლურ დიალექტებში ოსტატს ეძახიან მოხელეს.

აქ მოტანილი სიტყვებიდანაც ჩანს, რომ აჭარული დიალექტი შეიცავს საინტერესო ლექსიკურ ფონდს. მისი გამოვლენა და შესწავლა ღირებულა არამარტო მეცნიერული თვალსაზრისით. აჭარულში შემონახული ჭეშმარიტად ქართული ბევრი ლამაზი სიტყვა და მოხდენილი გამოთქმა უთუოდ გაამდიდრებდა სალიტერატურო ენას.



## იმ პრისხანე წლების ექო

**შალვა იოსელიანი. ვაჟაყფური სიმ-  
ფერები. ბათუმი, 1975.**

ბრძოლაში დაეცა და სიცოცხლე უან-  
დერძა მომავალ თაობებს, სიცოცხლე  
და... ლექსები. სხვა არაფერი ჰქონდა.  
ამ ლექსებიდან ზოგი დაწერილია სანგ-  
რებში, ცეცხლის ხაზზე და შთაგონებუ-  
ლია სამშობლოს უძლეველობის, ვერაგ  
მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენით.

ეთიკური არსად ისე არ განსაზღვრავს  
ესთეტიკურს, როგორც ომში, ადამიანის  
ფიზიკური და სულიერი ძალების უკი-  
დურესი დაძაბვის, უმკაცრესი გამოც-  
დის ქამს, როცა ყოველი ჯარისკაცი  
სწყვეტს ბატალიონების, ლეგიონებისა  
და არმიების ბედს. პოეტების ფრონტუ-  
ლმა თაობამ, რომელსაც შალვა იოსელი-  
ანი ეკუთვნოდა, ბრწყინვალედ ჩააბარა  
საბრძოლო გამოცდა.

შენ უნდა გაპყვე გრიგალის ჭიდილს,  
არ დაიხრდილო სიმარტოვეთი,  
და რა იქნება იმაზე დიდი,  
ბედნიერების იყო პოეტი.  
იმღერე ასე, მღელვარე ბიჭო,  
ჭარიშხალს სჭრიდეს ზღაპრული ნავი.  
შენ დადუმებულ ცხოვრებას გიჯობს,  
ბრძოლაში მამულს შესწირო თავი.

პოეტის ეს ომამდელი სტრიქონები წი-  
ნასწარმეტყველური გამოდგა, ტრაგიკუ-  
ლმა ფინალმა კიდევ უფრო წარმოაჩინა  
მისი დიდი ზნეობრივი სიმაღლე, მისი  
პოეზიის ვაჟაყფური ბუნება, სიხალასე,  
და ალაღმართლობა.

ომი ფეიერვერკი არ არის, რომ მის  
შუქზე არჩიო ტროპული სახეები, მაგ-  
რამ სანგრებას თუ ბომბის ნამოქმედარ  
ორმოებში ნაპოვნი მეტაფორები,  
ცეცხლის ნიაღვარში ნაწრთობი რითმე-  
ბი თავისებურ იერსა და შინაგან ძალას  
ანიჭებს ფრონტულ ლექსებს, „ფრონტ-  
ზე დაწერილ ქალაქის ნახევს“.

ბრძოლის ველზე გმირულად დაცემუ-  
ლნი არაფერს არ მოითხოვენ. მათ ნუ-  
გეშად ისიც ჰყოფნით, რომ ვიდრე შეე-  
ძლოთ სულ მაღლა, ამაყად ეჭირათ სამ-  
შობლოს დროშა და უკანასკნელ ამოსუ-  
ნთქვამდე ებრძოდნენ მომხდურთ. მით-  
უფრო მეტია ცოცხალთა პასუხისმგებ-  
ლობა — არ დაივიწყონ იმათი საბრძო-  
ლო დიდება.

ამ პასუხისმგებლობის გრძნობის გა-  
მოვლინებაა შალვა იოსელიანის ლექსე-  
ბის ლამაზად გამოცემული პატარა კრე-  
ბული, რომელსაც წამძღვარებული აქვს  
ფრონტელი პოეტის მამია ვარშანიძის  
წინასიტყვა.

**მოგვიტზრობენ ომის ვეტერანები.  
ბათუმი, 1975.**

ეს წიგნი 1941-1945 წლების დიდ სა-  
მამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევა-  
მოსილი გამარჯვების 30 წლისთავს მიუ-  
ძღვნა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“. აქ  
მოთავსებული წერილები და ნარკვე-  
ვები მოგვიტზრობენ საბჭოთა ადამიანე-  
ბის გმირობაზე, სოციალისტური სამშო-  
ბლოს სიყვარულზე, ჩვენი შეიარაღებუ-  
ლი ძალების დიდ ინტერნაციონულ მი-  
სიაზე.

ამ წიგნის ავტორებმა — დივიზიის  
ყოფილმა მეთაურმა, ვადამდგარმა პოლ-  
კოვნიკმა ასლან ბაჯელიძემ, მედიცინის  
მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრა  
მასხელიამ, ყურნალისტებმა ამირან და  
ალექსანდრე გურგენიძეებმა, პოეტმა მა-  
მია ვარშანიძემ, ესკადრილის ყოფილმა  
მეთაურმა ნური ჯინჭარაძემ, გრიგოლ  
ჩხაიძემ განვლეს მძიმე საბრძოლო გზა,  
მონაწილეობდნენ გრანდიოზულ საომარ-  
ობერაციებში, ზოგი მათგანი ფაშიზმის  
უკანასკნელ ბუნავს ბერლინს უტევდა  
და იქ იზივია გამარჯვება.

ომის ვეტერანების მოგონებები დიდი  
ინტერესით იკითხება.

6 109/105



ფან 40 კვ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

**ИНДЕКС 76118**